619
1965

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 10 ოქტომბერი 1965

ეროვნული ბიბლიოთეკა



რუსთავის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა კომბინატის მუშები ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მასალებს.

ფოტო თ. არჩვაძისა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 10 (171) ოქტომბერი, 1965 წ.

გამოცემის XV წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთელი პარტიის, მთელი ხალხის საქმე



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიული ამოცანები წამოსჭრა ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის წინაშე. პლენუმის გადაწყვეტილებანი მეტყველებენ მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითს ძლევამოსილებაზე, პარტიის გენერალური ლენინური ხაზის თანმიმდევრულ განხორციელებაზე.

სულ ნახევარი წლის წინ, მარტის პლენუმზე პარტიამ შეიმუშავა სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობის ეკონომიური ღონისძიებანი. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ფართო და ნათელი გზა დაუსახა ჩვენი სოფლის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებას, სოფლის მეურნეობის ახლებურად წარმართვასა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებას.

ახლა კი სექტემბრის ეს ახალი, ისტორიული პლენუმი! ამჯერად საქმე ეხება ჩვენი მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების საკითხებს.

პლენუმის გადაწყვეტილებანი უფრო ფართო გაქანებას აძლევენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობას, ხალხის კეთილდღეობის შემდგომ აღმავლობასა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეს.

ჩვენი პარტიის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების მიხედვით, მრეწველობის შემდგომი განვითარებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების მომწიფებული პრობლემების გადაჭრისას, ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს მრეწველობის ხელმძღვანელობის მეთოდებისა და ფორმების სრულყოფას, რადგან მრეწველობაში მართვის, დაგეგმვისა და სტიმულირების დღემდე მოქმედი ფორმები უკვე აღარ შეესაბამება თანამედროვე ტექნიკურ-ეკონომიურ პირობებსა და საწარმოო ძალების განვითარების დონეს.

მაინც რა მთავარი მიმართულებებით უნდა განხორციელდეს ეკონომიკის გეგმიანი ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეურნეობის გაძღოლის მეთოდების სრულყოფა თვითეულ საწარმოში?

პლენუმმა დასახა ეკონომიკის სახელმწიფო დაგეგმვის მეცნიერული დონის ამაღლების მთელი რიგი ღონისძიებანი.

უზრუნველყოფილ უნდა იქნას არსებულ შესაძლებლობათა საუკეთესო, ყველაზე ეფექტიანი გამოყენება სოციალიზმის ობიექტური ეკონომიური კანონების შესაბამისად. გეგმას საფუძვლად უნდა დაედოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პერსპექტივები, უნდა შეიქმნას დაგეგმვის მეცნიერულად დასაბუთებული ნორმატივების სისტემა.

პლენუმმა განიხილა საწარმოთა და გაერთიანებათა სამეურნეო დამოკიდებულებისა და ინიციატივის გაფართოების და წარმოების, როგორც ჩვენი ეკონომიკის ძირითადი სამეურნეო უჯრედის როლის ამაღლების ღონისძიებათა მთელი სისტემის შექმნის საკითხი,ამასთან ერთად, ის საკითხიც, რომ გადაჭრით გაძლიერდეს მუშებისა და მოსამსახურეების დაინტერესება საწარმოს მუშაობის საერთო შედეგების გაუმჯობესებით და ამით განმტკიცებულ იქნას სამეურნეო მშენებლობაში მასების თვითმოქმედებისა და ინიციატივის გაფართოების, საწარმოების მართვაში მათი უფრო აქტიური მონაწილეობის ეკონომიური საფუძველი.

ყველა ამ ღონისძიებების მიზანი ის არის, რომ თანმიმდევრულად განხორციელდეს მშრომელთა მატერიალური დაინტერესების ლენინური პრინციპი, რომ თვით საწარმოებშივე იქნას გამოძებნილი ახალ-ახალი რეზერვები, შეიქმნას მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასის გადიდების ახალი წყაროები.

სექტემბრის პლენუმის ეს ისტორიული გადაწყვეტილებანი დიდ ცვლილებებს შეიტანს მრეწველობის გეგმიან ხელმძღვანელობაში. ეს ნამდვილი დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო რეფორმაა; მას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, რაც გამოიხატება იმაში, რომ მისი მეოხებით კიდევ უფრო განმტკიცდება სოციალიზმის პოზიციები ორი სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის ეკონომიურ შეჯიბრებაში.

ჩვენი მრეწველობის გადასვლა დაგეგმვისა და მართვის ახალ მეთოდებსა და ფორმებზე, განამტკიცებს აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა თანამშრომლობის საბჭოთა პოლიტიკის ეკონომიურ საფუძველს.

დასახული სამეურნეო რეფორმა შეესაბამება საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს, რომელსაც სურს თავისი სამშობლოს აყვავება. ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება საბჭოთა ადამიანების ცხოვრება, კიდევ უფრო გაიზრდება ჩვენი ქვეყნის ძლიერება და დაჩქარდება ჩვენი ხალხის წინსვლა კომუნიზმისაკენ.

9775

კარლ მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



# პარტკომის მდივანი

პარტკომის სხდომა ის-ის იყო დაემთავრებინათ.

ოთახს აშკარად ეტყობოდა, რომ სხდომას ხალხი საკმაოდ ბლომად ესწრებოდა. სკამები აქეთ-იქით მიედგ-მოედგათ, მაგიდაზე ქაღალდის ნაგლეჯები ეყარა, ჰაერში თამბაქოს კვამლის მოცისფრო ნისლი ზოზინობდა და ამიტომ ყველა ფანჯარა გაეღოთ.

ახლა კი მარტოდ დარჩენილი პარტკომის მდივანი სანო მიქაძე ფანჯარასთან იდგა და დაფიქრებული სადღაც იყურებოდა.

ჩვენს შესვლაზე ფიქრებიდან გამოერკვა, მოიხედა, მაგიდას მიუჯდა და ხელით გვანიშნა ჩვენც დავმსხდარიყავით.

საშუალო ტანის მკვრივად ჩასხმული ახალგაზრდა კაცია სანო, აი, ხშირად ისეთი, ამ ქარხანაში ყოველ ნაბიჯზე რომ შეგხვდებათ, თუმცა სხვებთან შედარებით სიტყვაშიც და ღიმილშიც შეიძლება ცოტა მეტი სიძუნწეც მოსდევდეს. მაგრამ თუ გაიღიმა, ისე თბილად, გულხალვათად გაიღიმებს, უმალ მეტად უბრალოდ და შინაურულად იგრძნობთ მასთან თავს.

— მაპატიეთ ასე არეულად რომ გხვდებით, — ხელი გამოგვიწოდა და მის მშვიდ, თაფლისფერ თვალებში უცებ აკიაფდნენ მხიარული ნაპერწკლები, — სხდომა გვქონდა და... ხედავთ რას დაამსგავსეს აქაურობა, თუმცა ვნანობ, რომ ვერ მოგვისწარით.

მართლაც დასანანი იყო, თუმცა, ოთახს რომ გადავხედეთ, ისეც მივხვდით, თუ რა ცხარედ და მღელვარედ მიმდინარეობდა სხდომა.

გასაგებიც არის ეს მღელვარება. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში სამასზე მეტი კომუნისტია და თვითეული მათგანი თავისთავს ამ ქარხნის ბატონ-პატრონად თვლის, გულთან მიაქვს მისი ყოველი გამარჯვება, ყოველი წარუმატებლობა. მით უმეტეს განიცდიან ამას პარტკომის წევრები და მისი ახალგაზრდა მდივანი.

ქარხანას, ცოდვა გატეხილი სჯობია, ძალიან ბევრი ნაკლი აქვს მუშაობაში, მარტო ისიც კმარა, თუ ვიტყვით, რომ მისი კოლექტივი წლიდან წლამდე ვერ ასრულებს გეგმებს და ერთხანს თავის პროდუქციაზე საგრძნობი რაოდენობის რეკლამაციებსაც კი იღებდა.

აი, რატომ არის, რომ პარტკომის სხდომაზე ადამიანებს არ შეუძლიათ დინჯად და გულდამშვიდებით ილაპარაკონ.

მაინც რა არის ჩარხმშენებელთა შეფერხების მიზეზები?

კარგა ხანია დაიწყეს მთავარი კორპუსის მშენებლობა, ეს კორპუსი სპეციალური დანიშნულების ჩარხების ასაწყობი საამქრო იქნება. დაიწყეს მშენებლობა, მაგრამ დახეთ, დამხმარე საამქროები — სამჭედლო-თერმიული და ჰალვანური კი დაავიწყდათ. ამ საამქროების მშენებლობა ახლახანს დაუმატეს გეგმას და ჯერჯერობით მხოლოდ მათ პროექტებზე მუშაობენ. გამოდის, რომ სანამ ამ საამქროებს არ ააგებენ, მთავარი კორპუსი გინდ აუშენებიათ გინდა არა — ამ საამქროების გარეშე მაინც ვერ იმუშავებს.

ხალხიც აკლიათ. აკლიათ ახალგაზრდა სპეციალისტები. ერთ კაცს მეორეთი ვერ შეცვლი. ხიდური ამწეს წამყვანი რომ ავად გახდეს, საწარმოს მთელი ის უბანი ვერ იმუშავებს — ვერავინ შეცვლის. ესეც გვარიანად მოქმედებს გეგმის შესრულებაზე.

მაგრამ თავი და თავი მაინც თვითონ პროდუქციაა. ქარხანა წელიწადში 50-60 სახის ჩარხს ამზადებს, აქედან, სულ ცოტა, ოცი მაინც სრულიად ახალი მოდელია, რომელთაგან ზოგიერთის ათვისებას რამდენიმე თვე სჭირდება. მოსკოვის ჩარხმშენებელი ქარხანა „კრასნი პროლეტარი“ ორჯერ უფრო დიდია კიროვის ქარხანაზე, მაგრამ წელიწადში მხოლოდ 10-15 მოდელს ამზადებს. ყველაფერი ეს კი მეტისმეტად აფერხებს გეგმის შესრულებას.

თუმცა გეგმაც არის და გეგმაც. ქარხანას, ჩარხების წარმოებას რაოდენობის მიხედვით უგეგმავენ. წელს, მაგალითად, 610 ჩარხი უნდა დაამზადოს. აქედან ზოგი ორი ათასი მანეთი ჯდება, მაგრამ არის ისეთი ჩარხებიც, რომელთა დამზადება 50 ათას მანეთს აღემატება და, რა თქმა უნდა, უფრო შრომატევადიცაა და რთულიც; შარშან, სხვათა შორის, წლიური გეგმა 375 ჩარხს შეადგენდა, აქედან შვიდ თვეში მარტო ას ოთხმოცი ჩარხი დაამზადეს, რომლებიც თავიანთი სირთულითა და ღირებულებით ბევრად აღემატებოდა ზოგიერთი ქარხნის საერთო წლიურ გეგმას.

უკეთესი ხომ არ იქნებოდა, ეს გეგმები ფულადი რაოდენობის ან შრომა-საათების მიხედვით შეედგინათ? როგორც, მაგალითად, სამშენებლო ორგანიზაციაშია — იქ ხომ წლიური გეგმები კუბატურით ან ფულადი მონაცემებით არის გამოხატული და არა ასაშენებელი შენობების რაოდენობით, რომელთაგან ზოგი შეიძლება სამსართულიანი იყოს, ზოგი კი ათ თუ ოცსართულიანი და, მაშასადამე, ერთნაირ შრომას და ერთი რაოდენობის მასალებს არ მოითხოვდნენ?

ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გადასაწყვეტი და მოსაგვარებელი, ჯერ კიდევ ბევრჯერ გახდება საჭირო ხელმძღვანელი ორგანოების შეწუხება; ამიტომაც ჰგავს პარტკომის ოთახი სხდომების შემდეგ ნაომარ ველს, ამიტომაც დგას ხოლმე ფანჯარასთან ჩაფიქრებული მისი მდივანი და ამიტომ გამოხატა თავისი ღიმილით დანანება, რომ ვერ მივუსწარით იმდღევანდელ სხდომას და საკუთარი ყურით არ გავიგონეთ კიდევ უფრო მეტი რამ მათი ქარხნის ავ-კარგიდან.

* * *

თავისთავად ცხადია, ყველაფერი ეს დაღს ასვამს პროდუქციის ხარისხს. ბევრ ჩარხზე რეკლამაციებს იღებდნენ. ჩარხები მიდის მოძმე რესპუბლიკებშიც, მაგრამ ერთი რამ ცხადია — სადაც არ უნდა მიდიოდეს ჩარხი, ის მაღალხარისხოვანი უნდა იყოს! ამას კი ყოველთვის ვერ ახერხებენ. 1962 წელს ქარხანამ უხარისხოდ შესრულებული სამუშაოებისათვის ას ორი რეკლამაცია მიიღო, 1968 წელს — ოთხმოცდათორმეტი, შარშან — სამოცდაჩვიდმეტი. ეს საკმაოდ დიდი ციფრია, თუ გავითვალისწინებთ, რომ წელს ჩარხებზე მოთხოვნა თითქმის ერთი-ორად გაიზარდა.

დაფიქრდნენ პარტკომის წევრები. როგორიც არ უნდა იყოს გარე შემშლელი პირობები, ხარისხი მაინც უნდა ამაღლდეს. ჩარხს ადამიანი ამზადებს, ხარისხიც უმთავრესად მასზეა დამოკიდებული. სანოს, მის მოადგილეს ფერია ილაშვილს და ქარხნის მთავარ ინჟინერს მიხეილ წერეთელს მთელი ღამეები არ ეძინათ. ბოლოს შეიმუშავეს ჩარხების მუშაობის ხანგრძლივობის გადიდების, მათი ხარისხის გაუმჯობესების სპეციალური გეგმა. ეს გეგმა პარტკომმა ჯერ სამეურნეო აქტივის კრებაზე განიხილა, შემდეგ დაამტკიცა.

და აი, ახლა ყველა გეგმის მიხედვით მუშაობს. ჩარხი რამდენიმე ათასი დეტალისაგან შესდგება. ეს დეტალები დაინომრა და ამ ნომრების მიხედვით გაპიროვნდა თვითეულ მუშაზე. ამან დიდად ასწია შესრულების ხარისხი. ამას გარდა, შეიქმნა სპეციალური შესაღები წრიული კონვეიერი, რომელმაც საგრძნობლად გაზარდა როგორც შეღებილი ჩარხების რაოდენობა, ისე შეღებვის ხარისხიც.

პარტკომმა თავისი ყურადღების ცენტრში მოაქცია რაციონალიზატორთა და ნოვატორთა მუშაობა. სანო მიქაძე სათითაოდ გაეცნო ყოველი მათგანის საქმიანობას, ნოვატორები კი ქარხანაში ერთი და ორი როდია.

პარტკომის უშუალო მხარდაჭერით წარმოებაში დაინერგა მრავალი სიახლე, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ბევრი რამ გაკეთდა ქარხანაში, რამაც გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, გაზარდა შრომისნაყოფიერება.

* * *

მაგრამ მთავარი მაინც ადამიანები არიან და პარტკომის მდივნის მუშაობის ყველაზე საპასუხისმგებლო უბანი ეს არის.

დილიდანვე დიდძალი ხალხი მოაწყდება ხოლმე მიქაძის კაბინეტს. მოდიან ზეინკლები, ხარატები, მღარავები, მჭედლები, ახალგაზრდები თუ მოხუცები, ჯერ ახალბედა თუ გამოცდილი ოსტატები და მდივანიც ყველასთან პოულობს საერთო ენას, მას ყველას ბედ-იღბალი აინტერესებს.

ამას წინათ სანოს ეზოში მექქვსე საამქროს გამპრიალებელი მიხეილ არჯევანიძე შემოხვდა. მიხეილი ძალზე მოღუშული ჩანდა.

— გამარჯობა მიშა! — გააჩერა იგი მიქაძემ, — რა მოხდა, ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვა?

— არა, ისეთი არაფერი, ბატონო! — ჩაიბურტყუნა მიხეილმა და საამქროს კარს მიეფარა.

„რაღაც ამბავია ამ ბიჭის თავს“, — გაიფიქრა მიქაძემ და საამქროს პარტბიუროს მდივანი ზელიმხან თალაშვილი გამოიძახა, ყველაფერი გამოჰკითხა.

— ადრე ცუდად არ მუშაობდა, — უთხრა ზელიმხანმა,—ამ ბოლო დროს კი, მეც შევამჩნიე, გული აიყარა. სამუშაოსაც ხშირად აცდენს. ერთი-ორჯერ ვუსაყვედურე კიდეც, მაგრამ რა ვუყო, არაფერი სჭრის.

— აი რა, ზელიმხან... გაიგე რაშია საქმე, რა უჭირს, იქნება მიხმარება სჭირდება.

ერთი კვირის შემდეგ პარტკომის მდივანმა საამქროში ინახულა არჯევანიძე. გამპრიალებელი თავგამოდებით მუშაობდა, მან შორიდანვე გაუღიმა მიქაძეს წყნარი, დარცხვენილი ღიმილით.

— გამარჯობათ, პატივცემული სანო, ახლა ყველაფერი რიგზეა. პატარა სახლი ვიყიდეთ აქ მე და ჩემმა ცოლმა და ცოტა არ იყოს, გაგვაჯანჯლეს, ჩაწერაზე უარს გვეუბნებოდნენ. ზელიმხანი დამეხმარა და საქმეც გაიჩარხა.

სანოს გული გაუნათდა: ცოტა მეტი ყურადღება, მეტი ზრუნვა ამ ადამიანებს და საქმეს მართლაც თავს ანაცვლებენ აი ამ არჯევანიძესავით, სამუშაოსაც მადლიანად მოეკიდებიან, გულსა და სულს ჩააქსოვენ.

მაგრამ პარტკომის მდივანს მაინც აწუხებს ის მთავარი დაბრკოლებები, რომლებიც ქარხნის წარმატებებს წინ ეღობებიან და რომლებზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ. და განა მარტო პარტკომის მდივანს, დირექტორიდან დაწყებული დამხმარე მუშამდე ყველა დაფიქრებულია ამ ამბავზე. ეს კარგი ტრადიციების მქონე კოლექტივია, ხალხი მონდომებულია, არც თაოსნობა აკლიათ, ოღონდ საჭიროა შესაბამისმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება, მზრუნველობა გამოიჩინონ ამ კოლექტივის მიმართ და მაშინ ახლანდელი ხარვეზები თუ ნაკლოვანებანი სულ მალე დაძლეული იქნება.

ამირან კუსრაშვილი

რაღაც მოეშალა ტრაქტორს თუ კომბაინს, რომელიღაც მნიშვნელოვანი ნაწილი გაუტყდა და გაჩერდა. ხან ადვილია იქვე, მინდორში, ან სახელოსნოში შეკეთება; ხან კი მოხდება, რომ შეკეთებაც აღარ შველის, ხოლო სათადარიგო ნაწილს ვერა და ვეღარ იშოვნი.

ასეთ დროს უნდა გაიხსენო სამტრესტის გურჯაანის მექანიკური სარემონტო ქარხანა. ქარხანა ჰქვია, მაგრამ სინამდვილეში გაჭირვების ტალკვესი გახლავთ. ვის არ ამოუდგა მხარში, ვის არ შეაშველა ხელი, ვის არ დაეხმარა! ადრე თუ სხვადასხვა ქალაქებიდან და ქარხნებიდან ეზიდებოდნენ სხვადასხვა მანქანების სათადარიგო ნაწილებს, ჰკარგავდნენ დროს, შრომასა და ენერგიას, ახლა ამ ქარხნის წყალობით ყველაფერი ადგილზევე კეთდება.

ეს მექანიკური ქარხანა ამზადებს სათადარიგო ნაწილებს ტექნიკური მოწყობილობებისათვის, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებისათვის, ადგილებზე ატარებს ძალოვან ენერგეტიკულ და ტექნოლოგიურ მოწყობილობათა კაპიტალურ რემონტს.

უფრო კი ღვინის ქარხნებს მოევლინა იგი მხსნელად, რას არ გინდათ არ აკეთებდეს მათთვის — ყოველგვარ არასტანდარტულ მოწყობილობას, ტრანსპორტიორებს, მუხის ბუტებს, სატრანსპორტო კასრებს, მარტო მიმდინარე წელს ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქციას მიაწვდის ქართლისა და კახეთის რაიონებს.

სულ წელიწადნახევარია, რაც ამ ქარხანამ მუშა-



გუგუნებენ დაზგები.

# გაჭირვების [illegible]

ფოტო ო. თურქიასი



დასვენების წუთები.

ობა დაიწყო. კოლექტივს სათავეში უდგას ახალგაზრდა დირექტორი შოთა მოსულიშვილი.

სამუშაო, როგორც იტყვიან, თავზე საყრელი აქვთ: უნდა მოაწყონ ტკბილის განუწყვეტელი დუღილის ბატარეები გურჯაანის, მუკუზნის და ახმეტის ღვინის ქარხნებში, უნდა მოაწყონ კასრების მექანიზირებული დამზადების საამქრო, დაამთავრონ გურჯაანის ლექის გადამმუშავებელი ქარხნის სარექტიფიკაციო მოწყობილობის მონტაჟი, დაამზადონ რკინის 1500 დეკალიტრიანი რეზერვუარები, ყურძნის დასაწნეხი მექანიკური ჰორიზონტალური ბარაბანული დანადგარი, აქვე უნდა მოახდინონ ელექტრომოტორებისა და სხვა ელექტრომოწყობილობების რემონტიც.

ქარხანაში უკვე ამუშავდა კახეთში პირველი თუჯის ჩამომსხმელი საამქრო, რომელიც ჩამოასხამს ყველა იმ დეტალს, რომლებსაც, მათი სიმცირის გამო, სხვა დიდი ქარხნები არ დაამზადებენ. ამ საამქროს უკვე ჰყავს თავისი ოსტატი ჩამომსხმელები: საამქროს უფროსი გივი გოგიშვილი, ბაგრატ მიქაძე, ემზარ მღებრიშვილი და სხვები.

გამრჯენი და მოუღლელნი არიან გურჯაანელი ოსტატები, ალებულ საქმეს ჩინებულად გაართმევენ თავს.

ვლ. სვანიძე

# იან რაინისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამლახან მთელმა საბჭოთა ხალხმა ზეიმით აღნიშნა მოძმე ლატვიელი ხალხის გამოჩენილი შვილის, მგზნებარე პატრიოტის, დიდი ჰუმანისტის, ლატვიის სახალხო პოეტის იან რაინისის (1865-1929 წ.წ.) დაბადების ასი წლისთავი. ვაქვეყნებთ იან რაინისის რამდენიმე ლექსს.

## გვიანი საღამო

ჯერ ისევ ლურჯად ხასხასებს ველი,
ოქროს ბურუსში იწვის დაისი,
ბალახს დააჩნდა ცვარ-ნამის ცრემლი,
მოახლოებულ ღამის ხმა ისმის.
ფერები ჩაქრნენ, დადნენ და უმალ
ცივმა ნიავმა დაჰქროლა ჩუმად.
მიწაზე შავი დაეშვა ნისლი.

გაქრა ყოველი... ატირდა გული...
ცივი დუმილი. გზის დასასრული.

1897 წ.

## თანდათან

თანდათან და ნაწილ-ნაწილ
ჩემს სიცოცხლეს თქვენვე ჰკლავდით,
თქვენი ღონით ღონედაცლილს,
სულ ადვილად გამიმკლავდით.

ახლა გიკვირთ: „ეს რა ვნახეთ,
სიკვდილს უგავს საწყალს სახე!“

1897 წ.

## მწვანე ჩრდილქვეშ

ცხრება ტკივილი, ამ წლების მიღმა
გულს რომ წიწკნიდა, ულმობლად ღრღნიდა,
და უსასოოს ღონეს მაცლიდა...
თითქოს შეხორცდა ძველი იარა,
თვალებში შუქი ჩამეზიარა,

და გული დარდით განახლებული,
შენ განმიკურნე თბილი ხელებით...
მაგრამ... ცოტა გვაქვს დრო დასვენების;

დარდი და სევდა, გულო, კვლავ მოვა,
განა წუხილმა სულ მიგვატოვა!

1888 ან 1889 წ.

## თბილი სუნთქვა

ზღვამ გადიკარა და ტყე განათდა...
და გაყინული ბურუსი გაქრა.
გადაეფინა მიწას ანაზდად
მაცოცხლებელი და თბილი ტალღა.

მე მახალისებს ეგ სუნთქვა თბილი,
ჟრუანტელივით მთელს ტანში მივლის, —
გაღვიძებული ჩემი სიმღერაც
ამ თბილ ტალღასთან წინ მიირხევა.

ვით შუქდაყრილი ჩანს ზღვის ნაპირი,
ბრწყინავს სიცოცხლეც ბორკილაყრილი.
სითბომ ჩემს ტანში კვლავ გაირბინა
და გულში მყუდრო მონახა ბინა.

1897 წ.

თარგმნა ალეკო შენგელიამ



# აკაკი ხორავა

**დაბადებიდან 70 წლისთავის გამო**

### ლეო ქიაჩელი რეპეტიციებზე

...სცენაზე „ტარიელ გოლუას" რეპეტიცია მიმდინარეობდა. პარტერში ლეო ქიაჩელთან ერთად ვიჯექი. აკაკი ხორავა დამშვიდებით, წყნარად წარმოთქვამდა ტარიელის ფრაზებს, რომ იტყვიან, ფრთაშესხმული არ იყო, არ „თამაშობდა". მსახიობისაგან არავინ არც მოითხოვდა ამას. იმ წუთს ეს არ იყო საჭირო.

ეს მშვიდი ტონი ხორავამ უცებ დაარღვია, გაისმა მისი ძლიერი ხმა და უველამ იგრძნო, რომ მას უკვე ტარიელის სული ედგა. მსახიობი შინაგანად აენთო და თავისი მგზნებარება სხვებსაც გადასდო; ლევანის სიკვდილი რომ შეიტყო, როგორც დაჭრილი ვეფხვი, ისე დატრიალდა სცენაზე; „შვილო ლევან!" — შესძახა მან რაღაც გულისგამგმირავი ხმით და ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე როლის განცდა. ისე მომეჩვენა, მწუხარებისაგან მხრები უცახცახებდა, საოცარი სევდა და ალერსი იყო მის ხმაში.

ლეო ქიაჩელი გაფითრებული იჯდა. მერე მძიმედ წამოდგა, ხელი შევაშველე, აკაკიც სცენიდან ჩამოვიდა, მოუალერსა მწერალს და ერთმანეთს ისე მოეფერნენ, როგორც ჭირისუფლებმა იციან ხოლმე; ისე გეგონებოდა, იმ ტრაგიკულმა სცენამ რაღაც ძველი ტკივილი გაუღვიძა ორივეს.

როცა ქიაჩელს თეატრიდან მივაცილებდი, გზაში მითხრა: — რა შესანიშნავად გრძნობს აკაკი ტრაგიკულ წუთებს. შეხედე, როგორ უცებ შეიცვალა...

მესამე დღეს, ლეო ქიაჩელი ისევ მოვიდა რეპეტიციაზე. — მიმძიმს ლევანის სიკვდილის სცენა, — მითხრა მან, — მაგრამ მაინც მოვედი, მინდა კიდევ ვნახო. სახლში ვერ გავჩერდი, შეუძლოთ კი ვარ.

ასე იცის დიდმა ხელოვნებამ. სცენაზე განცდილი ტრაგედია ბევრ მწარე ამბავს ახსენებს მაყურებელს, მანამდე განუცდელსაც განაცდევინებს, მაგრამ მასში არის რაღაც დიდი შინაგანი ძალა, რომლის გამოც სიამოვნებით მივდივართ თეატრში, რათა ხელახლა ვეზიაროთ ტრაგიკულ, სატანჯველ წუთებს.

ამ წუთებისათვის დადიოდა ქიაჩელიც რეპეტიციებზე.

### მსახიობის ტალანტის ძალა

მოსკოვში, ვახტანგოვის თეატრის წინ ბილეთის მაძიებელთა მთელი არმია იდგა. მოსკოველები ეთხოვებოდნენ ხორავას ოტელოს. აკაკიმ თქვა, რომ იგი ამიერიდან აღარ ითამაშებს თავის უველაზე ძვირფას როლს.

სპექტაკლი დამთავრდა. რაღაც დიდი ტკივილი ვიგრძენი. ისე მეგონა, რომ ძალზე ახლობელს გამოვეთხოვე. წავიდა, ამიერიდან ისტორიის კუთვნილებად იქცა ქართველი ოტელო, რომელიც თითქმის ოცდახუთი წლის მანძილზე აღელვებდა აუდიტორიას. ხორავას ოტელო ქართულ აქტიორულ ხელოვნებაში ბრწყინავდა, როგორც სწორუპოვარი შედევრი. რუსეთის უპირველესმა მსახიობმა ვ. კაჩალოვმა ხორავას ასე მიმართა:

„მინდა გითხრათ, ძვირფასო აკაკი ალექსის-ძევ, რომ კარგა ხანია თეატრიდან აღარ გამომყოლია ისეთი დიდი სულიერი სიხარული, როგორიც გუშინ საღამოს თქვენმა ოტელომ მომანიჭა, აღარ გამომყოლია, ალბათ ახალგაზრდა შალიაპინის შემდეგ".

ხოლო შესანიშნავმა მწერალმა ალ. ფადეევმა თქვა: „თავს ვხრი აკ. ხორავას დიდი და გასაოცარი ტალანტის წინაშე".

ნემიროვიჩ-დანჩენკომ ხორავას ოტელო რომ ნახა, განცვიფრდა და წამოიძახა:

„ხორავას ოტელო... შეიძლება ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირში ჩვენ ამ როლის სხვა ასეთი განმსახიერებელი არა გვყავს".

აკაკი ხორავა მაღალი ზნეობრივი იდეალების დამამკვიდრებელი მსახიობია. მისი უველა საუკეთესო როლი — გმირული ბრძოლაა ლამაზი და რომანტიკული იდეალებისათვის. ამაშია მისი განსაკუთრებული მნიშვნელობაც. განა სამართლიანობისთვის ბრძოლის ლამაზი იდეალი არ ანათებს ოტელოსა და არსენას, კარლ მოორსა და ანზორს, ბერსენევსა და ოიდიპოს მეფეს? განა მათი დიდებული სახეები არ ამაღლებენ ჩვენს სულს?

ეს რომანტიკული მგზნებარება იყო სანდრო ახმეტელის ერთ-ერთი ძირითადი ესთეტიკური პრინციპი და მის ნაკვალევს გაჰყვა აკაკი ხორავაც.

### მგზნებარე ჭაბუკი

...ბოჰემიის ტყე. სცენაზე დგას ვეება, უფოთლო ხე. მის ძირში თავი მოუყრია ახალგაზრდობას. ისინი მღერიან ვაჟკაცურ სიმღერებს, მათი ხმა არე-მარეს აყრუებს. ჭაბუკები არიან და გულწრფელად სწამთ თავიანთი იდეალების გამარჯვება. მთელს ამ სცენას მეთაურობს ხორავას კარლ მოორი. მსგავსად ანტიკური კორიფევსისა, იგი წინ უძღვის ტირანიის წინააღმდეგ ამხედრებულ ახალგაზრდობას.

ოცდაერთი წლის ჭაბუკი იყო ფრ. შილერი, „ყაჩაღები" რომ დაწერა და მთელი თავისი რომანტიკული იდეალები კარლ მოორის სახეში ჩააქსოვა.

„ქართული თეატრი ჭაბუკია და ჭაბუკი შილერი მისი მახლობელი გამოდგა" — წერდა მოსკოვის პრესა რუსთაველის თეატრის სპექტაკლზე. აკ. ხორავას ჭაბუკური სიმძაფრე, ძალა, დაჭერება, გაუნახლებელი ენერგია, შმაგი სიტყვა შესანიშნავად იყო დაკავშირებული კარლ მოორის პოეტურ სახესთან".

შილერი ხშირად უჩიოდა მსახიობებს, რომ ისინი მთელი სისრულით ვერ ანსახიერებდნენ ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლის — კარლის სახეს. ხორავას კარლ მოორზე ეს აღარ ითქმის. ეს იყო შილერის კარლ მოორიცა და რაღაც უფრო მეტიც, როგორც იმჟამად წერდნენ.

### ანზორ ჩერქეზი

სცენაზე მოჩანს დაღესტნის აულის კოლორიტული სურათები. აქედან მიდის ანზორი თავისუფლებისათვის საბრძოლველად. ხორავა კარგად იცნობს თავისი გმირის კეთილ გულსა და ნებისყოფას, იცის მისი მრისხანების ძალა. ანზორ ჩერქეზი სულიერი ძმაა ბერსენევისა. მისი დაახლოება ახალ სამყაროსთან ღრმა ტკივილების შემდეგ მოხდა. თეთრებმა ანზორს გადაუწვეს კარ-მიდამო, ამოუწყვიტეს ოჯახი და ეს პირადი ადამიანური ტრაგედია გახდა შინაგანი იმპულსი რევოლუციურ ბრძოლაში ჩასაბმელად.

„მესამე აქტი თავისი დრამატიზმით და არქიტექტონიკით ისეთ სიმაღლეს აღწევს, როგორიც მხოლოდ არც ერთ სცენაზე არ მინახავს" — განაცხადა ცნობილმა ამერიკელმა კრიტიკოსმა ანა ლუიზა სტრონგმა.

რევოლუციის ხმივი შეიჭრა მთაში, გაანათა ადამიანთა გულები და სიხარულის შუქი მოჰფინა მთელს მათ ცხოვრებას.

იბადებოდნენ ახალი ადამიანები, იქმნებოდა ახალი სამყარო, სავსე სიკეთითა და იმედებით.

* * *

შემოქმედებითს ქიდილსა და ბრძოლაში გაატარა ხორავამ ნაბევარი საუკუნე; წლითა მანძილზე მან ბევრი ნახა და განიცადა, მრავალი ზნისა და ხასიათის ადამიანს შეხვდა სცენური ცხოვრების გზაზე. ეს იყო მძიმე გზა — სავსე მოულოდნელობით, სიხარულითა და ტკივილით. იგი მრავალი ადამიანის ბედის მოზიარე გახლდათ, მრავალჯერ გარდასახულა სხვის სულში, და უველგან შეუნარჩუნებია მაღალი მოქალაქეობრივი პათოსი. მაყურებელს ახსოვს მისი ივანე მრისხანე, მისი მებრძოლი არსენა და პლატონ კრეჩეტი, გენერალი მურავიოვი და ოთარბეგი, სვიმონ ლეონიძე და გიორგი სააკაძე.

უველას როგორ ჩამოთვლი!

აკაკი ხორავა ეკუთვნის სცენის პირველხარისხოვან ოსტატთა იმ რიცხვს, იმ თაობას, რომელმაც შექმნა და შემდეგ მაღალ მწვერვალებზე აიყვანა ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნება.

ახლა იგი სამოცდაათი წლისაა. ჩვენმა ხალხმა მადლიერების გრძნობით აღნიშნა ეს საიუბილეო დღე.

**ვასილ კიკნაძე**

# ეთნოგრაფიული შენიშვნები

გუდა-სტვირი და მისი დამკვრელობა რაჭაში მხოლოდ ერთ სოფელში — ფარახეთში იყო გავრცელებული. ამჟამად ეს საქმე დავიწყებას მიეცა, ახალგაზრდობა მას აღარ ეტანება, ხოლო მოხუც მესტვირეთაგან ამჟამად ცოცხალი აღარავინ არის.

ჩვენში ბევრი რამ დაწერილა ხალხური ეპოსის შესანიშნავ ძეგლზე — „არსენას ლექსზე"; რაჭველი მესტვირეები ამ ლექსის მხოლოდ გამავრცელებლებად მიაჩნიათ, მაგრამ არა ერთი ფაქტის მოძებნა შეიძლება იმის დასადასტურებლად, რომ ლექსის თავდაპირველი ავტორიც რაჭველი მესტვირეა.

რაჭველი მესტვირეების თავშესაფარი თბილისში მათივე მეზობლების — მეხაშეებისა და მეპურეების წარმოება იყო. აქ იყრიდნენ ისინი თავს და, ქალაქში თუ მის გარეთ მგზავრობით დაჭანცულნი, ღამესაც აქ ათევდნენ. „არსენას ლექსის" გეოგრაფია—თბილისი, კოდა, საბათლო, მარტყოფი, სომხითი, ყაბახი, ქიზიყი, მცხეთა, კასპი — ცხადად მიუთითებს, რომ ლექსის მთხზველი ამ ადგილებში მოსიარულე მესტვირეა და აკი თვით ამბობს იგი:

ღვთაებობის მადლი გწყალობთ,
მარტყოფის თავში სვენია,
იქ იყო მისი დღეობა,
თითონაც გიახლია.

აქედან ჩანს, რომ „არსენას ლექსის" მთქმელი (ავტორი) სხვადასხვა დღეობებზე დადის, რა თქმა უნდა, სამოვარზე. გუდა-სტვირზე ის ამღერებს სხვადასხვა ლექსებს. მაგრამ „არსენას ლექსი" მას ეკუთვნის იმიტომ, რომ აკი თვითონ მოგვითხრობს იმას, რაც ნახა მან მარტყოფში, ღვთაებობაზე.

სტვირი, როგორც ეს დადგენილია ივ. ჯავახიშვილის მიერ, უძველესი ქართული საკრავია. მაგრამ, ცხადია, სტვირზე ვერ იმღერებს ის, ვინც უკრავს. ეს შეიძლება მხოლოდ გუდა-სტვირზე. გუდა-სტვირი გვიანდელი საკრავია, სცოდნიათ იგი ქართლში, მესხეთში, აჭარაში. მაგრამ XIX საუკუნეში და უფრო გვიანაც, ჩვენს დროში, მოსიარულე მესტვირეებად მხოლოდ რაჭველები ჩანან. ლექსის კილო, რუსულშერეული თქმები და მთელი რიგი სხვა დამახასიათებელი ნიშნები საფუძველს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ ამ ლექსის მთხზველი, უპირატესად, რაჭველი მესტვირე უნდა იყოს.

„არსენას ლექსში" ნათქვამია:

მიდგა ეს ჩვენი არსენა,
ბორკილს ხეხვას დაუწყებსა,
ყარაულებსა ჰგონიათ
აგურით იხეხს ფეხებსა.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს რაჭველი მეპურეების წესი და ჩვეულებაა. ეს აიხსნება მათი პროფესიის სპეციფიკით, აქ თვით ხელობა აბსოლუტურ სისუფთავეს მოითხოვდა ადამიანისაგან.

არ შეიძლებოდა, რომ რაჭველ ხელოსანთა ეს ჩვევა შეუმჩნეველი დარჩენილიყო და კიდევაც უკითხავთ რაჭველისათვის აბანოში, თუ რად სჭირდებოდა მას იქ აგურის შეტანა. ამაზე რაჭველს ირონიულად უთქვამს: ამდენ შიშველ ხალხში რომ არ შემეცვალოს თავი, აგური უნდა მებასო. დიდი ხანია, რაც ანეგდოტად გადაიქცა ეს ამბავი.

მარტო გუდა-სტვირი კი არა, ვინ მოსთვლის რაოდენი რამ ჯერ კიდევ შესასწავლია ჩვენი ხალხის ყოფაში. ყოველივე ამას თავისი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომ იყო, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილი ესოდენ დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ქართული შინამრეწველობის მასალების შესწავლის საქმეს. 1935 წლის ზაფხულში, სარეწაო კოოპერაციის გამგეობასთან შეთანხმებით და კოოპერაციის საშუალით, ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაგზავნა ოცდახუთი მეცნიერი მუშაკი შინამრეწველობის მასალების შესაგროვებლად. მე მაშინ მისი ასპირანტი ვიყავი და მომენდო შინამრეწველობის მასალების შეკრება ქვემო-რაჭაში. ეს დავალება შევასრულე და ივ. ჯავახიშვილს ჩამოვუტანე ორას გვერდზე ჩაწერილი მასალები და ფოტოსურათები იმ ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც განსვენებულმა მეცნიერმა შეიმუშავა და ადგილებზე მივლინებულთ დაურიგა.

ივ. ჯავახიშვილი გახარებული იყო მივლინებათა შედეგებით და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრებილი მასალები კიდევაც დაალაგა მან ხუთ ტომად. ელოდა ამ მასალების გამოცემას, რომელსაც დაამშვენებდა მისი წინასიტყვაობა და გამოკვლევაც. მაგრამ სიკვდილმა მოუსწრო დიდ მეცნიერს და ეს საქმე განუხორციელებელი დარჩა. მართალია, ივ. ჯავახიშვილის კაბინეტიც კი შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, სადაც დაცული უნდა ყოფილიყო ეს მასალები, მაგრამ ყველაფერი ეს შემდეგ ენათმეცნიერების ინსტიტუტის სალექსიკოლოგიო განყოფილებას გადაეცა, სადაც ის გამოყენებული იქნა ქართული განმარტებითი ლექსიკონის შედგენის დროს. თავისთავად, ეს კარგი ამბავი მოხდა, ეს ლექსიკონი— ჩვენი სიმდიდრე და საგანძურია, ჩვენი შესანიშნავი ქართული ენის მართალი სურათია, და ამ მხრივ, ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით შეკრებილმა მასალებმაც თავისი ამაგი რომ დასდეს ამ საშვილიშვილო საქმეს, ეს სასიხარულოა, მაგრამ ეს არ ხსნის ზემოხსენებული მასალების გამოცემის საჭიროებას, ვინაიდან ლექსიკონს თავისი სპეციფიკა აქვს და მას ვერც მოვთხოვთ მთლიანად გამოემზეურებინა ხსენებული მასალები.

ივ. ჯავახიშვილი ბოლო დროს მუშაობდა საქართველოში მშენებლობის ისტორიაზე და დიდ კმაყოფილებას განიცდიდა, რომ შინამრეწველობის მასალებმა მას საშუალება მისცეს დაედგინა ქართული დარბაზის ორი ტიპი.

ამ ორი ტიპიდან ერთი აღმოსავლეთ საქართველოში ძველიდანვე გავრცელებული დარბაზია, ხოლო მეორე — დასავლეთ საქართველოს დარბაზი, რომელიც უკვე აღვწერე 1935 წელს სოფ. ჰყვიშში და მის შესახებ ნარკვევიც დავბეჭდე 1940 წელს ენიმკის (ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი) „მოამბეში".

ივ. ჯავახიშვილს უნდოდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისათვის ჩემს მიერ აღწერილი სოფ. ჰყვიშის მცხოვრების ეფრემ დავითულიანის დარბაზის შესყიდვა და მთელი ამ სახლის თბილისში ჩამოტანა. „ევროპაშიო — ამბობდა ის, — მუზეუმები ისეთ დიდ ტერიტორიას იჭერენ, რომ ქალაქებად იქცევიანო". რაჭაში მართლაც შეიძლებოდა ბევრი რამ სამუზეუმო ყოფილიყო, მაგრამ ახლა იქ მშენებლობის ისტორიიდან საექსპონატო თითქმის აღარაფერია, ყველაფერი ახალია.

**პროფ. აბელ კიკვიძე**



* დასასრული. იხ. „დროშა", № 6.

# კახური საღამო

**ლია ქაჯაიაძე**

აკვნის ჭრიალში იღლება ხელი,
ო, იავნანას ვილაცა მღერის...
იძინებს ჩუმად, ალუბლისფერი,
მწვანე ტოტებზე ხამშობლო ჩემი.

ტოტებზე სულის ცისფერი ზოლი...
და როგორც მთვარე, მიცურავს გრემი,
მიცურავს გრემი ვარსკვლავებს შორის...

არი კახეთის წყნარი საღამო,
წყნარი საღამო,
ვარსკვლავთა შორის...

და, იავნანას ვილაცა მღერის...





### კოლმეურნეობის თავმჯდომარე წერს სადოქტორო შრომას

სახელები მთელ დედამიწაზე მოგზაურობენ.

კოლხიდის ველებსა და პლანტაციებში დავდიოდი ქაღალდითა და კალმით. მინდა კარგი სახელები წამოვიღო და ამ სახელებმა იარონ ჩემს მამულში.

ოდესღაც კოლხიდა მთელ დასავლეთ საქართველოს ეწოდებოდა. მე მასზე არ ვლაპარაკობ. კოლხიდა ჰქვია ერთ პატარა სოფელსაც, გაგრას რომ მიჰკვრია აღმოსავლეთის მხრიდან. იგი ჯიქურად შეჭრილა ქალაქში შუბებივით შემართული სიმინდებითა და ტყესავით აყრილი თამბაქოს პლანტაციებით.

ზოგიერთი მკითხველი ალბათ ახლა თამბაქოს ეწევა და ისე ჩაჰყურებს ჟურნალის ფურცლებს; როცა ამ ნარკვევს ვწერდი, ჩემს სამუშაო მაგიდაზეც დაცურავდა თამბაქოს ბოლი. იქნებ აქ, კოლხიდაში მოყვანილი თამბაქოც იყო.

ჰოდა, აი, თამბაქოს პლანტაციებში მივაბიჯებთ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ტარიელ გუნიას თამბაქოს უხვი მოსავლის მიღებისათვის 1950 წელს სოციალისტური შრომის გმირობა მიუღია. გმირის საპატიო წოდება და ჯილდოები დაუმსახურებიათ ბრიგადირებსა და კოლმეურნეებს.

ტარიელი ახალგაზრდა კაცია. 1948 წელს დაუმთავრებია თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და სოფელში დაბრუნებულა. მაშინ აქ ორი კოლმეურნეობა იყო. ხუთიოდე წლის წინათ ეს კოლმეურნეობები გაერთიანდნენ და ხალხმა მას შოთა რუსთაველის სახელი უწოდა. ტარიელ გუნია ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს.

ვინ მოსთვლის რამდენი საზრუნი აქვს კოლმეურნეობის თავკაცს. მაგრამ რაც უნდა მოუცლელი ყოფილიყო, ტარიელი განსაკუთრებული ყურადღებით დასტრიალებდა თამბაქოს, უკვირდებოდა მის ზრდას, მის ფესვებს, მის ფოთლებს, ჩაჰკირკიტებდა ნიადაგს, ხან სად ჩარგავდა ჩითილს და ხან სად. კოლმეურნეებს უკვირდათ კიდეც — რა დაეკარგა ამ თამბაქოშიო!

მაგრამ დაეკარგა კი არა, იპოვა. განძი იპოვა თამბაქოს აგროტექნიკაზე შექმნილი ლიტერატურის გასამდიდრებლად. „მაგნიუმის შემცველი სასუქების გავლენა თამბაქოს მოსავლიანობაზე აფხაზეთის ტორფოვან და ეწერ ნიადაგებში" — ასეთი იყო თემა სადისერტაციო შრომისა, რომლითაც კოლმეურნეობის თავმჯდომარემ 1961 წელს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამჟამად მუშაობს სადოქტორო შრომაზე, რომელიც თამბაქოს აგროტექნიკას ეძღვნება.

არ ვიცი რატომ, მაგრამ ძლიერ მინდოდა, რომ თვით თამბაქოს მოსავლის ოსტატი, ამ დარგის თვალსაჩინო სპეციალისტი თამბაქოს არამწეველი ყოფილიყო. მან კი პირველ შეხვედრისთანავე „ყაზბეგის" კოლოფი გახსნა და მეც შემომთავაზა.

### თეთრი შადრევანი

ამ ნაკვეთებში ადრეც ვიყავი. ზაფხული იყო, ცხელი და გვალვიანი. მთელი ზაფხულის მანძილზე ერთი წვეთი წვიმაც კი არ ჩამოვარდნია ცას. უცებ დავინახე: ზღვის პირას ზღვასავით მოლივლივე სიმწვანეში თეთრი შადრევანი ავარდა და ბროლივით დაიმსხვრა. ხელოვნურად რწყავდნენ სიმინდს. სიმინდის ყანებს გავცდი და თამბაქოს პლანტაციებში შევედი. ყველაზე მაღალი კაციც კი ჩაიკარგებოდა იმ ორ-ორნახევარი მტკავლის სიგრძე ფოთოლდაყრილ თამბაქოებში. ფოთლებზე ხელი მეწებებოდა და ვუნოსავდი ხვართქლის ყვავილის მსგავს თამბაქოს ყვავილს.

ახლა შემოდგომაა. სიმინდის ფოთლებს სიყვითლე შეჰპარვია. ტაროების სიმძიმისაგან წელში გადღუნულან და თეთრი, თეთრი კბილების გამოჩენით იღიმებიან სიმინდები. თამბაქოს კი ჯერაც არ გაუგია შემოდგომის მოსვლა. ძირზე ფოთოლშემოტეხილი, კენწეროში კიდევ ზრდის წებოვან ფოთლებს.

ანდრო ხეცერიანი დილაადრიან გამოსულა თამბაქოს შესატეხად. ამ საქმეზე მხოლოდ დილას და საღამოს გამოდიან; შუადღისას კი ფარდულებში სხედან და ძაფზე ასხამენ ფოთოლს. შარშანდელი წლიწადი გაუხსენე ხეცერიანს. 0,8 ჰექტარი ჰქონია გაპიროვნებული. 475 კილოგრამი

ალექსანდრა ლატარია.



ფოტო ნ. ჩიბოტაევისა

ქოს წვერი ისევ მაღლა წაედო და ძირში კი ახალი, მშვენივრად გაფოთლილი ღონიერი რტოები ამოეყარა. უკვე თამბაქოს მეორე მოსავლის აღების დრო იდგა. ბრიგადირმა ახლა თვითონ გადაღუნა რამდენიმე ძირი მიწიდან 15-20 სანტიმეტრის სიმაღლეზე. რამდენიმე დღის მერე ნახა — თამბაქოს ეს ძირებიც დაბუჩქებულიყვნენ, წვერიც ამაყად აეზიდათ მაღლა. სიბერეში წასული მცენარე გაახალგაზრდავდა. ლორთქო ფოთოლი დაიყარა.

თავისი აღმოჩენის სიმართლეში დარწმუნებულმა ბრიგადირმა, თავმჯდომარეს აჩვენა ნაკვეთი, რომელშიც ცდა ჩაატარა. თამბაქოს ოსტატს — ტარიელ გუნიას გაეღიმა. თურმე ეს მეთოდი უკვე

# რუსთაველის სახელობისა

## თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ნარკვევი

უნდა მიეღო გეგმით. ის კი მიჰყვა და მოსავალი 1125 კილოგრამამდე აიყვანა. შრომაც დაუფასდა— მარტო პრემიად 900 მანეთი მიიღო.

წელს 0,4 ჰექტარი აუღია ამ მოწინავე მეთამბაქოეს. ოთხჯერ გათოხნა და სასწაულებრივადაც იფეთქა ფოთოლმა. დიდი ხანია რაც უკან მოიტოვა წლევანდელი გეგმა — 700 კილოგრამი.

ასეთი კოლმეურნეები ბევრი ჰყავს მეორე ბრიგადას, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ენოფ ოგანიანი ხელმძღვანელობს. ჯერ ისევ ჭაბუკი იყო, ბრიგადირად რომ დანიშნეს ენოფი, და აი უკვე მეოთხედი საუკუნეა, რაც ამ ბრიგადას ხელმძღვანელობს.

### ბონდო — ვახტანგი

ვახტანგ ფირცხალავა რომ ვიკითხე, თქვენ ალბათ ბონდო გინდათო, მიპასუხეს. ამ კაცს თურმე ორ სახელს ეძახიან — ბონდოსაც და ვახტანგისაც.

ახალგაზრდა ბრიგადირია ვახტანგი. 1950 წელს, არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ, აბაშიდან კოლხიდაში გამოთხოვებულ დასთან ჩამოსულა სტუმრად. არმიაში წასვლის წინ აბაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაემთავრებინა. შეუჩნდნენ და და სიძე — აქ დარჩი, ჩვენს კოლმეურნეობაში იმუშავეო. ბოლოს დაითანხმეს. ახლა კი მისი ბრიგადის წევრები არიან მისი დაც და სიძეც.

ეს ამბავი შარშან მოხდა. ვახტანგი დღედაღამ იმაზე ფიქრობდა როგორ გაედიდებინა მოსავალი. ერთხელაც შემთხვევით ნახა — თამბაქოს ერთი ძირი რაღაცას წაექცია. მიწაზე დაწოლილ თამბა-

ცნობილი ყოფილიყო, შეაქო და შეათამამა ბრიგადირი.

— სხვა მეთოდებსაც თუ მიმართავთ-მეთქი, — ვიკითხე.

მეორე მოსავლის აღების პერიოდში, გადაწვენის გარდა, ძირში გადასჭრიან ხოლმე თამბაქოს. ძირი ბუჩქდება და ახალ რტოებს ამოიყრის. შევნიშნე, თამბაქოებს ყვავილოვანი თავები წაშტრეული ჰქონდა. ესეც თამბაქოს მოსავლიანობის გასადიდებლად ყოფილა.

ვახტანგ ფირცხალავა, ეს გამხდარი, მაგრამ მოძრავი და ცოცხალი კაცი ფარდულიდან ფარდულში, პლანტაციიდან პლანტაციაში დამატარებს.

ვუკვირდები ადამიანებს, ვხედავ სახელებს — ნამდვილ სიმდიდრეს ჩვენი დროისას.

### ხომ არ სცდებით, ბატონო მამავ...

ამ კაცზე კი რა მოგახსენოთ. იქნებ არც ღირდეს მისი მოხსენიება.

კოლხიდაში ცხოვრობდა ეს კაცი. გაიცნო და ცოლად შეირთო თითით საჩვენებელი, სოფლის სამაყო ქალიშვილი, ბავშვობიდანვე სახელო შრომაში რომ იყო ჩაბმული.

სამი შვილი ეყოლათ, სამი დიდი სიხარული. მაგრამ ამ სიხარულს ღრუბლივით ჩრდილავდა მამა — დღედაღამ სმა, დროსტარება, ჩხუბი, გინება. გაალატაკა, გატეხა ოჯახი და ბოლოს მიატოვა კიდეც.

დარჩა ლიდა ხარებავა წვრილშვილითა და დანგრეული ოჯახით. სოფელი მხარში ამოუდგა მარჯვენამოუღლელ ქალს. ხვავი და ბარაქა მიეცა



ოჯახს, წელში გაიმართა, გამაგრდა. დედას მხარში ამოუდგნენ ქალიშვილები. ყოველ თავისუფალ წუთს, მთელ არდადეგებს, დედასთან ერთად, შრომაში ატარებენ. წელს დედას 500 შრომადღე აქვს გამომუშავებული, შვილებს 70-80 შრომადღე თვითეულს. შარშან ლიდამ გეგმის ზევით ჩაბარებული თამბაქოსათვის 800 მანეთი პრემია მიიღო.

ლიდას ქალიშვილები — მერვე, მეცხრე და მეათე კლასის მოსწავლეები — მაცნობენ თავს.

— ლორა!

— ლამარა!

— ლუნა!

ლუნა კი არა, მთვარისა ხარ-მეთქი, — ვუთხარი. კარგი, ასე იყოსო.

გაწითლდა, გაიღიმა. დაე, ეს ნარკვევი იყოს მისი ნათლია.

ცხრა წელია წავიდა, ცხრა წელია არ უნახავს მამას შვილები. არც დახმარებია, უბრალოდაც არ უკითხავს. შარშან სატირალში ჩამოსულიყო და შორიდან მოჰკრეს თვალი შვილებმა. გარე-გარე დადის მამა, გაიზრდებიან და მაინც ჩემები იქნებიანო, — ამბობს თურმე.

ვი. ორსართულიანი სახლის ხეივნიან ეზოში შევედით. სულ ხუთი წლის აშენებული სახლია, თითო სართულზე სამ-სამი ოთახით, სამზარეულოთი და აბანოთი. ეზოს მშვენიერი ვენახი აკრავს — დაქარვებულა ორი ათას კვადრატულ მეტრზე გაშენებული ოჯალეში და ცოლიკაური. სანდრო ლატარია სხვის ხელს არ მიაკარებს ვენახს. ვენახიც უყვარს და მისი წვენიც. სადილზე რა სჯობს ოჯალეშს, ჭიქაში მზის სხივები რომ კამკამებენ! დაჯდება, ისადილებს, ერთ ლიტრა ღვინოს დააყოლებს და ღიღინით გაუდგება სათიბისაკენ მიმავალ გზას, თუ თამბაქოს პლანტაციისაკენ სიმივით გაჭიმულ ბილიკს.

ოთხნი არიან ოჯახში. მისმა მეუღლემ ალექსანდრამ შარშან 250 პროცენტით შეასრულა თამბაქოს მიღების გეგმა და 300 მანეთიც მოიტანა მარტო პრემიის სახით. ამას გარდა, ორ ტონამდე სიმინდი ერგო. წელს კი უკვე ორასი პროცენტით აქვს შესრულებული თამბაქოს ჩაბარების გეგმა. მათი შვილი [illegible] მეცხრე კლასის ფრიადოსანი მოსწავლეა. ამ ზაფხულს სტუმრად ჩამოსულმა ბიძაშვილმა ბევრი ხვეწნის მერე ძლივს წაიყვანა ხობში, მაგრამ სამიოდე დღის შე-

ახლა კი ვეღარ ვითმენ და ძალაუნებურად თავისით მოდის კალმისწვერზე თქვენი სახელი: ხომ არ სცდებით, იპოლიტე ახალაიავ?!

### 81 წლის მამა და 8 წლის შვილი

როცა ბრიგადირმა მითხრა — ამ ნაკვეთებს ოთხმოცდაერთი წლის კაცი უვლისო, არ დავიჯერე. მაშინ წამოდი და თვითონ ნახეო. მეც გავყევი.

მდეგ გამოექცა ხობელებს, ჯერ მარტო 77 შრომადღე მაქვს და აქ დროს ნუ დამაკარგვინებთო. ამ დღეებში არ ანგარიშობს ორმოცდაათ კილოგრამ აბრეშუმის პარკს, დედის სახელით რომ ჩააბარა და თვითონ კი მოიყვანა.

არც ყველაზე უმცროსი, რვა წლის ალექსანდრე გახლავთ უსაქმური. უკვე მეორე კლასში გადავიდა და ბეჯითად სწავლობს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ტარიელ გუნია და პარტორგანიზაციის მდივანი არსენ კასპარიანი.



— ძია სანდრო, პენსიაზე როდის გადახვალ-მეთქი, — ფრთხილად შევაპარე თითქმის საუკუნის ტოლს კაცს.

— რათ? ხომ არ დამცინი! — წარბი შეიკრა სანდრომ.

### შოთა რუსთაველის კარ-მიდამო

ჩემი წამოსვლის დღე დადგა და დილაადრიან კოლმეურნეობის კანტორას მივაკითხე.

სოფლის ავ-კარგზე, კოლმეურნეობის საერთო მაჩვენებლებზე ვსაუბრობთ მე და ტარიელი.

კოლხიდელებს თითქმის სულ არ ჰქონდათ ვენახი. წელს პირველ მოსავალს იღებენ 20 ჰექტარიდან. 1970 წლისათვის ექნებათ 80 ჰექტარი ვენახი, 80 ჰექტარი ციტრუსები (ახლა 5 ჰექტარია), 10 ჰექტარი ფეიჯოა (არის 3), 80 ჰექტარი ხეხილის ბაღი (არის 5).

სასმელი წყალი უჭირს კოლხიდას, ძალიან უჭირს. და აი მალე დაიწყებენ წყალსადენის გამოყვანას, რომელიც ასი ათასი მანეთი დაჯდება.

[illegible] ხუთი წლის მანძილზე, დამთავრდა კოლხიდის ელექტროფიცირება — ეს კეთილი მეკვლე გვიან მოვიდა კოლხიდელებთან, აშენდა საკოლმეურნეო კულტურის სახლის დიდებული შენობა, შეიძინეს ახალი კინოდანადგარი, აშენდა წისქვილი, სამჭედლო, გარაჟი, დაწყებითი სკოლის შენობა, მეორე სართული დაედგა საშუალო სკოლის შენობას.

კოლხიდელებს ძალიან უყვართ ფეხბურთი. სოფლის საკოლმეურნეო გუნდმა გაგრის რაიონში პირველობა მოიპოვა და მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის პირველობაზე მოწყობილ შეჯიბრებაში. დაიმსახურეს ბიჭებმა, მათზე ალალია კარგი სტადიონი. ჰოდა, კოლმეურნეობამ გეგმაში შეიტანა სტადიონის აშენება და 50.000 მანეთიც გამოყო ამ საქმისათვის. აბა მერე ნახეთ რას იზამენ კოლხიდელი ჭაბუკები!

სულ რაღაც ორმოცდაათიოდე წლის ისტორია აქვს კოლხიდას. ადრე ეს მიდამო გაუვალი ბუჩქნარითა და ტყით ყოფილა დაფარული. შემდეგ მის ნაყოფიერ მიწებს ხმა გაუვარდა, ახლომახლო სოფლებიდან თუ გურიიდან და სამეგრელოდან ხალხმა მოაშურა, დაუმუშავებელ მიწას ბარი დაჰკრა და მიწამაც მარგალიტი ამოადუღა.

მიწა კი არა რძეა, კარაქია; ჰაერი კი არა თაფლია, ზღვის ტალღებზე და მთის კალთებზე შეზავებული. თუ არა გჯერათ, მოდით და ნახეთ!

ამ მშრომელ ხალხს დიდებული სახელიც შეურჩევიათ თავისი კოლმეურნეობისათვის.

— რუსთაველის სახელობისა!

სადგურისაკენ მიმავალ გზას მივუყვები და შოთას კარ-მიდამო მგონია კოლხიდა, ვეფხვის ზურგივით აჭრელებული ყვავილებიანი ეზოებით, ლექსის სტრიქონებივით გავლებული ნარგავებით, და მოქნეული კიპაროსებით, ევკალიპტებით, მშრომელი და ახლის მაძიებელი ადამიანებით, მშვენიერი დღევანდელი დღითა და ლამაზი მომავლით.

ამ ლამაზ სოფელში ამაყად შემოსულა რუსთაველი და საუკუნოდ დამკვიდრებულა.

მომავალ წელს კი კოლხიდის ნესტანები და თინათინები, ტარიელები, ავთანდილები და ფრიდონები უკვდავი პოეტის დაბადების რვაასი წლისთავისათვის სოფელში აღმართავენ შოთა რუსთაველის ძეგლს.

იმ დღეებშიც აუცილებლად ვესტუმრები კოლხიდას.

# რეზო ამაშუკელი



ეროვნული ბიბლიოთეკა



## მანგლისი

1

მინდორში რემა კვიცებს
თვალს თეთრი ფერით ართობს,
სალიპარიტო მიწები
გადაუკვალავს ტრაქტორს.
მიწურვილია მკათათვე,
პურში ხმიანობს მწყერი,
იქით ტყე არი სადათვე,
აქეთ სახოხბე სერი.
შუა ალგეთის წყალია,
მაღლით ფიჭვების ტევრი,
ისეთი სანახავია —
შურით მოკვდება მტერი.
არე და შემოგარენით
გაბრწყინებული სახე...
— მიმტვრია გულის კარები,
როცა მანგლისი ვნახე!

2

ჩამოვიგლიჯე თეთრი ნიღაბი
და გასართობად დავუტოვე ზაფხულის
თბილისს,
და ახლა ვწევარ
გაშხვართული ტრიალ მინდორში,
ჯანმრთელი, როგორც გლეხის ბიჭი
და გარუჯული.
და ჩემს თვალებში იხედება სულიერივით
მინდვრის ყვავილი,
იგი ყინწვისის ანგელოზის
კაბის ფერია
და ლურჯად ბუტავს,
როგორც ცრემლი ზაფხულის წვიმის.
...გადამიარა თავზე ქედანმა
ფრთების ფათქუნით
და მომიტანა პურის ყანის
მწიფე სურნელი.
მე ახლა ვწევარ
გაშხვართული ტრიალ მინდორში,
ჯანმრთელი, როგორც გლეხის ბიჭი
და უდარდელი.



## დრო აღარ იცდის

შენ უკვე უხმოდ შედიხარ ხანში
და დინჯი კაცის ნიღაბს იკეთებ,
და მაინც
როგორც პატარა ბავშვი
იჯერებ ქვეყნის ყველა სიკეთეს.
ოთახში დარჩა ბახის ფუგები
და დამტვერილი მძიმე ტომები,
აივსო შორი სივრცით გუგები,
სწრაფვის სურვილით და მონდომებით.
ყაყაჩოებად მცურავი ნისლში
ჩანან ქედებზე წითელი ტბები,
და ასე ჩუმად წასული ფიქრში
მზეზე დამდგარი წყალივით თბები.
დრო კი საოცარ სისწრაფით კივის,
დრო აღარ იცდის,
დრო ულვთოდ გარბის,
და განცდა უნდა მთლიანად ტკივილს,
რომ არ გამოდგეს სიცოცხლე ყალბი.
გადამსხვრეული ფანჯრის მინაზე
გესმის ქალაქის მბრუნავი მარში
და დგახარ დიდი ფიქრის წინაშე,
როგორც შიშველი და ჩვილი ბავშვი.



## ზღვა

თეთრი მედუზა ბრწყინავდა წყალზე,
ზღვა იყო მწვანე,
წყნარი და თბილი,
და პირველყოფილ სინაზით სავსე
შენ გვერდით გედგა ლამაზი შვილი.
და გამომწვარი სპილენძის ფერი
ჩანდი ნატიფი გრძელი ხაზებით,
— და მე მიყვარდი ხუთი წლის მერეც
იგივე განცდით და აღტაცებით.
და ირწეოდა მთვლემარე პორტი,
და წითელ ფერშიეძინა ქვიშას,
და მე ცხოველურ გუმანით ვგრძნობდი
მოახლოვებულ მოქცევას ზღვისას.



## განშორება

თაროზე იდგა თიხის ქოთანი
და კოწახურის წითელი ტოტი,
იმეორებდა შენი ოთახი
ჩემთვის ნაცნობ და საყვარელ მოტივს.
და მე ვუკრავდი
წასული ფიქრში,
ვუკრავდი,
როგორც დიდი ხნის წინათ
და ღამეული ლანდების შიშით
ეხეთქებოდნენ პეპლები მინას.
შენ მხარზე გედო ლამაზი თავი,
დაღლილი ჩუმი მოწყენის შემდეგ,
გობელენები ირმებით რთავდნენ
გამოხუნებულ ყავისფერ კედელს.
იჯექი ასე,
ერთი შეხედვით
შეგუებული შენს მარტოობას,
და ხორკლიანი ცივი ფეხებით
შენს სულში ეჭვებს ქსოვდა ობობა.
გარეთ კი დახრილ სახურავებზე
ზაფხულის მთვარე წყნარად მღეროდა
და ყოველგვარი სიტყვის გარეშე
ვგრძნობდი, რომ ჩემი აღარ გჭიროდა.
მე კი ვუკრავდი წასული ფიქრში
ვუკრავდი,
როგორც დიდი ხნის წინათ...
და ღამეული ლანდების შიშით
ეხეთქებოდნენ პეპლები მინას...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენო კონჯარია

მოთხრობა

მათ კურორტზე გაიცნეს ერთმანეთი, შავი ზღვის სანაპიროზე.

ჩაფსკვნილ, მსხვილძარღვა და წარმოსადეგ ქირურგს ალექსი კოცუბას თავიდანვე მოეწონა მაღალ-მაღალი, გამხდარი ჟურნალისტი ბესიკ მინდიაშვილი. მათ მალე გაუგეს ერთმანეთს, მით უფრო, რომ კოცუბასაც კალამი უჭრიდა და არა ერთი წერილი ჰქონდა დაბეჭდილი უკრაინულ გაზეთებში.

კიდევ ერთი რამ იტაცებდა მოუსვენარ ქირურგს: მოგზაურობა უყვარდა; ახლად გაცნობილი ბესიკი ჩქარა აიყოლია და ერთ დღეს მისი ცისფერი „ვოლგა" გაჰყვა გზას ჩრდილოეთ კავკასიისკენ.

მანქანა მდინარე ჩილოვკის გასწვრივ, ხეობაში შეიჭრა.

საჭესთან მჯდომმა კოცუბამ მიმღები ჩართო და როგორც კი გაისმა მელოდია — „საყვარლის საფლავს ვეძებდი", ალექსი უმალ დაიძაბა, თანამგზავრს მოხედა — „თითქოს ჩემი თხოვნა გაიგონესო", თქვა ნელი ხმით და მერე დაუმატა: — როგორ უყვარდა ლენას ეს სიმღერა...

მერე ფიქრებმა თითქო ერთბაშად აიტაცეს და წარსულში წაიყვანეს.

...იმ დღეს გერმანელებმა ქალაქი დაბომბეს, ერთი ბომბი ჰოსპიტალსაც მოხვდა, — საოპერაციო ოთახი ჩამოინგრა, კოცუბას მარცხენა ხელი და ფეხი დაუზიანდა. ახალგაზრდა ქირურგი მაშინვე მსუბუქად დაჭრილთა პალატაში დააწვინეს. ლენა თავს დასტრიალებს, სასთუმალთან უზის ნიადაგ.

— წაგიკითხავ რამეს! — ეუბნება მიამიტად შავთვალა გოგონა.

— არა, მიმღერე.

— „სულიკო"?

ლენა გადახედავდა დაჭრილებ ხომ არ შეწუხდებიანო, ზოგი თავს უქნევს ნიშნად თანხმობისა, ზოგი ნელის ხმით წაიჩურჩულებს — „იმღერე, ლენა, იმღერე"...

ბესიკი ხმაგაკმენდილი იჯდა მანქანაში, მან არ იცოდა ვინ იყო ლენა, მაგრამ გრძნობდა ახლა ამისი კითხვა უადგილო იქნებოდა.

სიმღერა რომ დამთავრდა, ალექსიმ მიმღები გამორთო. ახლა თვითონ გადმოალაგა გულისნადები.

— ცხრაას ორმოცდასამი წლის იანვარი იყო. მე და ლენამ ხელი მოვაწერეთ და პატარა, ფრონტული ქორწილი გადავიხადეთ. გავიდა ხანი და გამომიტყდა — ფეხმძიმედ ვარო. სხვა გზა არ იყო, უნდა წასულიყო. დღევანდელ დღესავით მახსოვს, რომ დამიბარა: პატარას ბებიას დავუტოვებ, კვლავ დავბრუნდები და სულ შენთან ვიქნები, აქედან ფეხს აღარ მოვიცვლიო.

ალექსი შეჩერდა, ცხვირსახოცი ამოიღო, სახეზე ოფლი შეიმშრალა, მერე ბესიკს გადახედა და თავის ქნევით დასძინა: წავიდა და წავიდა... მორჩა, ამით გათავდა ყველაფერი.

— მერე აღარაფერი იცი მისი?

— არაფერი. ბევრი ვეძებე, მაგრამ ამაოდ. ომის შემდეგ ჩაველი კიდეც მის სოფელში, კურსკთან ახლოს იყო ეს სოფელი, მაგრამ გარკვევით ვერავინ მითხრა მისი ამბავი. მხოლოდ გვიან, ძალზე გვიან შემხვდა ერთი ფრონტელი მეგობარი, რომელიც ლენამ ადრე სიკვდილს გადაარჩინა, ნაცნობ ექიმს მოეწერა მისთვის, რომ მე და ლენა ერთად ვბრუნდებოდით ფრონტზე, ჩვენი ეშელონი დაბომბეს, მე მძიმედ დავიჭერი, ის კი დაიღუპა.

ერთხანს ორივე დამუნჯებულნი ისხდნენ მანქანაში, მერე კვლავ ალექსიმ დაარღვია სიჩუმე:

— ჩვიდმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, ზუსტად ჩვიდმეტი და ასე მგონია გუშინ გამოვეთხოვე მას.

საუბარში კარგა ხანმა გაიარა, დღე მიიწურა. მდინარის გაღმა გავიდნენ; ერთხანს მთებს შორის ჩახვეული გზით მიიწევდნენ ზევით, მერე მთები უკან ჩამოიტოვეს და ფერდობზე შეფენილ სოფლის შარაგზას აუყვნენ. წინ ნალჩიკი, გროზნო, ორჯონიკიძე იყო, იქით კი დარიალის ხეობა.

სოფელში რომ შევიდნენ, მოტორმა ჭირვეულობა დაიწყო, მერე მანქანა სულ გაჩერდა, ალექსი ჩავიდა, მოტორს სახურავი ახადა, მთელი საათი იწვალა, მაგრამ ვერას გახდა.

მზე უკვე ჩადიოდა, ცოტა ხანი და მორჩა, შემოაღამდებოდათ. სულ ახლოს ჭიშკარი გაიღო და ვიღაც შავგვრემანმა, ხანშიშესულმა კაცმა გამოიხედა.

— რა დაემართა მანქანას? — იკითხა უცნობმა.

— გვიმუხთლა, ძია კაცო! —უპასუხა ბესიკმა.

— მეზობელი მყავს, გამოცდილი შოფერია, ახლავე დავუძახებ! —თქვა ბერიკაცმა და შარაგზაზე გადმოვიდა. მალე მოიყვანა კიდეც თავისი მეზობელი. ჭრელთვალება, ქერათმიანმა, სახეჭორფლიანმა ახალგაზრდა შოფერმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

— მორჩა, კონდენსატორი გადამწვარა, სახელოსნოში უნდა წაიღოთ, ხვალამდე ვერაფერს გახდებით, —მიაყარა და დაემშვიდობა.

ალექსიმ ხელი ჩაიქნია უკმაყოფილოდ — ხვალამდე, სათქმელად ადვილია, ამ ღია ცის ქვეშ!

— როგორ გეკადრებათ! — იწყინა მოხუცმა, — სტუმარი ღვთისაა. აგერ ჩემი სახლ-კარი.

მასპინძელმაც და სტუმრებმაც ხელები დაიკაპიწეს, მანქანა ეზოში შეაგორეს და ვეებერთელა ჭადრის ქვეშ დააყენეს.

სახლის გვერდით, აკაციის ღობის გაყოლებით პირდახეთქილი ბროწეულები გამომწვევად იყურებოდნენ.

მასპინძელი წუთით სახლში ავიდა, პირსახოცი და საპონი გამოიტანა, რომ ნამგზავრებს წყალი შეესხათ სახეზე. მერე სტუმრები ეზოს გარეთ ღელეზე ჩავიდნენ.

ღელე ტირიფის რტოებით იყო დაფარული, სუფთა, ანკარა წყალი ნელა მილიკლიკებდა ფერად კენჭებზე.

— ცოტა ღრმაც რომ ყოფილიყო, ვიბანავებდით კიდეც, — ჩაილაპარაკა ალექსიმ.

დაღამდა. მთვარე მთას თითქოს დარაჯად წამოდგომოდა, აქა-იქ ღრუბლის ნაფლეთებით დაბლანდულ ციდან ვარსკვლავები იჭვრიტებოდნენ.

ჭრრ... ჭრრ... ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინები...

უკან მობრუნებულებს სახლის აივანზე მასპინძელი შემოხვდათ.

— მობრძანდით, ნურაფრის მოგერიდებათ — ოთახის კარი გააღო, მერე სკამები გამოუტანა, მოიბოდიშა — რამდენიმე წუთით გტოვებთო.

— ეტყობა მარტოხელა კაცია, — ჩაილაპარაკა ალექსიმ. მის მეტი შინ არავინ ჩანდა, მაგრამ უქალობა არაფერს ეტყობოდა. მოხუცი სამზარეულოში ტრიალებდა. თეფშების წკრიალი ისმოდა.

მასპინძელმა აივნის რიკულზე მიდგმულ მაგიდას სუფრა გადააფარა, დატრიალდნენ სტუმრებიც. ერთი პამიდორის დაჭრას შეუდგა, მეორემ კიტრი დათალა, მალე შემწვარი თევზიც გამოჩნდა.

— მთავარი კი აი ეს არის! — თქვა კოცუბამ და ბესიკს თვალი ჩაუკრა, არყის ბოთლზე ანიშნა.

მასპინძელს გაეღიმა.

— ჩემი შვილიშვილები რაიონის მოწინავეთა შეკრებაზე არიან, თორემ სუფრა უკეთესი გვექნებოდა! — თქვა მოხუცმა და სასმისები შეავსო, სქელი წარბები მაღლა აზიდა და თვალების ხამხამით დასძინა:

— ჩვენ აქამდე არ გაგვიცნია ერთმანეთი. მე გიორგი იაკოვლევი გახლავართ,—და მერე დაუმატა — დავბერდი, სამოცდაათი წლისა მოვიყარე...

შესახედაობით სამოცსაც არ მისცემდით, თეთრი აქა-იქ ერია, მხრებგანიერი, ჯანღონით სავსე ჩანდა.

ალექსიმ და ბესიკმა მასპინძელს გააცნეს თავიანთი ვინაობა.

— ქართველი ხარ? — ჩაეკითხა მოხუცი ბესიკს.

— დიახ!

— იერზე გიცანი. დედაჩემიც ქართველი იყო, ქუთაისელი, გვარად იაშვილი.

ვახშამი გვიანობამდე გაგრძელდა.

* * *

ბესიკს დილით ადრიანად გაეღვიძა. ღია ფანჯრიდან გრილი ნიავი შემოდიოდა. თავი ასწია, გარეთ გაიხედა. ნამნაპკურმა ლოყაწითელმა ატმებმა შემოსცინეს. ალექსი გაალვიძა და ორივენი, მხარზე პირსახოც გადაკიდებულნი, ეზოში ჩავიდნენ.

მასპინძელს უკვე ერთი პირი მუშაობა მოეთავებინა. ბაღში ტრიალებდა, პამიდორს ახვევდა. სტუმრების დანახვაზე გაიღიმა, გულიანად მიესალმა, მშვიდობის დილა უსურვა. ისე უცქეროდა, თითქოს ისინი ძველი ნაცნობები ყოფილიყვნენ.

ეზოს გარეთ ბოსელი იყო. იქიდან რძით სავსე კასრით ქალიშვილი გამოვიდა. სტუმრებს თვალი მოჰკრა თუ არა, თავი დახარა, ნაბიჯს აუჩქარა. მხრებზე ნაწნავებგადაგდებული, ფეხშიშველი გოგონა კოხტად მიარხევდა სავსე ტანს.

— კარგი შვილიშვილი ჰყოლია ჩვენს მასპინძელს, — ჩაილაპარაკა ბესიკმა.

ალექსიმ ირიბად გადახედა.

ორივემ ისევ მოხუცისაკენ გასწიეს. ის ისევ ბაღჩაში იყო, მაღალი, შავგვრემანი ყმაწვილი ედგა გვერდით.

— შვილიშვილები მოგსწრებიათ!— უთხრა ალექსიმ მოხუცს, როცა მის წინ შეჩერდა.

მასპინძელი წუთით შეყოვნდა, მერე წელში გაიმართა და კმაყოფილებით ჩაილაპარაკა:

— ჰო, ესენი-ღა დამრჩნენ იმედად, შვილო! — და ყმაწვილს თავზე გადაუსვა ხელი, მიუალერსა, — ტყუპები არიან, — ბიჭმა თითქოს დაიმორცხვაო, შებრუნდა, კალათი აიღო და პამიდორის კრეფა დაიწყო. პამიდორებს შორის აუარებელი წიწაკა იყო დარგული. ალექსიმ თვალი გადაავლო, დაიხარა, მოწყვიტა, მერე

ბესიკს გაუწოდა —ინებე, შენი საყვარელი რამ არისო.

— ჩანს ბერიკაციც გულგრილად არ უყურებს, — ჩაილაპარაკა ბესიკმა და წიწაკა გამოართვა.

მოხუცმა ჩაიცინა — უამისოდ კერძს არ ვაკეთებთ, ხომ გითხარით, ქუთაისელი იყო-მეთქი დედაჩემი.

— ქუთაისში ყოფილხართ? — ჩაეკითხა ბესიკი.

— ბავშვობის წლები იქ გავატარე, სანამ ბებია და ბაბუა ცოცხლები მყავდნენ. მუხიანი, გეგუთი, ბროწეულა... ეჰ, რამდენი მირბენია!

— მაშინ ქართულიც გეხსომებათ, — კვლავ ჩაეკითხა ბესიკი.

მოხუცს ჩაეცინა, — რატომაც არა — უპასუხა ქართულად, — მაგრამ მას მერე ბევრი მატარა ცხოვრებამ აქეთ-იქით, ომის წინ კურსკის ოლქში ვცხოვრობდით. აქ კი, მამაჩემის ოჯახში, ჩემი უმცროსი ძმა იყო დარჩენილი.

მოხუცმა თავი დახარა, ეტყობოდა საწყენი რამ გაახსენდა, მერე ხმადაბლა განაგრძო: — დაგვაქცია იმ წყეულმა ომმა, ოჯახში აღარავინ დარჩა ცოცხალი, ძმა და რძალი გერმანელებმა დახვრიტეს, მათი ერთადერთი ვაჟი ფრონტზე დაიღუპა, ორმოცდასამი წლის ბოლოს კი მე დავბრუნდი მამისეულ კერაზე და, როგორც ხედავთ, დღესაც აქა ვარ.

აივანზე ავიდნენ. ალექსეიმ სახეზე მოისვა ხელი და ბესიკს გადახედა, მან თავის ქნევით დაუმოწმა — მართალი ხარო; ალექსეი ოთახში შევიდა, ჩემოდნიდან პირის საპარსი მოწყობილობა ამოიღო, გამოიტანა, მერე ანიშნა ბესიკს, ქალიშვილს თბილი წყალი სთხოვეო.

გოგონა აივანზე აუთოებდა რაღაცას, ბესიკი მასთან მივიდა და ჰკითხა: რა გქვიაო.

— ტანია — უპასუხა მან. — რა გნებავთ?

— თბილი წყალი. აგერ იმ კაცს, თქვენს სტუმარს უნდა რომ გალამაზდეს.

გოგონას გაეღიმა, თოვლივით თეთრ სახეზე სიწითლემ გადაურბინა, წაბლისფერი ჩამოშლილი თმები ხელით გადაიწია.

ალექსეიმ თვალი მოჰკრა ხალს, აქამდე თმები რომ უფარავდა.

უნებლიეთ თვალი გააყოლა ქალიშვილს. შემდეგ სარკეში ჩაიხედა და გარინდებულმა დაუწყო თავისთავს ცქერა. მერე უხმოდ წამოდგა და კიბისკენ გაემართა. კიბეებზე ბიჭი შემოხვდა, თავაზიანად გაუღიმა სტუმარს და მოაჯირს აეკრა, რომ გზა დაეთმო. ალექსეიმ უნებლიეთ თვალი დაადგა მის მარჯვენა ლოყაზე გაჩენილ ღრმულს.

უცებ თითქოს თავბრუ დაეხვა, მაგრამ თავს ძალა დაატანა, მოაჯირს ხელი ჩაავლო და ნელა ჩავიდა ეზოში. იქ ერთხანს შეჩერდა, გაოგნებულივით იყო, თითქოს ეშინოდა ფეხის გადადგმისა, ვაშლის ხეს მიეყრდნო და უაზროდ მიაჩერდა ერთ წერტილს.

ბესიკმა თვალი მოჰკრა ხესთან გარინდებულ მეგობარს, გაუკვირდა, პირისაპარსი მოწყობილობა ხელუხლებელი რომ ეწყო მაგიდაზე. თვითონაც დაბლა ჩავიდა, უხმოდ მიუახლოვდა ალექსეის და ჰკითხა:

— რა დაგემართა, ცუდად ხომ არა ხარ?

— არა.

— მაშ რაშია საქმე?

— რა ვიცი, რაღაც მომეჩვენა.

— რა იყო აქ მოსაჩვენებელი?

— რა და, იმ ქალიშვილს რომ მოვკარი თვალი, კისერზე ხალი აქვს, და მაშინვე ლენა დამიდგა თვალწინ. ამ ბიჭსაც ისეთივე ღრმული აჩნია ლოყაზე, როგორიც ლენამ იცოდა გაცინებისას. ალბათ მეჩვენება, რა ვქნა, ასე მემართება ხშირად. რამდენჯერ ქუჩაში მიმავალი უცნობი ქალი მიმიმსგავსებია უცებ ლენასათვის და მერე მთელი დღეობით ვეღარ დავმშვიდებულვარ.

— მაგდენი ფიქრიც აღარ შეიძლება იმაზე, რასაც აღარაფერი ეშველება!

— არა, ბესიკ! ეს ფიქრი მამშვიდებს კიდეც, რაღაც გაურკვეველ იმედს მაძლევს. ის მე ყველგან ცოცხალივით დამდევს თან და შენ წარმოიდგინე, ხანდახან თითქოს ვესაუბრები კიდეც. რაღაც სულ ჩაუქრობელი შუქივით მინათებს გულს.

ამ დროს მასპინძელმა გამოიხედა და საუზმეზე მიიპატიჟა სტუმრები.

ორივენი უხმოდ შევიდნენ სახლში და ფიქრში წასულები ასევე ხმაამოუღებლივ მიუსხდნენ მაგიდას.

მასპინძელმა არაყი დაასხა და ალექსეის მიაწოდა. მან ფიქრში წასულმა გამოართვა და უცებ კედელზე შეამჩნია ჩარჩოში ჩასმული პატარა სურათი. ფეხზე წამოიჭრა და წამოიძახა:

— ეს ვისი სურათია?

— ეგ ამ ბავშვების დედაა!

ალექსეი ადგილიდან ვეღარ დაიძრა. ბესიკი წამოვარდა, სურათი კედლიდან ჩამოიღო და ალექსეის მიუტანა.

მან აკანკალებული ხელით გამოართვა სურათი, ერთხანს უხმოდ დაჰყურებდა, მერე ძლივს ამოილუღლუღა:

— ჩემი ლენა... — მერე უცებ მიმოიხედა, თითქოს ახლა გაერკვა ყველაფერში, ახლა უფრო ხმამაღლა წამოიძახა — ბავშვები სად არიან...

და-ძმამ მეორე ოთახიდან ერთად გამოიხედეს. ალექსეი თავბრუდახვეულივით გაემართა მათკენ, ორივეს მოხვია ხელი, მაგრამ ჩაიკრა გულში:

— შვილებო!.. — ესღა წამოიძახა და ატირდა.



ქართული ლექსის ჩინებულმა ოსტატმა, ისტორიული რომანების „ლაშარელასა“ და „დიდი ღამის“ ავტორმა გრიგოლ აბაშიძემ ამას წინათ გამოსცა თავისი მოთხრობების კრებული. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რაოდენ მრავალმხრივია მწერლის ტალანტი და რაოდენ ფართოა მისი შემოქმედებითი ამპლუა, რაოდენ მრავალფეროვანია ჟანრები, რომლებსაც იგი თავისუფალი ოსტატობით ეუფლება.

მაგრამ ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს ჟანრების საკითხს — მისთვის მთავარია რამდენად საინტერესო და ამაღელვებელია ის პრობლემა, რომელიც წამოჭრა მწერალმა. უნდა აღინიშნოს, რომ გრ. აბაშიძე აქაც მუდამ პასუხობს მკითხველის — სულ უფრო და უფრო მზარდ მოთხოვნილებებს. მის ახალ წიგნში შეტანილი სამი მოთხრობა — ესაა სამი უაღრესად თავისებური ცხოვრება, ნაჩვენები მთელი სიმძაფრითა და სისავსით. საერთოდ, გრიგოლ აბაშიძე თავის გმირებს იშვიათად წარმოგვიდგენს ცხოვრების რომელიმე ცალკეულ მონაკვეთში, იგი მემატიანის დაგვარად, თითქოს მთელი ცხოვრების მანძილზე დაგვატარებს პერსონაჟის სულიერ სამყაროში და განგვაცდევინებს ადამიანის სიხარულსა და ტკივილებს.

„ქვევრში“ დახატულია ცხოვრება ერთი მეტად საინტერესო კაცისა.

ამ ნაწარმოების მთავარი გმირის, ელიზბარის ცხოვრებაში ერთმანეთს ცვლიან ქარიშხლიანი და მშვიდი დღეები, მაგრამ მისი სულიერი სამყარო მუდამ ისე წმინდაა და ნათელი, როგორც ცის ის ნაჭერი, რომელსაც თითქოსდა ქვესკნელიდან, ქვევრიდან ხედავს. და სწორედ ამ ქარიშხლიანი და მშვიდი დღეების სწრაფმა ცვლამ ვერ აგრძნობინა ელიზბარს სიცოცხლის საღამოს მოახლოება.



# გრიგოლ აბაშიძის მოთხრობები

კინემატოგრაფიული სისწრაფით ჩაივლიან ელიზბარის წინ მთელი სიცოცხლის სურათები და ეს კაცი — მრავალჯერ რომ მომკვდარა სცენაზე, ჩუმად და წყნარად მიიცვლება, მაგრამ აქ არაფერია არტისტული, ეს არ არის პოზა; ამ ეპიზოდს გარკვეული ფილოსოფია უდევს საფუძვლად — ასე მშვიდად მიდის ადამიანი, რომელმაც სიმართლისა და კეთილის გზაზე იარა ამ სოფლად.

სულ სხვა სამყაროში გადავყავართ მოთხრობას „ცხოვრება წინ არი“. აქ ერთი ოჯახის ცხოვრების ფონზე ნაჩვენებია დიდი ტრაგედია.

კითხულობთ ამ მოთხრობას და თქვენ გრძნობთ, რომ ჭეშმარიტი ხელოვნების ტყვეობაში იმყოფებით. ქუქუნას სახით ხედავთ უკეთილშობილეს და უმშვიდეს ქართველ ქალს რომელსაც აქვს თავშეკავების საოცრად დიდი გრძნობა, შინაგანი კულტურა და გული, ალსავსე ადამიანის სიყვარულით. საქმე ისაა, რომ აქ მარტო მახლობლის, მეუღლის სიყვარული როდია — აქ მთელი სიმძაფრით ჩანს უფრო დიდი და მაღალი საკაცობრიო გრძნობა ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობისა.

„სისასტიკის გაკვეთილი“ ჰქვია გრ. აბაშიძის მესამე მოთხრობას, მას შორეულ წარსულში გადავყავართ. აქ მართლაც შესანიშნავად არის გადმოცემული საიდუმლოება ადამიანის ხასიათის წრთობისა.

გრ. აბაშიძე შესანიშნავად ფლობს სიუჟეტის და თხრობის განვითარების ხერხებს.

თუ მოთხრობებში „ქვევრში“ და „ცხოვრება წინ არი“ სიუჟეტის განვითარების მხრივ ავტორი კინემატოგრაფიულ ხერხს იყენებს და აწმყოსთან წარსულის შენაცვლებით გადმოგვცემს ადამიანთა ურთიერთობას, მათს ბედს, „სისასტიკის გაკვეთილში“ იგი სწორხაზოვნად ანვითარებს თხრობას. მაგრამ ყველგან ინარჩუნებს რეალიზმისათვის დამახასიათებელ იმ თავისებურებასა და სისადავეს, რომელიც ნაწარმოებს ნამდვილი სიცოცხლის ძალას აძლევს.

გრ. აბაშიძემ ამ სამ მოთხრობაში სამი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ცხოვრება წარმოგვიდგინა. ეს არის გალერეა სხვადასხვა ხასიათებისა და ბუნების, ბედისა და შეხედულებების ადამიანებისა, და თითქმის ყველა მათგანი იმდენად შთამბეჭდავად და ოსტატურად ჰყავს დახატული ავტორს, რომ ძნელად თუ ვინმეს დაავიწყდება, რადგან ეს ადამიანები გვიცანით ნამდვილი ხელოვნების ენით, ჭეშმარიტი პროზაიკოსის კალმით.

გურამ ბათიაშვილი



მცხეთა

# [illegible]



რაჭის ახალი გზა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხვალ

ეთქმის კი ამას ხვალინდელი? უკვე დღეს ახარებს თვალს აწვდილი სართულები ამ ნაგებობებისა, რომლებიც კიდევ უფრო დაამშვენებენ ჩვენს დედაქალაქს.

პირველი ფოტო: ტექნიკურ ნაგებობათა კომპლექსი ვაგზლის მოედანზე. აქ ნაჩვენებია ნაგებობის ფასადი სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან.

შენობა ხუთსართულიანი იქნება. პირველ კორპუსში მოთავსდება ამიერკავკასიის რკინიგზის, თბილისის მეტროპოლიტენის და „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოები, აგრეთვე მეტროს სადგური; მეორე კორპუსში — ამიერკავკასიაში უდიდესი სარკინიგზო დამხარისხებელი ფოსტამტი.

მომდევნო ფოტო — ამიერკავკასიაში პირველი პანორამული კინოთეატრი. მის მშენებლობას უკვე კარგა ხანია თვალს ადევნებენ თბილისელები. იგი ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების შესაყარზე შენდება.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენს ქუჩებში

მეტად საინტერესო მშენებლობა მიმდინარეობს საბურთალოს მეორე უბანზე — მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსის ტერიტორიაზე. აქ განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ახალი ცენტრალური ბიბლიოთეკის მშენებლობა. სულ მალე სპორტის სასახლის მეზობელი უბანი ისეთ სახეს მიიღებს, როგორც მესამე ფოტოზეა ნაჩვენები

დიღომს, ქალაქის ახალმშენებლობათა ამ რაიონს, თბილისელები სამშენებლო მოედანს ეძახიან, და მართლაც, საითაც არ გაიხედავ, ყველგან ჩანს კოშკურა ამწეების ისრები — შენდება ახალი საცხოვრებელი სახლები და არა მარტო სახლები... დიღომში ახლა შენდება ექსპერიმენტალური და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომლის ერთ-ერთ კორპუსს აქ, ბოლო სურათზე ხედავთ.

შალვა სვანი





# ჩვენი ძველი ფალავნები



ივანე გავაშელაშვილი

მთელი ათეული საუკუნეების მანძილზე საქართველოს აურაცხელი მტერი ესეოდა. ამ გაუთავებელ ბრძოლებში განუზომლად დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის გამძლეობამ, ამტანობამ, გამბედაობამ, ფიზიკურმა ძალღონემ და გაწვრთნილობამ, რომლითაც აღჭურვილნი იყვნენ ჩვენი მხედრები, როცა თავგანწირულად იცავდნენ სამშობლოს შემოსეული ურდოების თავდასხმისაგან.

სწორედ ამიტომ, სპორტი საქართველოში მუდამ დიდად საჭირო და საპასუხისმგებლო საქმე იყო და ფალავნის სახელსაც მუდამ პატივისცემითა და სიყვარულით წარმოთქვამდნენ.

## ბურთის თამაში შამქორის ომის წინ

„ქართლის ცხოვრება“ ერთ ასეთ საინტერესო ამბავს მოგვითხრობს: 1195 წელს ბაღდადის ხალიფას მიერ წაქეზებულმა აბუბექრმა დიდძალი ლაშქარი შეჰყარა და საქართველოს მეფის ყმადნაფიცი ალსართანი შარვანიდან გამოაძევა; მაშინ დამარცხებული ალსართანი და მისი ძმა ამირ-მირმანი დიდძალი ამალით თბილისისაკენ გამოიქცნენ, თამარ მეფის წინაშე მუხლი მოიყარეს და შეევედრნენ — გვიშველეო. თამარმა დიდი პატივით მიიღო ლტოლვილნი, საზეიმო შეხვედრა მოუწყო მათ, თანაც განკარგულება გასცა შეეკრიბათ საქართველოს ლაშქარი და საომრად გამზადებულიყვნენ.

ომის წინ კი გადაწყვიტეს ბურთის თამაში გაემართათ, დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, საერთაშორისო ასპარეზობა მოეწყოთ. საქმე ის იყო, რომ ჭაბუკი სტუმარი — ამირ-მირმანი სახელგანთქმულ და უძლეველ მობურთალად ითვლებოდა. მასზე და მის მხლებლებზე ამბობდნენ — „ერაყს, ადარბადაგანსა და ერანს ამათებრი მობურთალნი არ დარჩომილანო“ („ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 67).

და აი, ქართველებმა გადაწყვიტეს მოედანზე გამოეცადათ ეს უძლეველი მობურთალნი. მემატიანე ამ ამბავს ასე გადმოგვცემს:

„მაშინ უბრძანა მეფემან ამირსპასალარსა მისსა ზაქარიას და მსახურთუხუცესსა ივანეს, ჰერეთის ერისთავსა გრიგოლს, და სხვათა მოყმეთა და ჩავიდეს მოედანსა. და მუნით ჩამოვიდა ამირ-მირმან, მისითა დიდებულითა და მონითა, და თვით თამარ საჭვრეტელად, პირითა მით ბრწყინვალითა და ნათელ მფენითა. ისლიმნი, დაჯერებულნი მეცნიერებისანი და მძლე მბრძოლნი, მსწრაფლ იძლივნეს დავით მეფისა და მისთა მოყმეთაგან და შეიქცეს ძლეულნი და მჭმუნვებელნი“ (იქვე).

ხედავთ ვინ გამოსულან სათამაშოდ მოედანზე: თამარის მეუღლე დავით სოსლანი — „ფერ-ნაკვთად კარგი, ბეჭ-ბრტყელი, პირად ტურფა და ტანად ზომიერი ვაჟკაცი“, საქართველოს გამოჩენილი სარდლები — ზაქარია და ივანე მხარგრძელები (ზაქარიას ძალღონის გასათვალისწინებლად გაიხსენეთ როგორ გაუმასპინძლდა იგი სულთან ნუქარდინის თავხედ ელჩს — „უხეთქა ხელითა პირს და ვითარცა მკვდარი დაეცა და იდვა“), ჰერეთის ერისთავი გრიგოლ ასათის-ძე და სხვა მოყმენი, და მათს ასპარეზობას უცქეროდა თვითონ თამარი — „პირითა მით ბრწყინვალითა და ნათელ მფენითა“.

როგორც მემატიანე იუწყება, ამირ-მირმანსა და მის მხლებლებს თამაში სწრაფად წაუგიათ და ამის გამო ძლიერ დაღონებულან („შეიქცეს ძლეულნი და მჭმუნვებელნი“).

ამის შემდეგ საომრად გაემართნენ. თუ რაოდენ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ქართულმა ჯარმა შამქორის ველზე — ამას აღარ აღვწერთ, ჩვენს თემას ეს არ ეხება.

## „რომელი სჯობდეს, აწ სცანით“

მზეჭაბუკი, იმარინდო, დორათ დილამი, მოსორ ნადირისძე, ამირ იამანელი, ლამარ ლაზნელი... ეს ჩვენი ძველი ჩემპიონები გახლავან, სპორტის სულ სხვადასხვა სახეობაში.

როდის ცხოვრობდნენ ისინი? ეს არ ვიცით, ხოლო მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანი“, სადაც მათი ამბავია გადმოცემული, როგორც ჩვენი მეცნიერები აღნიშნავენ, დაწერილია თამარის მეფობის მიწურულში, XII-XIII საუკუნის პირველ წლებში (იხ. კ. კეკელიძე — ქართ. ლიტ. ისტორია, II, 1958, გვ. 80).

როგორც მოსე ხონელი მოგვითხრობს, შეჯიბრება, რომელსაც ყველაზე უკეთესნი უნდა გამოევლინებინა, „მრავალნი დღენი“ გაგრძელებულა. აი თავათ ტექსტიც:

„დავყავით მრავალნი დღენი, ვასპარეზობდით, ვიმღეროდით, ვნადირობდით და სიხარული იყვის დიდი. მშვილდოსანსა ყველასა მზეჭაბუკი სჯობდა, მოასპარეზესა ყველასა იმარინდო სჯობდა, ოროლითა მომღერალსა ყველასა დორათ დილამი სჯობდა, მონადირესა ყველასა მოსორ ნადირისძე სჯობდა, მოჭადრაკესა ყველასა ამირ იამანელი სჯობდა, მცურავსა ყველას ლამარ ლაზნელი სჯობდა. ესე მე თვით მინახავს ლამარ ლაზნელისაგან რომელ რაზომცა დიდი წყალი იყვის, შეკაზმული კაცი ღლიასა შემოიგდის და იმიერით გაიტანის“.

ერთი წუთით დავუშვათ წარმოუდგენელი რამ: ნეტავ რით დამთავრდებოდა ტურნირი, ეს „ყველას მჯობი“ მაშინდელი მოჭადრაკე ამირ იამანელი დღევანდელ ჩემპიონებს რომ შეხვედროდა; ძნელი სათქმელია ეს, ვინაიდან თავისი ვირტუოზები ჭადრაკს მაშინაც ჰყავდა. მაგრამ ეს კი ნათელია, რომ ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს და მსოფლიო რეკორდსმენს დონ შოლანდერს, მეტი რომ არა ვთქვათ, გაუჭირდება გამეორება ლამარ ლაზნელის იმ რეკორდისა, რომელიც აღწერილი აქვს მოსე ხონელს.

ახლა სხვა ჩემპიონებზე — მოასპარეზე, მგონი ამ შემთხვევაში, ტანმოვარჯიშეს უნდა ნიშნავდეს, აქ იმარინდოს აულია პირველობა, „ოროლით მღერა“ კი, რომელშიც ყველასათვის დორათ დილამს უჯობნია, დაახლოებით ახლანდელ მოფარიკავეს უნდა უდრიდეს.

ასპარეზობის შემდეგ გამარჯვებულთათვის ჯილდოები დაურიგებიათ — „მეფემან ყოველთა საბოძვარი უბოძესო“, მოგვითხრობს მოსე ხონელი.

ცხადია, მხატვრულ ნაწარმოებს მატიანის სიზუსტე არ მოეთხოვება, მაგრამ იგი მაინც ერთგვარი ანარეკლია ცხოვრებისა: „ამირან-დარეჯანიანის“ ავტორის ეს ცნობაც მხოლოდ იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ იგი მოწმობს — ძველ საქართველოში დიდი ასპარეზობანი იმართებოდა და სპორტის ყველა სახეობას თავისი ჩემპიონი ჰყავდა.

## რეკორდები და მატიანეები

ძველ საქართველოში, ცხადია, სპორტული გაზეთი არა ჰქონდათ, საერთოდ ასეთი რამ მაშინ ჯერ არ არსებობდა, მაგრამ სამაგიეროდ, ჩემპიონებსა და რეკორდებს მემატიანენი აღრიცხავდნენ და სპორტს ისეთ დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ, რომ ასპარეზობის აღწერანი დიდი ომების აღწერის გვერდით შეჰქონდათ. ეს უკვე ვნახეთ „ქართლის ცხოვრების“ მაგალითზე, უფრო ადრე კი, ანტიკურ ეპოქაში, ქართველ სპორტსმენებზე ბერძენი და რომაელი ავტორები წერდნენ.

ძველი ბერძენი მწერლის აპოლონიოს როდოსელის (მესამე საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე) წიგნში „არგონავტიკა“ აღნიშნულია, რომ კოლხეთში, სატახტო ქალაქის პირისპირ, ველზე ვრცელი ასპარეზი იყო მოწყობილი და გარს მოაჯირი ერტყა. კოლხები აქ ბრწყინვალე გმირების მოსაგონებლად რბენასა და მხედრულ შეჯიბრებას აწყობდნენო.

ძველი რომის ისტორიკოსი ტაციტუსი (55-120 წ. წ.) მოგვითხრობს, რომ იბერიის მეფეს ფარსმანს ჰყავდა, სხვათა შორის, ერთი შვილი; სახელად მას რადამისტს ანუ ქართულად როდამს ეძახდნენ. ეს თვალადი და ტანადი ჭაბუკი ისეთი დახელოვნებული მოასპარეზე და მოვარჯიშე ყოფილა, რომ სახელი გაუთქვამს მას არა მარტო სამშობლოში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიაც.

ძველი ბერძენი ისტორიკოსის დიონ კასიოსის (დაახლ. 164-229 წ.წ.) ცნობით, იბერიის მეფე ფარსმანი თავისი ამალით რომის კეისარს ადრიანეს ეწვია. ფარსმანმა, მისმა შვილმა და სხვა ქართველებმა სამხედრო ასპარეზობა გამართეს. კეისარს ისე მოეწონა მათი ასპარეზობა, რომ მარსის ველზე (მოედანი იყო ძველ რომში, მდ. ტიბრის ნაპირზე, სადაც სპორტული თამაშები იმართებოდა) იბერიის მეფის ცხენიანი ქანდაკება დაადგმევინა.

ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი (დაახლ. 536-582 წ. წ.) გადმოგვცემს კოლხებზე — მე არ მეგულება სხვა ტომი ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც სიმამაცით, ისე სიმდიდრით, ზნე-ჩვეულებათა სიმწყობრით და დახვეწილობითო. შემდეგ იგი ლაპარაკობს კოლხთა ცხენოსნობასა და ნაოსნობაზე.

ბიზანტიელ ისტორიკოსს პროკოპი კესარიელს (მეექვსე საუკუნე) თავის წიგნში „გუთებთან ომის ისტორია“ აღწერილი აქვს კოლხეთის უძველესი ციხე-ქალაქი აფსარი (ესაა დღევანდელი სოფელი სარფი, ბათუმის რაიონში, მდ. ჭოროხის სამხრეთით. იხ. პ. ინგოროყვა — „გიორგი მერჩულე“, 1954 წ. გვ. 204). „ძველად აქ ქალაქში, — წერდა პროკოპი კესარიელი, — დიდძალი მოსახლეობა ყოფილა. მას გარს ერტყა უმძლავრესი გალავანი, ქალაქს ამშვენებდა თეატრი, იპოდრომი და ყოველივე დანარჩენი, რაც ჩვეულებრივ მეტ-

# ცნობისმოყვარის კუთხე

## პასუხები ჟურნალ „დროშის" მე-9 ნომერში გამოქვეყნებულ კითხვებზე

1. მეცნიერი, რომელსაც 16 წლის ასაკში მიენიჭა აკადემიკოსის წოდება, იყო გამოჩენილი ფრანგი ეგვიპტოლოგი ჟან ფრანსუა შამპოლიონი. 1807 წელს მან ქ. გრენობლის (საფრანგეთი) აკადემიას წარუდგინა თავისი პირველი შრომა „ეგვიპტე ფარაონების დროს". იმავე სხდომაზე, როცა მოხსენება დაამთავრა, მას ერთხმად მიანიჭეს აკადემიკოსის წოდება. თექვსმეტი წლის აკადემიკოსი გაემგზავრა პარიზში და უნივერსიტეტის პირველ კურსზე ჩაირიცხა სტუდენტად; 1809 წელს, 18 წლის რომ გახდა, ის მიიწვიეს პროფესორად გრენობლში, ისტორიის კათედრაზე. 1815 წელს, ნაპოლეონის დამხობის შემდეგ, მას როგორც ნაპოლეონის მომხრეს და თაყვანისმცემელს, აუკრძალეს სამეცნიერო მოღვაწეობა. 1827 წელს აირჩიეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად, 1830 წელს — საფრანგეთის აკადემიის წევრად.

შამპოლიონის უდიდეს დამსახურებად ითვლება ის, რომ მან გაშიფრა და წაიკითხა მანამდე გაუგებარი და ამოუხსნელი ეგვიპტური იეროგლიფები.

2. გამოჩენილი ფიზიკოსი, რომელიც განათლებით იურისტი იყო, გახლდათ გერმანელი მეცნიერი ოტო ფონ გერიკე (1602-1686 წ.) მან შექმნა ერთ-ერთი პირველი ელექტროსტატიკური მანქანა და შეისწავლა ელექტრონული მოვლენები, ამას გარდა, მან პირველმა ააგო წყლის ბარომეტრი და გამოიყენა იგი ამინდის პროგნოზისათვის.

3. ოტო ფონ გერიკე, იმავე დროს, იყო ბურგომისტრი ქ. მაგდებურგისა. შემდგომში, მე-18 საუკუნეში, შვიდწლიანი ომის დროს ამ ქალაქის ციხეში, როგორც სამხედრო ტყვე, დამწყვდეული იყო დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი.

4. ფილოსოფოსი, რომელიც ჯერ მწყემსი იყო და შემდეგ მეჩექმე, გახლდათ გერმანელი იაკობ ბემე (1575-1624) წ.). მისი მთავარი თხზულებაა „ავრორა ანუ ცისკრის ვარსკვლავი მისი ამოსვლისას". (რუსულ ენაზე ითარგმნა 1914 წელს).

5. ხელოვანი, რომელიც დაკრძალეს გარდაცვალებიდან 56 წლის შემდეგ, იყო გენიალური იტალიელი მევიოლინე და კომპოზიტორი ნიკოლო პაგანინი (1782-1840 წ.). მისი დაკრძალვის ნებას არ იძლეოდა რომის პაპი.

ყვილებს ქალაქის სიდიდესა და მნიშვნელობაზე. ახლა ამ ქალაქისაგან აღარაფერი არ დარჩენილა, თუ არ ჩავთვლით შენობათა ნაძირკვლებს".

ჩვენთვის აქ საინტერესოა მითითება იპოდრომზე; ეს დამახასიათებელია ძველი კოლხეთისათვის, რომელსაც მთელ იმდროინდელ მსოფლიოში განთქმული ცხენოსანი ჯარი ჰყავდა.

* * *

მომდევნო ეპოქებში, კერძოდ შუა საუკუნეებში სპორტს საქართველოში სულ უფრო და უფრო ფართო გასაქანი ეძლევა. ამის გამომხატველი ჩანს რუსთაველის გენიალურ „ვეფხისტყაოსანში". ამ უკვდავი პოემის თემა — სამშობლოს სიყვარული, მეგობრობა და გმირობაა, ადამიანის სულიერი სილამაზეა, მაღალი ჰუმანისტური იდეალებია; ესაა პირველი საკაცობრიო მანიფესტი პიროვნების თავისუფლებისა, რომელიც უკვე შუა საუკუნეებში წინასწარმაუწყებლობდა კაცობრიობის ნათელ მომავალს და ასეული წლებით წინ უსწრებდა ევროპის რენესანსს. ამას გარდა, პოემაში ჩანს მთელი იმდროინდელი ყოფა-ცხოვრება და ჩანს ისიც, თუ რამდენ მაღალი იყო სპორტული კულტურა თამარის დროის საქართველოში; „ფიზიკური აღზრდის იდეები „ვეფხისტყაოსანში" — სპეციალური თემაა, რომელსაც პატარა საჟურნალო წერილში ვერ ამოსწურავ. შემდგომ საუკუნეებში სპორტულ თემებს ეხებიან მეფე-პოეტი არჩილი („საქართველოს ზნეობანი"), მეფე-პოეტი თეიმურაზ მეორე („სარკე თქმულთა"), „რუსუდანიანის" ავტორი, იტალიელი მოგზაური არქანჯელო ლამბერტი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბატონიშვილი და მრავალი სხვა. ვინ მოთვლის სპორტის რა სახეობა არა აქვთ ჩამოთვლილი და აღწერილი ამ ავტორებს! ვიმეორებ, ეს ცალკე წიგნის თემაა; ფალავანთა თაობებს თაობები მოსდევდა და მათი უბადლო ოსტატობა მუდამ იპყრობდა მწერალთა და მემატიანეთა ყურადღებას.

უნებურად იბადება კითხვა: რატომ ხდება, რომ ჩვენი დღევანდელი მწერლები ასე ცოტას, თითქმის სულ არაფერს წერენ სპორტზე?

* * *

ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ფაქტი გავიხსენეთ ქართული სპორტის ისტორიიდან. ამ ძველ ფალავანთა ღირსეული შთამომავალნი არიან ქართველი საბჭოთა სპორტსმენები, რომელთაც არა ერთგზის ასახელეს სამშობლო მრავალ საერთაშორისო ასპარეზობაზე.



გოდერძი იაშვილის მკვლელობიდან რამდენიმე თვე იყო გასული.

სამუშაო საათები მთავრდებოდა. სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილემ, პოდპოლკოვნიკმა გაიოზ ჯინჭარაძემ ის-ის იყო საქმიანი ქაღალდები ყუთში ჩაკეტა და შინ წასასვლელად ემზადებოდა, რომ კაბინეტის კარი ოპერატიულმა მუშაკმა კოტე შამათავამ შეაღო. პოდპოლკოვნიკს მან ახალი ცნობები მოუტანა. ამ ცნობებმა ჯინჭარაძე დააინტერესა. მისი ყურადღება იმ ამბავმა მიიპყრო, რომ სანაპიროს ჩიხის ნომერ პირველ სახლში, სადაც ლარისა საფრონოვა ცხოვრობდა, უკანასკნელ ხანებში თურმე სიარული მოუხშირა ვინმე სვეტლანა მარინმა.

სვეტლანა ცხოვრობდა საფრონოვას მეზობელ უბანში. ეს ქალები რამდენიმე წელი ერთად მუშაობდნენ ბათუმის ერთ-ერთ კომბინატში. მალე ისიც გამოირკვა, რომ ახლად დაქვრივებული სვეტლანა ლარისას გულის მესაიდუმლე ყოფილა, იგი თურმე ხშირად დადიოდა საფრონოვასთან და მის ბინაში ათენებდა ღამეებს.

რამდენიმე თვის წინათ მეგობრები მოულოდნელად ჩამოშორდნენ ერთმანეთს. არავინ იცოდა, თუ რა გახდა მათი წაჩხუბების მიზეზი. ცნობისმოყვარე მეზობლები ერთი პირობა ათასგვარ ჭორებს ავრცელებდნენ მათი დამდურების გამო, მერე თანდათან მოეღალათ ენა, მალევე მიივიწყეს ყველაფერი და ბოლო ხანებში იშვიათად თუღა იხსენებდნენ ამ ამბავს.

შამათავას მიერ მოტანილმა ცნობამ პოდპოლკოვნიკი ჩააფიქრა. გაიოზ ჯინჭარაძეს პროფესიული ალღო უკარნახებდა ფხიზლად და გულისყურით მოჰკიდებოდა ყოველ უმნიშვნელო დეტალს.

ვოლკოვოდან მიღებული ცნობების შემდეგ პოდპოლკოვნიკს საფუძველი ჰქონდა, რომ სერიოზული ეჭვი მიეტანა ლარისა საფრონოვაზე. „ცისარტყელას" ლუქსში მომხდარ მკვლელობაში, ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ლარისასთან ერთად მისი გულითადი მეგობარი სვეტლანა მარინიც ყოფილიყო გარეული. ჯინჭარაძე ფიქრობდა, რომ ეს ქალები, თუ მათ მართლაც რაიმე ბრალი მიუძღვოდათ, წინდაწინვე შეთანხმდებოდნენ, მკვლელობის შემდეგ ფრთხილად დაეჭირათ თავი და პირველ ხანებში დროებით მაინც შეეწყვიტათ ერთმანეთთან სიარული.

ჯინჭარაძის ეჭვს უფრო აძლიერებდა ის, რომ წლების მანძილზე განუყრელი მეგობრები — სვეტლანა და ლარისა ოთხი თვის წინათ, მოულოდნელად ჩამოშორდნენ ერთმანეთს. აღმოსავლეთ ციმბირიდან ბათუმში საცხოვრებლად მომავალ გოდერძი იაშვილს კი, როგორც ცნობილი იყო, ვიღაც უცნობმა ზუსტად ოთხი თვის წინათ ჩასცა დანა...

რამდენიმე დღის გულმოდგინე თვალთვალს ძიებისათვის არავითარი ახალი საყურადღებო მასალა არ მიუცია. ადრეული გაზაფხულის ერთ მოქრუშულ დილას კი მოულოდნელად მოხდა უცნაური ამბავი, რომელმაც ჯინჭარაძეს საშუალება მისცა ხელში მოეგდო ჩახლართული ნასკვის წვერი და მასვე ამოეხსნა გოდერძი იაშვილის მკვლელობის საიდუმლო.

იმ დღეს სვეტლანა უთენია გამოვიდა საფრონოვას სახლიდან. შავებში ჩაცმულმა ქალმა სწრაფი ნაბიჯით გაიარა დაცარიელებული ქუჩა, ხეივანი გადაჭრა და ბათუმის პორტისაკენ ცერად მიმავალ ქუჩას შეუყვა. ნავსადგურში მისვლის შემდეგ სვეტლანამ ტყავის პატარა ჩემოდანი შემნახველ საკანში ჩააბარა, სახელდახელოდ წაისაუზმა და ოდესისაკენ მიმავალ თბომავალ „ცისარტყელას" გემბანზე ავიდა.

ამ ამბავმა პოდპოლკოვნიკი დააინტერესა. ჯინჭარაძეს ვერაფრით ვერ აეხსნა რატომ უნდა დასჭირებოდა მგლოვიარე სვეტლანას, რომ ასე მოულოდნელად გამგზავრებულიყო ოდესაში? ისიც საგულისხმო იყო, რომ სვეტლანამ სამსახურიდან ერთი კვირით განთავისუფლების ნებართვა აიღო, ბინის ახლად დაწყებული რემონტი მიატოვა და მაინცდამაინც თბომავალ „ცისარტყელათი" მოიგუნება ოდესაში გამგზავრება.

გემზე სვეტლანას თავისუფლად ეჭირა თავი. როგორც ეტყობოდა, იგი კარგად იცნობდა „ცისარტყელას" მთელ ეკიპაჟს. უჩვეულოდ გახალისებული ქალი, როგორც კი ხელსაყრელ წუთებს მოიხელთებდა, მაშინვე ღიმილით შედიოდა გემის თანამშრომლების კაიუტაში და მათთან ერთად მხიარულ მასლაათსა და ხუმრობაში ატარებდა დროს.

სოჭის ნავსადგურში სვეტლანა მოულოდნელად გემიდან ხმელეთზე ჩავიდა. კოტე შამათავა, რომელიც შორიახლო დასდევდა ქალს, გაოცებული დარჩა, როცა სვეტლანამ რამდენიმე საათი უქმად იხეტიალა ქალაქში, მერე ნავსადგურში მიბრუნდა, გემის ბილეთი აიღო და იმავე საღამოს ისევ ბათუმისაკენ გამოემგზავრა.

რაში იყო საქმე? რატომ დაჭირდა სვეტლანას ასეთი გაუგებარი და საოცარი ნაბიჯი გადაედგა. რა უნდა ყოფილიყო მიზეზი, რომ ოდესამდე აღებული გემის ბილეთი გააუქმა და შუა გზიდან ისევ ბათუმში დაბრუნება გადაწყვიტა?

* * *

სვეტლანა ბათუმში ჩამოსვლის შემდეგ დააკავეს. იგი შეშფოთებული იყო. ათასგვარი ეშმაკური განმარტებით ცდილობდა როგორმე გაემართლებინა თავისი უცნაური მოქმედება.

ერთადერთი საეჭვო ნივთი, რომელიც ქალს უპოვეს, ეს იყო ოთხად მოკეცილი ფურცელი. ეს ფურცელი სვეტლანას ვიღაცის მაგიდის კალენდრიდან ამოეხია, ზედ რამდენიმე ორნიშნა ციფრი მიეწერა და ხელჩანთის საგანგებოდ გარღვეული სარჩულის ქვეშ შეენახა.

ძიებისათვის ცნობილი იყო, რომ სვეტლანა ბათუმიდან ათას ცხრაას სამოცდასამი წლის ხუთ მარტს გაემგზავრა, ბათუმში ჩამოსვლის შემდეგ მის ხელჩანთაში აღმოჩენილ კალენ-

* დასასრული. იხ. „დროშა", № 9.

# თვალი პატიოსანი

**ოთარ დემეტრაშვილი**

ნამდვილი ამბავი

დრის ფურცელზე კი იმავე წლის ექვსი მარტი იყო აღნიშნული.

ამ ფაქტმა აფიქრებინა ძიების მუშაკებს, რომ სვეტლანამ კალენდრის ეს საეჭვო ფურცელი „ცისარტყელას“ რომელიღაც თანამშრომლის კაიუტიდან წამოიღო.

ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო „ცისარტყელას“ ეს თანამშრომელი? რას ნიშნავდა დაჭმუჭნილ ქაღალდზე გაკრული ხელით ჩაწერილი ციფრები? ამ საინტერესო შეკითხვებზე ზუსტი პასუხის გაცემა მხოლოდ იმის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი, როცა ოპერატიული მუშაკები გულდასმით შეამოწმებდნენ თბომავლის ყველა თანამშრომელს და საბოლოოდ დაადგენდნენ ვისი მაგიდის კალენდრიდან იყო ამოხეული იგი.

* * *

ლარისა საფრონოვა სასიამოვნო გარეგნობის ქალი იყო. რამდენიმე საათის განმავლობაში, ვიდრე დაკითხვა დამთავრდებოდა, იგი ბეჭებში წახრილი იჯდა გაიოზ ჯინჭარაძის კაბინეტში, მალ-მალე იმშრალებდა თვალებზე მომდგარ ცრემლებს და ცდილობდა მოკლე პასუხები გაეცა პოდპოლკოვნიკის შეკითხვებზე.

— გოდერძი იაშვილი პირველად ორი წლის წინათ ვნახე, — ქვითინით უყვებოდა ლარისა პოდპოლკოვნიკს, — ჩვენ შემთხვევით გავიცანით ერთმანეთი. ადრეული გაზაფხული იყო. რკინიგზის სადგურიდან შინ ვბრუნდებოდი. ის-ის იყო ნაწვიმარი მოედანი გადავჭერი და „პირველი მაისის“ სახელობის სასტუმროსთან გავედი, რომ მოულოდნელად ვიღაც უცნობმა შემაჩერა. როგორც შემდეგ გავიგე, ეს კაცი გოდერძი იაშვილი იყო. იგი თურმე ციმბირიდან ჩამოსულიყო ბათუმში და ქალაქის ცენტრში მოხერხებულ ოთახს ეძებდა დასაქირავებლად.

ლარისა შეჩერდა, ცისფერი თვალები შეანათა პოდპოლკოვნიკს და სწრაფად გააგრძელა შეწყვეტილი საუბარი.

— ქმრის სიკვდილის შემდეგ სანაპიროს მახლობლად ხელისგულისოდენა ეზო და ორი პატარა ოთახი დამრჩა. ერთ ოთახს, ყოველ ზაფხულს დამსვენებლებზე ვაქირავებ. ქუჩაში შემთხვევით გაცნობილი იაშვილი იმავე საღამოს დავაბინავე ჩემთან. აქაურობა ისე მოეწონა გოდერძის, რომ მალევე გადაწყვიტა მეორე წელსაც ჩამოსულიყო ბათუმში. შეასრულა კიდეც თავისი პირობა. სეზონის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე ციმბირიდან წერილი გამომიგზავნა და მთხოვა, რომ პირველ სექტემბრიდან არავისთვის არ მიმექირავებინა ჩემი ოთახი...

— წელსაც აპირებდა თუ არა ბათუმში ჩამოსვლას?

— აპირებდა. ჩვენ სექტემბრის პირველ რიცხვებისათვის უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. გოდერძი თავისი სიტყვის ადამიანი იყო. რაღაც სერიოზულმა ამბავმა შეუშალა ხელი, თორემ იგი აუცილებლად შეასრულებდა თავის გადაწყვეტილებას.

— მაინც რას ფიქრობდით, რა ამბავს შეიძლებოდა შეეშალა ხელი?

— არ ვიცი, — ლარისამ მხრები აიჩეჩა, — მე და გოდერძი ორი წლის მანძილზე ხშირად ვწერდით ერთმანეთს წერილებს. ოთხი თვის წინათ გოდერძიმ მოულოდნელად შეწყვიტა პასუხების გამოგზავნა. ამ ამბავმა შემაფიქრიანა. ვოლკოვოში რამდენიმე ბარათი გავგზავნე, მაგრამ ერთხელაც არ მიმიღია პასუხი.

— ყველაფერი გასაგებია! — პოდპოლკოვნიკმა ქაღალდებით მოფენილ მაგიდაზე აათამაშა თითები, — ვიდრე დაკითხვას დავამთავრებთ, მე მინდა კიდევ რამდენიმე შეკითხვა მოგცეთ. უპირველეს ყოვლისა, ზუსტად უნდა მიპასუხოთ თუ რა იყო მიზეზი, რომ გოდერძი იაშვილი ვოლკოვოდან თქვენს სახელზე ხშირად ჰგზავნიდა ფულს?

ლარისას თითქოს არც კი გაუგია პოდპოლკოვნიკის სიტყვები, რამდენიმე ხანი ისევ მდუმარედ იჯდა სავარძელში და მერე ქვითინით წამოიწყო:

— გოდერძის მოვწონდი!.. ეს ჭაღარა კაცი, იმის ნაცვლად, რომ თავის დასვენებაზე ეფიქრა, ფეხდაფეხ დამდევდა და ფარვანასავით მევლებოდა თავს. პირველ ხანებში მაინცადამაინც დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი, მერე თანდათან შევეჩვიე, უფრო ახლოს გავიცანი და ერთი თვის შემდეგ უკვე სერიოზულად მომწონდა ეს კაცი.

ლარისა შეჩერდა, მხრებზე დაცურებული თავშალი შეისწორა და მაშინვე გააგრძელა შეწყვეტილი საუბარი.

— გოდერძი მეორე წელსაც ჩამოვიდა ბათუმში. მარწმუნებდა, ციმბირში დაბრუნების შემდეგ აუცილებლად გაეყრებოდა ცოლს, სამსახურის საქმეებს მოაგვარებდა და ბათუმში გადმოვიდოდა საცხოვრებლად. ერთი პირობა ვყოყმანობდი, ჩემი ბედნიერების გულისათვის არ მინდოდა სხვისი ოჯახის მყუდროება დამერღვია, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ უძლური ვიყავი გრძნობის წინაშე და ინჟინერს თანხმობა განვუცხადე ცოლობაზე...

— მერე?

— პირველ ხანებში გოდერძი ხშირად მწერდა სასიყვარულო წერილებს. ოთხი თვის წინათ კი მოულოდნელად შეწყვიტა პასუხების გამოგზავნა. ამ ამბავმა თავზარი დამცა. დარწმუნებული ვიყავი, რომ გოდერძის თანდათან გაუნელდა ჩემი სიყვარული, ცოლთან განშორება გადაიფიქრა და დუმილით უნდოდა თანდათან ჩამოვეშორებინე თავიდან...

* * *

ჯინჭარაძე მოულოდნელად წამოდგა, რამდენჯერმე სწრაფი ნაბიჯით გაიარ-გამოიარა კაბინეტში. მერე შეჩერდა, თავისი დიდრონი, მოელვარე თვალები დაჟინებით მიაშტერა ლარისას და კბილებშუა გამოცრა:

—მოქალაქე საფრონოვა, პირდაპირ მიპასუხეთ, იცნობთ თუ არა რომელიმე მეზღვაურს, რომელიც სამოცდაორი წლის სამ ნოემბერს თბომავალ „ცისარტყელათი“ ოდესიდან მიემგზავრებოდა ბათუმში?

ლარისა გაფითრდა. ფეხზე წამომდგარმა ქალმა დამფრთხალი ცხოველივით სწრაფად მიმოავლო ირგვლივ ჩაწითლებული თვალები და უარყოფის ნიშნად უილაჯოდ გაასავსავა ხელები.

პოდპოლკოვნიკი მიხვდა, რომ ზუსტად მოახვედრა მიზანში. ლარისას გაბზარული ხმა, გაცრეცილი სახე და შიშჩამდგარი თვალები ნათლად მეტყველებდნენ, რომ ეს ქალი მთელი არსებით იყო შეძრწუნებული.

პოდპოლკოვნიკს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ყველა გზები „ცისარტყელასთან“ იყრიდნენ თავს. აქ უნდა ეძებნათ ის ადამიანი, რომლის კაიუტიდან სვეტლანამ მისდაუნებურად ნივთიერი საბუთი წამოიღო.

ეს ადამიანი, როგორც პოდპოლკოვნიკი ფიქრობდა, შეიძლება სწორედ ის შენიღბული დამნაშავე ყოფილიყო, რომელიც გოდერძის ჩაუსაფრდა, ხელსაყრელ წუთებში შეუმჩნევლად შევიდა მის ლუქსში და სასიკვდილოდ ჩასცა მუცელში დანა.

* * *

კვანძი მოულოდნელად გაიხსნა.

კოტე შამათავამ მალე დაადგინა, რომ თბომავალ „ცისარტყელაზე“ მხოლოდ თერთმეტ თანამშრომელს ჰქონდა მაგიდის კალენდარი.

ოპერატიულმა მუშაკებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს თერთმეტივე კაიუტის შემოწმება. მონტიორი გავრილო სუდეცი მთელ გემზე ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა, რომლის კალენდარს ექვსი მარტის აღმნიშვნელი ფურცელი აკლდა.

თავისთავად ცხადია, მარტო ამ ფაქტით ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა თქმა, რომ სუდეცი მართლაც მკვლელი იყო. მისი დანაშაული მხოლოდ იმის შემდეგ დადასტურდა, როცა გამოირკვა, რომ სუდეცის ფეხის ზომა ზუსტად ემთხვეოდა დამნაშავის მიერ ლუქსში დარჩენილ ფეხის ნაკვალევის ანაბეჭდს.

გავრილო სუდეცი დიდხანს უარყოფდა ბრალდებას. მისი უაზრო-სიჯიუტე პოდპოლკოვნიკმა — მხოლოდ იმის შემდეგ მოტეხა, როცა პატიმარი თვითონვე დარწმუნდა, რომ მკვლელობის დროს გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინა და გოდერძის მუცელში ჩაცემული დანის ტარზე წაუშლელად დატოვა ხუთივე თითის მკაფიო ანაბეჭდი. პატიმარმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი, და პოდპოლკოვნიკს აღუთქვა, რომ დაწვრილებით მოუყვებოდა ყველაფერს.

* * *

გავრილომ რამდენჯერმე ჩაახველა, ხრინწიანი ყელი ჩაიწმინდა და ჩვენების მიცემა დაიწყო:

— თხუთმეტი წელი მისრულდებოდა, როცა სწორ გზას ავცდი, ქურდებმა თავიანთ წრეში ჩამითრიეს. ქალაქიდან ქალაქში დავეხეტებოდით და ძარცვა-გლეჯასა და ქურდობას ვეწეოდით.

პირველად ათას ცხრაას ორმოცდაათ წელს დამაპატიმრეს. არც ამ ამბავმა მასწავლა ჭკუა. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ისევ წამიცდა ხელი და მეორედ წარვდექი სასამართლოს წინაშე. გადასახლებაში ყოფნის დროს ჩემს თავს პირობა მივეცი, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ საბოლოოდ გავწყვეტდი კავშირს წარსულთან და პატიოსნად დავიწყებდი ცხოვრებას.

ჩემი გადაწყვეტილება ვაჟკაცურად შევასრულე. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ერთი პირობა ყირიმში ვმუშაობდი დურგლად, მერე შორეულ ნათესავთან ერთად ოდესაში ჩავედი, ნავსადგურის უფროსს გულახდილად მოვუყევი ჩემი ამბავი და მისი დახმარებით თბომავალ „ცისარტყელაზე“ მონტიორად დავიწყე მუშაობა.

ალბათ გეცოდინებათ, რომ თბომავალი „ცისარტყელა“ დაახლოებით კვირაში ერთხელ ჩადის ბათუმში; ერთ საღამოს, როცა მეზღვაურთა კლუბში გამართულ კონცერტს ვესწრებოდი, შემთხვევით გავიცანი ლარისა საფრონოვა. ეს ქალი თავიდანვე მომეწონა. ჩვენ მალე დავუახლოვდით ერთმანეთს. მე მთელი გრძნობით შემიყვარდა ლარისა.

საფრონოვა უზრუნველი ცხოვრების მოყვარული ქალი იყო. იგი ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაგრამ მაინც ახერხებდა მხიარულად გაეტარებინა დრო. მისი გულის მოსაგებად მხოლოდ ფული იყო საჭირო. ეს ფული, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, მალევე უნდა მეშოვნა...

გამოსავალი თვითონ ჩემმა სატრფომ მიკარნახა. ერთ დღეს აღელვებული მოვიდა პაემანზე, მომიყვა, რომ მის მიერ ორი წლის წინათ დაწყებული კომედია უკვე დასასრულს უახლოვდებოდა. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ გოდერძი იაშვილი, რო-

მელიც ლარისას სიყვარულით იყო დაბრმავებული, ციმბირიდან ბათუმში მოემგზავრებოდა საცხოვრებლად და თან რამდენიმე იშვიათი ბრილიანტი მოჰქონდა.

ყველაფერი წინასწარ გულდასმით მოფიქრებული გეგმის მიხედვით მოხდა. სვეტლანა დათქმულ დღეს „შემთხვევით" შეხვდა ოდესაში ბრილიანტების გასაყიდად ჩამოსულ გოდერძის, ლარისას მეგობრის დანახვამ გოდერძი გაახარა. მთელი საღამო ერთად გაატარეს კაფეში. მეორე დღეს სვეტლანამ თბომავალ „ცისარტყელაზე" ლუქსის ორი ბილეთი აიღო. უკანასკნელ წუთებში სვეტლანამ რაღაც მოულოდნელი საქმე მოიმიზეზა, ოდესაში დარჩა და საფრონოვას ხელის სათხოვნელად მომავალი იაშვილი მარტო გამოისტუმრა ბათუმში.

გემი გაშლილ ზღვაში მიცურავდა, როცა ხელსაყრელი მომენტი ვიხელთე და მორგებული გასაღებით გოდერძის ლუქსში შევედი. ვღელავდი, ხუთიოდე წუთში ფეთიანივით გადავქექე ყველაფერი. ლოგინებიც გულმოდგინედ გავჩხრიკე, მაგრამ საოცნებო ბრილიანტების კვალს ვერსად მივაგენი.

გოდერძიმ მოულოდნელად შემოაღო კაიუტის კარი. ეს იყო ენით გამოუთქმელი, საშინელი წამები. გულმა მიკარნახა, რომ დროს დაკარგვა აღარ შეიძლებოდა. გაფითრებულ კაცს, რომელიც ის-ის იყო დაყვირებას აპირებდა, ცალი ხელი სწრაფად ავაფარე პირზე, მეორე ხელით ქამარში გარჭობილი დანა ვიძრე და მუცელში ჩავეცი...

ლარისა საფრონოვამ თავისი პირობა დაარღვია. ჩვენ შეთანხმებულები ვიყავით, რომ მხოლოდ ათი თვის შემდეგ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. ძიებისათვის თვალის ასახვევად ასე იყო საჭირო. ლარისა, როგორც ეტყობა, შეშინდა, რომ ბრილიანტების ხელში ჩაგდების შემდეგ სამუდამოდ არ მიმეტოვებინა იგი და სვეტლანა გემზე მოულოდნელად გამომიგზავნა.

მე იძულებული ვიყავი ლარისასთან შეხვედრაზე დავთანხმებულიყავი. დიდი ფიქრის შემდეგ გულდასმით მოვიფიქრე თუ სად რომელ დღეს უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. სვეტლანამ, რომელიც ყოველთვის უჩიოდა თავის მეხსიერებას, კალენდრიდან ფურცელი ამოხია, ეს თარიღები ჩაიშნა და ხელჩანთაში შეინახა ლარისასათვის გადასაცემად.

თავისთავად ცხადია, საფრონოვას მიერ გადადგმული ნაბიჯი გამოუსწორებელი შეცდომა იყო. გოდერძის მოკვლის შემდეგ ჩვენ, სულ ცოტა, ერთი წელი მაინც უნდა დავრჩენილიყავით ჩრდილში. ეს რა თქმა უნდა, სწორი გზა იქნებოდა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გზა-კვალი აგვეხვია თქვენთვის და დანაშაულის კვალი წაგვეშალა.

გავრილომ მუხლებზე დაყრდნობილ ხელებში ჩარგო თავი, რამდენიმე ხანს ასე გაყუჩებული იჯდა და მერე სინანულით ჩაილაპარაკა:

— გოდერძის გულისჯიბიდან ამოღებული ბრილიანტები ოდესის ერთ-ერთ განაპირა უბანში მიწაში მაქვს ჩაფლული. ამ ქვებს, კაცმა რომ თქვას, პატიოსანი კი არა, უპატიოსნო ქვები უნდა ერქვას. ეს ქვები ბევრი ადამიანის უბედურების წყარო გამხდარა. იგი არა მარტო ჩემი და ლარისას, არამედ გოდერძი იაშვილის, მისი ცოლ-შვილისა და სვეტლანას უბედურების წყაროც გახდა!..



# ღამე წიწამურთან

## იოსებ ჯაბადარი

მოქუხს არაგვი,
მჩქეფარ ტალღებში
თითქოს დაიხრჩო ღამე უკუნი,
მოქუხს და ღამის უტყვ სიწყნარეში
შმაგი ტალღების ისმის გუგუნი.
მერე მდოვრდება ფართო ჭალაში
და ღამე ხდება რაღაც საშიში,
მეფობს სიჩუმე გულგამსჭვალავი,
სიჩუმე — კაცს რომ თმებსაც აგიშლის.
და აქ, არაგვის ტყიან ნაპირზე
ანათებს სვეტი თეთრად აწვდილი,
სვეტი მაღალი მაკრთობს, მაკვირვებს
და სადღაც მტკივა გულის ნაწილი.
წიწამურია!..
ო, ამ ადგილზე
მინდა რომ დიდი სევდა ვიწამო,
აქ ხომ ილიას შუბლი გახვრიტეს, —
ის დღე ბინდივით დაჰყვა წიწამურს.
წიწამურია!..
ცხელი ცრემლებით
მიწა განბანილ-გაჟღენთილია...
ყოველ საღამოს თეთრი ცხენებით
შარაზე ეტლით მიჰქრის ილია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა ლიუვილმა, ასი წლის წინათ მსოფლიოს მემკვიდრეობად დაუტოვა თავსატეხი გამოცანა — ფორმულები, რომლებსაც თან არ ახლდა ამოხსნა და დამტკიცება. ამ ამოცანების ავტორს ერთნი ახირებულს უწოდებენ, სხვანი ბრძენს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ამ ამოცანების დიდ სირთულეს მოწმობს ის ფაქტი, რომ საუკუნის მანძილზე მისი ფორმულების ამოხსნა არა ერთმა დიდმა მათემატიკოსმა სცადა.

და აი, ეს რთული ფორმულა ამოხსნა თეიმურაზ ვეფხვაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა; პროფ. ლ. მაღნარაძემ სტუდენტის ამ წარმატების შესახებ მოახსენა საქართველოს მათემატიკოსთა საზოგადოების სხდომას. მეცნიერები მართლაც გააოცა ჭაბუკის უჩვეულო ერუდიციამ.

თეიმურაზის სკოლის მასწავლებელს შოთა იაშვილს კარგად ახსოვს, რომ თეიმურაზისათვის პრობლემა არ ყოფილა — „რა უნდა გამოვიდე". რა თქმა უნდა, მათემატიკოსი. შემდეგ, უნივერსიტეტში თეიმურაზმა, პროფესორ გ. ლომაძის ხელმძღვანელობით, პირველი კურსიდანვე დაიწყო მუშაობა რიცხვთა თეორიის დარგში. თეიმურაზის აზრით, ეს დარგი მათემატიკის მეფეა. ჩვეულებრივ, რიცხვთა თეორიას უკანასკნელ კურსზე სწავლობენ, მაგრამ თეიმურაზმა პირველი კურსიდან დაიწყო.

შოთა იაშვილი ადრე სინანულით გაიქნევდა ხოლმე თავს, როცა სკოლის ეზოს გადახედავდა. თეიმურაზი ფეხბურთს იყო გადაყოლილი. მასწავლებელი, ცოტა არ იყოს, ეჭვიანობდა, სპორტმა ყველაფერი არ დაავიწყოსო, მაგრამ თეიმურაზმა არც მათემატიკას უღალატა და არც ფეხბურთს: ღმერთს ღვთისა და კეისარს კეისრისა.

როცა ოცდაორი წლისა ხარ, ყველაფერს ასწრებ: მათემატიკასაც, ფეხბურთსაც, პატარებსაც მოეფერები (მათ ჯერ რა იციან რა ფორმულა ამოხსნა მათმა ბიძამ), მოასწრებ სეირნობასაც მტკვრის სანაპიროზე, ნაცნობ ქალიშვილთან ერთად.

ახლა თეიმურაზისათვის დაიწყო ახალი სტუდენტური წელი. თავდაპირველად ძნელია წარმოიდგინო თავი მასწავლებლის როლში, როცა თითქოს გუშინ იყავი პირველკურსელი. მაგრამ შეხვალ კლასში და იტყვი: მე ვარ თეიმურაზ ვეფხვაძე, მეხუთე კურსის სტუდენტი, თქვენზე მომამაგრეს, უნდა დაგეხმაროთ და პასუხსაც ვაგებ თქვენთვის. მაშ დავიწყოთ. აბა რა შეკითხვები გაქვთ პროფესორ ლომაძის პირველი ლექციის გამო? შეიძლება ყველაფერი ეს მართლაც ასე მოხდეს, შეიძლება — სხვაგვარად, თეიმურაზი ალბათ კიდევ უფრო სადად მოიქცევა.

ლ. ჩხეიძე





ფოტო ო. თურქიასი
და ე. კესოვისა





# ფურცლები

## ნიკო მარის არქივიდან

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ნიკო მარი უაღრესად ნაყოფიერი მკვლევარი იყო. თავის საენათმეცნიერო და ფილოლოგიურ ძიებათა პროცესში მან წარსულის არა ერთ გაურკვეველ და ბნელით მოცულ საკითხს ნათელი მოჰფინა. მაგრამ აქ ჩვენ მის მეცნიერულ ღვაწლს არ შევეხებით.

ვისაც ლენინგრადის სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქივში უმუშავნია, მისთვის ცნობილია ნიკო მარის ახალგაზრდობის დროინდელი ორიგინალური და ნათარგმნი ლექსები.

ნიკო მარი ლექსებს თავდაპირველად გიმნაზიის ხელნაწერ ჟურნალში ათავსებდა, 1880-1884 წლებში; შემდეგ ეს ლექსები, სხვადასხვა დროს, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" (1936, № 11-12), გაზეთების „კომუნისტის" (1940 წ.) და „ლიტერატურა და ხელოვნების" (1949, № 22) ფურცლებზე გამოაქვეყნეს ი. გრიშაშვილმა, ვუკოლ ბერიძემ, ი. მეგრელიძემ, ალ. ღლონტმა.

ნ. მარს თარგმნილი აქვს პუშკინის, ლერმონტოვის, იაზიკოვის, ჰაინეს, ჰიუგოს, ბაირონის, ომარ ხაიამის, ჰაფიზის და სხვათა ლექსები.

აქ ჩვენ შევეხებით მხოლოდ იმ ორიგინალურ ლექსებს, რომელთა უმეტესობა მაინც, მხოლოდ არქივის კუთვნილებად დარჩა. მარი მათ გამოქვეყნებას საჭიროდ არ თვლიდა და წერდა თავისთვის.

რისი თქმა უნდოდა ლექსად ნიკო მარს, ამდენის მთქმელს ამდენის დამწერს?

ეს ლექსები მაღალხარისხოვანი არ არის. ამას თვითონ მარიც აღნიშნავდა, მაგრამ აქ ჩვენ გვაინტერესებს ის გულითადობა და სითბო, რომელიც ამ სტრიქონებს შემოუნახავთ:

> არ მყავს უხედნი პეგასი,
> ალმა მაფრენი მერანი,
> უბრალო ენით ნენასი
> ჩემი საკრავის ჟღერანი
> ქვეითად გამომთქმელია,
> რაც ჩემი გულის მწველია.

ამ ლექსებში, ისევე როგორც პირად წერილებში, ჩანს ნაზი სიყვარული სამშობლოსადმი და ნენას ენისადმი — ქართულისადმი; ამ გრძნობით იყო ალსავსე მკვლევარის გული. მრავალი ენის მცოდნეს, მამით შოტლანდიელს, მხოლოდ დედით ქართველს ნიკო მარს მშობლიურ ენად ქართული მიაჩნდა.

რამდენი ამაგი დასდო ამ გამოჩენილმა ქართველოლოგმა ჩვენი ენისა და კულტურის კვლევის საქმეს!

მეცნიერული მოღვაწეობის ხანგრძლივი პერიოდი ნიკო მარმა პეტერბურგში გაატარა, და მას იქ, ხშირად მოენატრებოდა ხოლმე თავისი გურია, სადაც ბავშვობის წლები გაატარა, მოენატრებოდა ხოლმე სოფლის ღელე და მზით მორწყული მდელო; ასეთ წუთებში ჰკიდებდა კალამს ხელს ლექსის დასაწერად. ერთ ლექსში გაზაფხულთან ერთად მოფრენილ მერცხალს თხოვს ბუდე ჩემს სახლში ააგეო:

> ჰიკჰიკავ, სითბოის
> დამსწრობო ქადაგო,
> სად გსურს წელს დასახლდე
> და ბუდე სად აგო?
> გენაცვა, მერცხალო
> მიაჯე მე ესე:
> ჩემს სახლში მოფრინდი,
> ბუდე იქ შელესე...

„საქართველო, ჩემო ნენა", ასე მიმართავს მარი მეორე ლექსში სამშობლოს.

ის ხშირად ოცნებით ფრთებს ისხამს, რომ გურიის მთებს მოევლინოს და დატკბეს მათი ხილვით:

> მომცა ფრთები, ჩვენი მთები
> მოვიარო, მოვიგონო,
> მთის კალთები, ღელე წყლები,
> ტყე-ნაშენი მოვიწონო,
> გასახედი ბარი, ქედი
> სულ შევიტკბო, ჩავიკონო...

მარის ლექსებში უამრავია გურული დიალექტური გამოთქმა და იქნება მათი შენარჩუნებით თავის მეტყველებაში ის, რამდენადმე მაინც, ინაზღაურებდა იმ დანაკლისს, რომელსაც სამშობლოსაგან მოშორებით განიცდიდა.

**ლ. ანდღულაძე**

რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი.



# თაქარას თვალები

ალექსი გოგუა — მოთხრობა

ცხელი ზაფხულია. დედამიწა პირდაპირ იხრუკება. გათენდება თუ არა, მზის მწველი სხივები ჯერ მთის მწვერვალებს წაეკიდება, მერე დაბლა ჩამოყვება და ჭალაში ისეთ ბუღს დააყენებს, კაცი სულს ვერ მოითქვამს.

საღამოთი კი, როცა დაღლილი ოჯახები ვახშმად სხდებიან, მოწმენდილ ცაზე ამოდის დიდი წითელი მთვარე, და ასე მგონია ისიც მზესავით ცხელია და ულმობელი.

ორჯერ გამოიცვალა მთვარე, მაგრამ ციდან ერთი წვეთი ნამიც არ ჩამოვარდნილა. გადაყვითლდა ფერდობებზე გაფენილი მწვანე ხალიჩები, გვალვამ მოსწვა და მოჟუჟა თავნაყარი სიმინდი.

• • •

სიცხემ კინაღამ ტვინი ამიდუღა, მაგრამ მე მაინც არ ვეძებ ჩრდილს. მივყვები ბილიკს, ხანდახან კიდეც მივრბივარ. მთლად შემოვიარე ჩვენი კოლმეურნეობის ყანები, ბაღჩა-ბოსტნები. სოფლის თავზე რომ ბორცვებია, იქაც ვიყავი, ხევშიც ჩავიხედე, სად არ ვეძებე ის სამგლეები, მაგრამ ვერსად მივაკვლიე.

ნამდვილი ალქაჯები არიან ეს ჩემი თხები, ამ წუთში რომ აგერ არიან, მეორე წუთში კაცმა არ იცის, სად გაქრებიან.

დავიღალე, მუხლი მეკეცება, სიცხისაგან ამომწვარ თვალებს ცრემლი მისველებს.

„ერთი თქვენი ტყავი გამახმობია მზეზე და მეტი არაფერი მინდა!“, მინდა დავწყევლო ჩემი მტანჯველები, მაგრამ როგორ დავწყევლო, როცა დედის ძუძუს მერე ამათი რძე გვზრდიდა და სულს გვიდგამდა.

სად ჯანდაბაში წავიდნენ! ფარაში მარტო ჩვენი თხები ხომ არაა! შუადღისას სოფელში უნდა ჩავრეკო, რომ პატრონებმა გამოწველონ და შეჭამანდი გაიკეთონ.

ფერდობიდან დაბლა დავეშვი და ხევ-ხევ გავყევი. ერთ ადგილას ვეება წაბლის ხეები დგანან. იმ ხეებს მაღლარი ვაზი შემოხვევია და ისე დაუბურდავს იქაურობა, მზის სხივი დაბლა ვერ ჩამოდის. აქ ცოტა სული მოვითქვი, მერე ბინდიან ხევში ჩავიხედე, ვერცარა დავინახე, ვერცარა გავიგონე. მხოლოდ ხევის ძირიდან მდინარის სასიამოვნო სიგრილე მომეტანა.

უკვე აღარ ვიცი სად ვეძებო, თმის ბეწვები ხომ არ არიან, რომ ასე უკვალოდ გაქრნენ.

უეცრად შორიდან ძაღლის ყეფა მომესმა. იპოვე, ჩემო თაქარ, ჩემო საყვარელო ძაღლო. ორი ძაღლის სიცოცხლე მიეცეს დედაშენს, ასეთი ჭკვიანი რომ გაგაჩინა!

ვინა თქვა, დავიღალეო? ვინ თქვა, წეღან ნური ტიროდაო? ცრემლიც შემაშრა, დაღლილობაც სადღაც გაჰქრა. იმ წუთშივე თხემლაზე ავძვერი და იმ მხარეს გავხედე, საიდანაც ყეფა მოისმოდა. აგერ, ჩემი ლამაზი თაქარა ფარას ხან აქედან შემოურბენს, ხან იქიდან, რომ თხები ერთად შეაქუჩოს და ჩემსკენ გამორეკოს.

იმ წელიწადს მესამე კლასი დავამთავრე და სექტემბერს აღარ მოვუცადე, — ყველა ახალ რვეულს დიდი მონდომებით წავაწერე, „მე-4-ე კლასის მოსწავლე...“

საზაფხულოდ რომ დაგვითხოვდნენ, დედაჩემი თხის ფარას ჩამაბარებდა. ჩვენ მხოლოდ ექვსი სული თხა გვყავდა, დანარჩენი მეზობლებისა იყო. პირველ ხანებში ძალიან გამიჭირდა, თხები არ მიჯერებდნენ. როგორც მოეპრიანებოდათ, ისე დადიოდნენ. ზოგი ფერდობზე ავარდებოდა, ზოგი კი აალერებდა თავს და ბაღ-ბოსტანს მიაშურებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ჩემი ენა ყველას გავაგებინე, თხები ერთმანეთს შევაჩვიე და ერთად სიარული ვასწავლე.

ხანდახან რომელიმე მეზობელი გასამჯელოდ ციკანს მაჩუქებდა. ციკანს დედაჩემი გაყიდიდა და იმ ფულით ხალათ-შარვალსა და სასწავლო წიგნებს მომიტანდა.

მამა ომში დამეღუპა. მე ის არ მახსოვდა, მხოლოდ გამეგონა, მამაშენი სივარნა ყველაზე მაღალი კაცი იყოო სოფელში. ამიტომ ზოგიერთი ენაჭარტალა დედაკაცი დამინახავდა თუ არა, ფარისევლური წუწუნით იტყოდა — ნეტა ვის დაემსგავსა ეს ბიჭი ასეთი თითისხელა? ერთხელ რომ დააჩნდა მიწას, მერე აღარ გაიზარდაო.

ეს სიტყვები გულს მიკლავდა და მე ის ქალები დღესაც ჭირივით მეზარება.

ომი რომ დაიწყო, ჩემი მშობლები ახალი დაქორწინებულნი იყვნენ. ოჯახის გამართვა ვერ მოასწრეს. ახლა დედაჩემი ბევრს მუშაობდა, კოლექტივიც გვეხმარებოდა, ცხოვრება მაინც გვიჭირდა. ამ თხებით ვითქვამდით სულს.

ფარას მარტოდმარტო მე დავდევდი. სოფლის ახლომახლო არ იყო არც ერთი ჭალა და მდინარე, წყარო და ხევი, მათი ასავალ-დასავალი რომ არ მცოდნოდა. ჩემზე კარგად ვინ იპოვნიდა ტყეში ღალიან ახოს, მდინარეზე — მარჯვე ფონს, ჭალაში — ლორთქო ბალახს. ამიტომ ჩემი თხები არ მემდუროდნენ და კაცმა მართალი რომ თქვას, ამ ბოლო დროს მეც არაფერი მქონდა მათთან სამდურავი.

ტყის პირას ერთი ბებერი წაბლის ხე იდგა, ფესვები მაღლა ამოეყარა და აქეთ-იქით გაეჩაჩხა. სწორედ იქ ვიპოვე მელიის სორო. მართალია მელია თვალით არ დამინახავს, მაგრამ იმ სოროსთან მუდამ ეყარა ჩიტისა და ქათმის ბუმბული.

შუაგულ ტყეში, სადაც მთებიდან დაგორებულ ლოდებს ვეება ხეები მიელეწ-მოელეწა, მგლის ბუნაგი იყო. ერთხელ მთელი ხროვა დაესხა სოფელს, ბაკში შეცვივდნენ და სანამ ხალხი ფეხზე დადგებოდა, მხეცებმა თავისი გააკეთეს — ერთი ხარი და შვიდი თხა დაგვიკლეს. ერთხელ კიდევ კვიციც მოიტაცეს, დედა ცხენის ჭიხვინმა მთელი ღამე არ დამაძინა.

იმ ბუნაგს ახლო რომ ჩავუვლიდი, ტანში რაღაცა ჩხვლეტას დამიწყებდა, თითქოს შიშველ ტანზე ზღარბმა დამირბინაო, თმაც ყალყზე დამიდგებოდა, შიშისაგან გული რომ არ გამხეთქოდა, მთელი ხმით გავკიოდი რაიმე სიმღერას.

„ერთი ახლა თოფი მომცა“ — ვფიქრობდი ასეთ წუთებში, და განა მარტო ასეთ წუთებში ვნატრობდი, ნეტავი თოფი მომცა-მეთქი!

• • •

ჩვენი მეზობელი ქალის, შაქის ქმარი ხანდახან თავის თოფს მომცემდა და ისროლეო, მეტყოდა. მეც ვისროდი და იმ დღეს ჩემზე ბედნიერი ბიჭი სოფელში მეორე არ იყო.

მე ძალიან მიკვირდა, — როდესაც ჩვენი მეზობლის ოჯახზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, ხალხს მუდამ შაქის სახელი ეკერა ენაზე. მისი ქმარი კი არავის ახსოვდა. ამბობდნენ იგი ცოლის მონა არისო, და კაცად არ აგდებდნენ. მე კი ის მაინც მიყვარდა.

შაქის ქმარი მართლაც ჩუმი, უენო კაცი იყო. რამდენჯერ მინახავს ტყისპირას ქვაზე ჩამომჯდარი და ჩაფიქრებული. თოფი რატომ დაჰქონდა, დღესაც არ ვიცი. მისი ნანადირევი არავის უნახავს. შაქიმ კი ერთხელ იცით, რა ქნა? დაუძახა ქმარს და უთხრა: „შენ ამ ბოლო დროს ნადირობას ძალიან გადაჰყევიო. ოჯახი კი მიუხედავი არისო“— თოფი ჩამოართვა და ხელში თოხი მისჩეჩა, წადი და ბოსტანი გათოხნეო.

იმ დღიდან მოკიდებული შაქის ქმარი დილიდან საღამომდე ბოსტანში ტრიალებდა.

თოფი ჩემი აუხდენელი ოცნება იყო. დავდიოდი და ვფიქრობდი. ნეტა ერთი ის თოფი დილიდან საღამომდე ხელში დამაჭერინა და მერე თუ გინდა მომკლა-მეთქი.

ამ თხებმა ნამდვილად თავი მომაბეზრეს, არც კითხვას დამაცდიდნენ და არც ბანაობას. ძალიან რომ მომწყინდებოდა, მაშინ ვიფიქრებდი, მოდი ამ ფარას აგერ იმ მინდვრისაკენ გავრეკავ, სადაც ჩემი ტოლები ლახტს თამაშობენ-მეთქი. მაგრამ თხებს მშიერს ხომ ვერ დავტოვებდი... იქ ბალახი გადამხმარი იყო და ისევ ჭალაში უნდა მეძებნა პირუტყვის საზრდო.

კითხვით ცოტას მაინც ვკითხულობდი. ყველა ჩემი წიგნი თითქმის ზეპირად ვიცოდი. კოლექტივის სამკითხველოში „ჰაჯი-მურატი“ ვიშოვე აფხაზურ ენაზე. იმ დღესვე წავიკითხე. ჭკუიდან კინაღამ შემშალა მთიელების ვაჟკაცობამ.

ამ ზაფხულს ჩემთან ერთად თაქარა დადიოდა, იგი კარგი ჯიშის ძაღლი იყო, მგელზე მონადირე. თაქარას უცნაური თვალები ჰქონდა. ხანდახან გეგონებოდა, იმ თვალებში ლურჯი ალი ანთიაო. აი, სწორედ ისეთი, ჭაჭის არაყს ცეცხლს რომ წაუკიდებენ. მგლის ჩამომავალს, ყურებიც მგელივით დაცქვეტილი ჰქონდა, მხოლოდ ოდნავ დამრგვალებული ლამაზი თავ-პირი არ უგავდა თავის შორეულ წინაპარს.

თაქარა ენაჭარტალა შაქის ძაღლი იყო. ხალხი ამბობდა: შაქის მაბრუალა ენა აქვსო. გინდა თუ არ გინდა, თავის ჭკუაზე წაგიყვანს და წამოგიყვანსო. დაბერდა, დაჩიავდა, მაგრამ მის ენას საბრუნავი მაინც არ გამოელია. გადაუდგებოდა წინ გზაზე მიმავალ მეზობელს და სანამ ლაპარაკით ტვინს არ გამოულაყებდა, კაცი ხელიდან ვერ გამოგლეჯდა.

ამიტომ ზოგიერთი სოფლელი ხანდახან გზას დაიგრძელებდა. შორიდან მოივლიდა, ოღონდაც შაქის ჭიშკართან არ ჩაევლო.

ერთ საღამოს ჩვენს ეზოში შემობრძანდა, ჯერ დედაჩემი ჩაიგდო ხელში, იმდენი ექაქანა, სანამ მოსაწველად გამზადებული თხა თიკანმა არ გამოწოვა, მერე სახლში რომ შევედით, ლამპის შუქზე გულდასმით ამხედ-დამხედა და კინაღამ აქვითინდა.

— ნანა! რა ოქრო ბიჭია შენი ნური, ღმერთმა ბედნიერი გაგიზარდოს! უბედურო სივარნა, ცოდვა არ არის შენ მიწაში იწვე და მე ამ ქვეყანაზე დავდიოდე! რატომ არ ხედავს შენი თვალები ამ ვაჟკაცს! ჯერ სულ ბალღია, მაგრამ აბა შეხედე, ტანი როგორ აეყარა, როგორ დამშვენდა და დასრულდა!

ასაკთან შედარებით მე ძალიან პატარა ტანისა ვიყავი და არ ვიცი, შაქიმ საიდან მოიგონა, სიმაღლე მოემატაო.

(გაგრძელება იქნება)

აფხაზურიდან თარგმნა მერი ნიჟარაძემ



# ვინა ეს კაცთმოყვარობაა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ქვანია

ფეოდალური გათიშვის, დაქსაქსულობის, ხალხთა და ტომთა ურთიერთ წაკიდების ეპოქაში, მაღალ წრეებში წარმოიშვა ნორმები ფეოდალური მორალისა, რომელმაც თავისი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ფარსადან გორგიჯანიძის (მე-17 საუკუნე) ანდერძში.

„ვინც ეს წიგნი წაიკითხოთ, ეს ანდერძი დაისწავლეთ, — წერდა ფარსადანი, — ადამის შვილნი მედროვენი არიან, სიკეთის დროს გეფერებიან და გამოგრჩებიან და თუ ერთცაზე საქმე გაგიმრუდდეს, შენგან მრავალ სიკეთე დამართებულნი შენს მტრობას შეუდგებიან... არც შვილი, არც ძმა, არც მოყვარე, არც ნათესავი, არც ყმა ხელს არ მოგიმართავს... ნურავის დაუჯერებთ: თქვენი არჩიეთ შვილსაცა, ძმასაცა და სხვათაცა... აბა, ძმა და შვილი თუ კარგნი ყოფილიყვნენ, ღმერთსაც ეყოლებოდა“.

ფეოდალიზმის მორალს ამაზე უკეთესად ვერ დაახასიათებ, კომენტარები აქ საჭირო არ არის, ყველაფერი გასაგებადაა ნათქვამი.

უფრო მოკლედ და მკაფიოდ გადმოსცემს კაპიტალიზმის მორალის არსს ფორმულა: ადამიანი ადამიანისათვის მგელია.

ჩვენს საბჭოთა ეპოქას, სოციალისტურ საზოგადოებას თავისი მორალი აქვს, რომელიც ასევე მოკლე ფორმულით არის გამოთქმული: ადამიანი ადამიანისათვის ამხანაგი, ძმა და მეგობარია.

ჩვენი ახალი მორალი ხალხის წიაღიდან მოდის და მას სათავეები შორეულ საუკუნეებში აქვს. ამას ქადაგებდნენ ყველა საუკეთესო შვილები კაცობრიობისა. გაიხსენეთ სიტყვები ბრძენი რუსთაველისა: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არდამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“.

ჩვენმა ეპოქამ მტკიცედ დაამკვიდრა ეს მორალი ადამიანთა ურთიერთობაში და იგი საფუძვლად დაუდო ჩვენს საბჭოთა კანონს. ჩვენ ვცხოვრობთ ჰუმანიზმის ეპოქაში, როცა ადამიანის საქციელს განსაზღვრავს სიყვარული თავისი მოძმისადმი, გულკეთილობა, სიქველე, პატივისცემა ადამიანისადმი, შორეული იქნება ის, თუ ახლობელი, კაცი იქნება თუ ქალი, მოხუცი თუ ახალგაზრდა. ადამიანი სიხარულისათვის არის დაბადებული ამქვეყნად და მას, როგორც სუნთქვა, ისე სჭირდება მეგობრის ღიმილი, სიყვარული, თანაგრძნობა, განსაცდელში და გასაჭირში მოხმარება. ეს ყველამ იცის, ჰუმანიზმის ამ კაცთმოყვარული იდეებით გამსჭვალულია მთელი მორალური ატმოსფერო ჩვენი ეპოქისა.

მაგრამ ცხოვრებაში ჯერ კიდევ ხდება ხოლმე, რომ სიკეთე, გულმოწყალება, უბრალო ადამიანური გრძნობა შეცოდებისა, მისივე საპირისპირო მოვლენის — გულქვაობის და ბოროტების მიზეზი ხდება.

სწორედ ერთ ასეთ შემთხვევაზე მინდა ჩამოვაგდო სიტყვა.

• • •

ეს ამბავი საბურთალოზე მოხდა, საირმის ქუჩაზე. ნაშუადღევის ოთხ საათზე, იარანდაგულიევის სახლში გავარდა თოფი და ახალგაზრდა ქალიშვილი განგმირული დაეცა იატაკზე.

რუსტამ იარანდაგულიევი თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ თოფი შემთხვევით გაუვარდა, მაგრამ არ დაუჯერეს, სახალხო სასამართლოში ნათელი გახდა, რომ მან წინასწარ განზრახვით მოკლა ახალგაზრდა ქალიშვილი რუხსარა მეხტიევა. მკვლელს ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

როცა კაცისმკვლელი გახდა, რუსტამი თვრამეტი წლისა იყო და რკინიგზის სახელოსნო სასწავლებელში ირიცხებოდა. თანატოლებიდან არაფრით გამოირჩეოდა, დანაშაული კი რატომღაც ადვილად ჩაიდინა. მანამდე დამაკმაყოფილებლად სწავლობდა. ირიცხებოდა კომკავშირის რიგებში და მისი ყოფაქცევა არ იძლეოდა საბაბს, რომ იგი ასეთ მძიმე ბოროტმოქმედებას ჩაიდენდა; მიუხედავად ამისა, მან ეს დანაშაული ჩაიდინა, ჩაიდინა სრულიად უბრალოდ და საზარელ შედეგსაც პროფესიული მკვლელის სიმშვიდით და გულგრილობით შეხვდა. მკვლელობა მოხდა საირმის ქ. № 7-ში, რუსტამის მამის — ზაალ იარანდაგულიევის საკუთარ სახლში. საირმის ქუჩა მჭიდროდ დასახლებულია და მაშინვე უამრავი ხალხი შეიყარა. დროულად იქნა მიღებული ზომები დაზარალებულის გადასარჩენად, ქალაქის მეორე საავადმყოფოში გაუკეთეს მას ოპერაცია, მაგრამ ექიმები უძლურნი აღმოჩნდნენ და ორი საათის შემდეგ ქალიშვილი გარდაიცვალა. რუსტამი თვითონ გაჰყვა დაზარალებულს საავადმყოფოში და პირველი რაც მან იღონა, ეს ის იყო, რომ ყველას არწმუნებდა თითქოსდა ქალიშვილმა თვითონ დაიჭრა თავი შემთხვევით და რაკილა ქალიშვილი უგონოდ იყო, მორიგე ექიმმა ავადმყოფობის ისტორიაში დაჭრის მიზეზის შესახებ შეიტანა თანმხლები პირის — რუსტამის ნათქვამი. სროლის მომენტში, ოთახში, მარტო რუხსარა და რუსტამი იმყოფებოდნენ. თოფის ხმაზე ოთახში მეზობლები შეცვივდნენ და ნახეს, რომ ჭაბუკს თოფი ჯერ კიდევ ხელში ეჭირა. მაშინ რუსტამს არ დაუფარავს, რომ თოფი მან ისროლა, გზაში კი გადასწყვიტა ყოველივე დაზარალებულისათვის გადაებრალებინა და ასეც მოიქცა.

მაგრამ, რუსტამისათვის ეს ვერსია ხელსაყრელი არ იყო. ასეთი ტყუილით იგი არა თუ დააღწევდა თავს პასუხისმგებლობას, პირიქით, უფრო აშკარას გახდიდა დანაშაულს. რუსტამს გამოცდილება არ ეყო, მაგრამ მას სწრაფად გვერდში ამოუდგა დედა — გულეამბარ იარანდაგულიევა, მეტად გამოცდილი და „ოპერატიული“ ადამიანი, რომელმაც ყოველივეს თავისი ადგილი მიუჩინა. შემთხვევის მომენტში გულეამბარი ეზოში საქმიანობდა და მომხდარი ამბის პირველი მოწმე იყო. დაზარალებული ქალიშვილი გულეამბარის ახლო ნათესავია და ნაცვლად იმისა, რომ პირველი ყოფილიყო დახმარების აღმოჩენის დროს და, როგორც ადამიანებს ჩვევიათ, ერთი წუთითაც არ მიეტოვებინა იგი, სახლში დარჩა და შეუდგა დანაშაულის კვალის დაფარვას. გულეამბარმა გადამალა თოფი და მორეცხა იატაკი, სადაც სისხლის ლაქები იყო. შემდეგ კი მეზობლებს დაუწყო დარწმუნება, რომ მის შვილს თოფი შემთხვევით გაუვარდა. დედის დარიგებით რუსტამმაც შეცვალა თავისი პირველი განცხადება და ბოლომდე იმას ამტკიცებდა, რაც დედამ უკარნახა.

დაზარალებული მეხტიევა სექტემბრის პირველ რიცხვებში ჩამოვიდა ბოლნისის რაიონიდან და სურდა ჩარიცხულიყო ტელეგრაფისტების კურსებზე. კურსებზე მიღებულთა სიების გამოკვრა რატომღაც გვიანდებოდა და 9 სექტემბერს რუხსარამ და მისმა დედამ — მარგალიტა მეხტიევამ გადაწყვიტეს ბოლნისში დაბრუნება. რუსტამი და გულეამბარი წინ აღუდგნენ დედაშვილის გადაწყვეტილებას და აიძულეს რუხსარა მოეცადა მისი საქმის გარკვევამდე, ავტოსადგურზე მარტო მარგალიტა მეხტიევა გაუშვეს. 12 სექტემბერს რუსტამს და რუხსარას ჩხუბი მოუვიდათ. ჩხუბის მიზეზი ის იყო, რომ რუსტამს რუხსარა დანიშნული ჰყოლია, ქალიშვილს კი სწავლა სურდა და ცოლად გაყოლაზე თანახმა არ იყო, სანამ ტექნიკუმს არ დაამთავრებდა.

ამ ჩხუბს წინ უსწრებდა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: როდესაც რუხსარამ და მისმა დედამ გადაწყვიტეს ბოლნისში დაბრუნება, რუსტამმა და გულეამბარმა ისტერიული სცენა გაითამაშეს. რუსტამმა დაავლო დანას ხელი და დედა-შვილს განუცხადა, რომ თუ რუხსარა არ დარჩება, მე თავს მოვიკლავო, გულეამბარმა კი დაარწმუნა მარგალიტა მეხტიევა, რომ რუსტამი უსათუოდ თავს მოიკლავდა. ეს უბედურება რომ არ მომხდარიყო, მარგალიტამ ამჯობინა ქალიშვილის დატოვება, თუმც მას ასეთი სურვილი არ ჰქონდა. 18 სექტემბერს რუხსარამ კვლავ გამოთქვა სურვილი მშობლებთან წასვლის, რაც არ აპატია რუსტამმა და მამის სანადირო თოფით ერთი გასროლით მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა.

საკითხის გადაწყვეტის დროს—დანაშაული ჩადენილი იყო განზრახვით თუ გაუფრთხილებლობით, —სასამართლოს ხელთ ჰქონდა უტყუარი მტკიცებები, რომლებიც ლაპარაკობდნენ, რომ დანაშაული განზრახვითაა ჩადენილი და რაიმე შემთხვევით ფაქტორზე ლაპარაკი ზედმეტია.

მიუხედავად ყოველივე ამისა, საკასაციო საჩივარი მაინც დაიწერა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიაში გულეამბარ იარანდაგულიევამ თავის ადვოკატსაც კი არ აცალა ლაპარაკი და გაცხარებული ამტკიცებდა თავისი შვილის უდანაშაულობას, მან წარადგინა მეზობლების, 64-ე საშუალო სკოლის კოლექტივის (ამ სკოლაში იგი პედაგოგად მუშაობს), რკინიგზის სახელოსნო სასწავლებლის დახასიათებები, რომლებიც ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ რუსტამი კარგი ახალგაზრდაა და მის მიერ განზრახ მკვლელობის ჩადენა დაუჯერებელია. მიუხედავად ასეთი „დოკუმენტებისა“, სისხლის სამართლის კოლეგიამ განაჩენი ჩათვალა სწორად და ძალაში დატოვა.

ნორმალურ პირობებში აქ წერტილი უნდა დაგვესვა, უკიდურეს შემთხვევაში, გვეთქვა, თუ როგორ იხდის რუსტამი სასჯელს, შეიგნო თუ არა ჩადენილის სიმძიმე და ა. შ. მაგრამ ამის საშუალება არა გვაქვს. მართალია, რუსტამი სასჯელს იხდის, მაგრამ არა მეხტიევას მკვლელობისათვის, არამედ მეორე მკვლელობისათვის, რომელიც ჩაიდინა 1964 წლის 8 ოქტომბერს, იმის შემდეგ, რაც მისმა დედამ გულეამბარმა შეძლო მისი პატიმრობიდან განთავისუფლება.

ამ მიზნის მისაღწევად გულეამბარმა ჯერ გიჟად გამოაცხადა თავისი შვილი, რომ მისთვის პასუხისმგებლობა აეცდინა, მაგრამ გამოცდილმა ფსიქიატრებმა ეს არ დაადასტურეს. მაინც არ დამშვიდდა გულეამბარი და საჩივარს საჩივარზე ჰგზავნიდა ხან პროკურატურასა და სასამართლოებში, ხან პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, ქუჩაშიც კი უხვდებოდა თანამდებობის პირებს და არწმუნებდა... არწმუნებდა, რომ მისი შვილი უდანაშაულოა... რომ სასამართლოს და პროკურატურის მუშაკები უსულგულოდ ეპყრობიან მის შვილს, ჩაგრავენ მას და ა. შ.

შრომამ ფუჭად არ ჩაიარა. როგორ და რა გზით, ეს ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ ბოლოს პროტესტი დაიწერა და საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებით 1962 წელს რუსტამ იარანდაგულიევი პატიმრობიდან განთავისუფლებულ იქნა. პრეზიდიუმმა სცნო, რომ რუსტამმა ჩაიდინა მკვლელობა გაუფრთხილებლობით, მოუხსნა მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 105 მუხლით, შეუფარდა 108 მუხლი და სას-



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ჭერის ზომად განუსაზღვრა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა. მუხლის შეცვლამ კი რუსტამს საშუალება მისცა კანონით გათვალისწინებული შეღავათები მიეღო. მას ამ სასჯელის ნახევარზე მეტი უკვე მოხდილი ჰქონდა, დედამისმა ისევ წარადგინა დახასიათებები და მკვლელი დაუყოვნებლივ განთავისუფლდა პატიმრობიდან, ვადაზე ადრე, პირობით.

და აი 1964 წლის 8 ოქტომბერს, თბილისში, ტანძიის ქუჩაზე რუსტამმა ჩაიდინა მეორე მკვლელობა; ამჯერად მისი მსხვერპლი იყო ოცდაორი წლის ახალგაზრდა, ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ქავთარაძე. ამ საბედისწერო საღამოს ქავთარაძე და მისი ამხანაგები — ჭელიძე და ლალიაშვილი სრულიად შემთხვევით შეხვდნენ მათთვის უცნობ რუსტამ იარანდაგულიევს და კიდევ ერთ პირს, რომლის გვარს რუსტამი არ ასახელებს და დღეისათვის დაუდგენლად ითვლება. გზაზე ქავთარაძეს და იარანდაგულიევს შელაპარაკება მოუვიდათ. ეს შელაპარაკება სრულიად უმიზეზოდ მოხდა. მათ შეაგინეს ერთმანეთს და ქავთარაძემ გასარტყმელად გაიწია. რუსტამი და მასთან მყოფი პირი შეშინდნენ და გაიქცნენ, მაგრამ იმუქრებოდნენ, რომ მოპირისპირეს ანგარიშს გაუსწორებდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი წამოეწიენ ქავთარაძეს და მის ამხანაგებს. რუსტამმა ქავთარაძეს მიაყენა რამდენიმე ჭრილობა ჯერ რევოლვერით, შემდეგ დანით.

რუსტამი დანაშაულის ადგილიდან მიიმალა და შემდეგ, როდესაც დააკავეს, უარყოფდა ქავთარაძესთან და მის ამხანაგებთან შეხვედრას. იარაღები, რომლითაც მკვლელობა ჩაიდინა, დაკავების დროს მას არ აღმოაჩნდა, მათი გადამალვა მოასწრო. სამაგიეროდ, იგი ამოიცნო და ამხილა შემთხვევის უშუალო მოწმემ — ლალიაშვილმა. შემთხვევის მეორე მოწმემ, ჭელიძემ, სიმთვრალის გამო თუმცა მკვლელის სახე ვერ დაიმახსოვრა, მაგრამ გაიხსენა ისეთი დეტალები, რომლებიც რუსტამის გარეგნობას და ჩაცმულობას ზუსტად ემთხვეოდა. ამასთან იარანდაგულიევის ბინის ჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა ღილების კოლოფში გადამალული მაკაროვის სისტემის რევოლვერის ორი გასროლილი ვაზნის მასრა. დაზარალებული ქავთარაძე მოკლული იყო იმავე სისტემის რევოლვერის ტყვიით. რუსტამის მხილებისათვის შეკრებილი იყო სხვა მასალებიც, რომელთა ჩამოთვლას არ შევუდგებით, მხოლოდ აღვნიშნავთ ერთ გარემოებას, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა. რუსტამი დანაშაულის ჩადენის შემდეგ, 20 დღე თავისუფლად დასეირნობდა და მან თავისი ოჯახის წევრების, განსაკუთრებით დედის — გულამბარის დახმარებით ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ თავისი უდანაშაულობა ემტკიცებინა და გამოძიება მცდარ გზაზე დაეყენებინა. ერთი ასეთ ღონისძიებათაგანი იყო გარეგნობის შეცვლა, რათა იგი ძნელად ამოსაცნობი ყოფილიყო. რუსტამს მანამდე დიდი თმა ჰქონდა, ყოველთვის ატარებდა ულვაშებს, დაკავების დროს კი თმაგადაკრეჭილი და ულვაშებგაპარსული აღმოჩნდა.

რუსტამი სწრაფად იქნა მხილებული, მაგრამ მისმა დედამ — გულამბარმა კვლავ დაიწყო შეკრებილი მასალების გაყალბება. გულამბარმა წამოაყენა ე. წ. ალიბი, რომ მისი შვილები — რუსტამი და ჯანგირი 1-დან 15 ოქტომბრამდე ბაბუასთან იმყოფებოდნენ რუსთავში და ამ პერიოდში თბილისში არ გამოჩენილან; მაშასადამე, რუსტამს დანაშაულის ჩადენა არ შეეძლო. ალიბი სათანადოდ მომზადდა, მაგრამ 85 წლის მოხუცი ენვერ აზვერდოვი დეტალებში დაიბნა და ბოლოს იძულებული გახდა ეთქვა, რომ შვილიშვილები მასთან მხოლოდ 5 ოქტომბერს, ორშაბათ დღეს იმყოფებოდნენ და სად იყვნენ 8 ოქტომბერს, არ იცის. მაშინ გულამბარმა ცილი დასწამა მილიციის მუშაკებს, რომ მათ შეაპარეს ღილების კოლოფში გასროლილი ვაზნების მასრები. ნათქვამს დამტკიცება სჭირდებოდა. გულამბარმა ცრუმოწმეები: ალთუნიშვილი, ავეტისოვი და აბრამიშვილი დაასახელა. ეს პირები მისი მეზობლები არიან და თურმე ნუ იტყვით, იარანდაგულიევის ბინის ჩხრეკის მოხდენამდე მათ საწვიმარი ლაბადების ღილები დაუკარგავთ და ერთდროულად მიუმართავთ გულამბარისათვის, რომელმაც მათ გამოუტანა ღილების კოლოფი და შიგ არავითარი რევოლვერის ვაზნის მასრები არ იყო. როგორც იტყვიან, ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო, და გულამბარის ღილდაკარგული მეზობლები ტყუილში ადვილად იქნენ მხილებულნი. ბოლოს საქმე იმ ზომამდე მივიდა, რომ ამ მოწმეებმა ურთიერთშორის ვერ გაარკვიეს ოქტომბერში დასჭირდა მათ ღილები თუ ნოემბერში, ვერც ის გაარკვიეს თუ როგორ მოხდა, რომ ღილები 3 თუ 4 თვის წინ დაკარგეს და მისი ძებნა გულამბარის კოლოფში სწორედ იმ დილით დასჭირდათ, როდესაც ბინაში ჩხრეკა უნდა მომხდარიყო.

ალექსანდრე ქავთარაძის მკვლელობისათვის რუსტამს სასამართლომ თორმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. ცხადია, რომ იგი უფრო მკაცრ სასჯელს იმსახურებდა, მაგრამ სასამართლოს მეტის გაკეთება არ შეეძლო. ამის მიზეზი კი უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის ის დადგენილებაა, რომლითაც რუხსარა მეხტიევას მკვლელობა გაუფრთხილებლობის შედეგად ჩადენილად ჩაუთვალეს რუსტამს და იგი პატიმრობიდან გაანთავისუფლეს. საქმე ის არის, რომ გაუფრთხილებლობით მკვლელობა, განმეორებით დანაშაულის დროს, არ ითვლება დამნაშავისათვის დამამძიმებელ გარემოებად. გამოძიებას და სასამართლოს, რომელთაც რუსტამის საქმე განიხილეს, კანონის მოთხოვნა სწორედ აქვთ შესრულებული.

საკითხავია — რატომ შემდგომი სასამართლო არ ჩაერია ამ საქმეში და არ გამოასწორა მეხტიევას მკვლელობის საქმეზე დაშვებული შეცდომა? საქმე ისაა, რომ დღეისათვის, კანონით, ზემდგომი სასამართლოც შეზღუდულია და მეხტიევას მკვლელობის საქმეზე გამოტანილი დადგენილების გაუქმების უფლება არც ერთ სასამართლო ორგანოს აღარა აქვს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 383 მუხლი, ერთი წლის შემდეგ, კრძალავს ყველა ინსტანციის სასამართლოს დადგენილების გაუქმებას, თუგინდ შეცდომაც იყოს დაშვებული. უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმმა იარანდაგულიევის განაჩენი შეცვალა 1962 წლის 16 ივლისს და, ამრიგად, მისი გაუქმება შეუძლებელია; იარანდაგულიევს, როგორც იტყვიან, რაც ჩაიდინა, შერჩა.

საბჭოთა კანონი ჰუმანიზმის პრინციპებზეა დამყარებული, ყოველი საეჭვო და გაურკვეველი რამ არ შეიძლება გამოვიყენოთ ეჭვმიტანილისა თუ ბრალდებულის გასამტყუნებლად, მაგრამ განა ისიც ცხადი არ არის, რომ გულკეთილობა, ჰუმანიზმი, პირველ რიგში, მთელი საზოგადოების ინტერესს უნდა ითვალისწინებდეს. განზრახ ჩადენილი მკვლელობა და ჰუმანიზმი კი ერთმანეთთან შეუთავსებელი ცნებებია.

მკითხველისათვის, რომ ყოველივე ნათელი იყოს, აქვე აღვნიშნავთ, რომ მეხტიევას მკვლელობის საქმეზე განაჩენის დადგენაში ამ სტრიქონების ავტორი იღებდა მონაწილეობას, მას უშუალოდ მოუხდა იარანდაგულიევთან და საქმეზე დაკითხულ სხვა პირებთან შეხვედრა, მომხდარის განცდა და საკითხის გადაწყვეტა არა ქაღალდებით, არამედ პირადი შთაბეჭდილებებით. ამ წერილის შემდეგ უდავოდ დავა წამოიჭრება. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ყოველივე დეტალურად უნდა განვიხილოთ. სიზუსტისათვის ნუ დავშორდებით უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილების ტექსტს.

„იარანდაგულიევის ბრალდება, — მითითებულია დადგენილებაში, — რაც მეხტიევას განზრახ მკვლელობაში გამოიხატება, დადასტურებული არ არის... თუმცა საქმიდან ირკვევა, რომ შემთხვევამდე იარანდაგულიევმა და მეხტიევამ ერთმანეთის სურათები დახიეს, რაც მათ შორის შელაპარაკებაზე მიუთითებს, მაგრამ ასეთი არ შეიძლება საფუძვლად დაედოს მეხტიევას მკვლელობას. თვით გარდაცვალებულის მშობლებიც არ უარყოფენ, რომ მათ შვილს — მეხტიევას და მსჯავრდადებულ იარანდაგულიევს შორის კარგი დამოკიდებულება იყო და მათ ვერ დაასახელეს მიზეზი, თუ რისთვის უნდა მოეკლა იარანდაგულიევს მეხტიევა.

მსჯავრდადებულმა იარანდაგულიევმა როგორც წინასწარ გამოძიებაში, ისე სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე განაცხადა, რომ მას თოფის წმენდის დროს შემთხვევით გაუვარდა თოფი და ტყვია მისი გაუფრთხილებლობის შედეგად მეხტიევას მოხვდა.

მოწმე ბახანოვმა, რომელიც ექიმად მუშაობდა იმ საავადმყოფოში, სადაც მეხტიევა იქნა მიყვანილი, განაცხადა, რომ მის შეკითხვაზე, თუ ვინ და რისთვის დაჭრა, მეხტიევამ განუცხადა მას, რომ ბიძაშვილმა შემთხვევით დაჭრა იგი".

იარანდაგულიევის მამხილებელ მასალებზე ადრევე მივუთითეთ და მათ გამეორებას არ შევუდგებით. მხოლოდ გავარკვიოთ, დასაჯერებელია თუ არა ბახანოვის ეს ჩვენება და რამდენად გამოდგება იგი საქმეში არსებულ მტკიცებათა უარსაყოფად. საქმეზე დართულია მეხტიევას ავადმყოფობის ისტორია, რომელშიც გარკვეულადაა ჩაწერილი, რომ იგი გონზე არ იყო, როცა საავადმყოფოში მიიყვანეს. ამასვე ადასტურებს მორიგე ექიმი ბერიკაშვილი. ამასვე ამბობს მანქანის შოფერიც, რომელმაც მეხტიევას პირველი დახმარება აღმოუჩინა. ასეთ პირობებში რამდენად შესაძლებელი იყო ბახანოვისა და მომაკვდავი მეხტიევას საუბარი—თავისთავად ცხადია. სხვათა შორის, ბახანოვმა მოწმეებიც კი დაასახელა, უჩვენა, რომ საუბარს სანიტრები ესწრებოდნენო. სანიტრები — რიზაევი და ოსმანოვი, რომლებმაც მანქანიდან საოპერაციომდე მიიყვანეს მეხტიევა, დაკითხულნი არიან, მაგრამ ბახანოვის ჩვენებას არ ადასტურებენ. აშკარაა, რომ ბახანოვი ცრუ მოწმეა. ეს აშკარა იყო საქმის უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმში განხილვის დროსაც, მაგრამ მას რატომღაც დაუჯერეს და ამით საშუალება მიეცა რუსტამს კიდევ ერთი ახალგაზრდისათვის მოესპო სიცოცხლე.

ამრიგად, ერთხელ დაშვებულ შეცდომის შედეგად კანონი მკვლელის მხარეზე აღმოჩნდა.

ხედავთ რა მოხდა! გულმოწყალების, შეცოდების გრძნობას — როცა მან სასამართლოს დადგენილების სახე მიიღო — თან მოჰყვა ახალი მსხვერპლი, მეორე სიკვდილი.

მკვლელი უნდა დაისაჯოს იმიტომ, რომ მეორემ, მესამემ, ვეღარ გაბედოს მოსპოს ადამიანის სიცოცხლე. რამდენჯერ გვინახავს, რომ ლაწირაკი, რძე რომ არ შეშრობია ტუჩებზე, ჩაეთრევა სარდაფში, პირუტყვივით გაილეშება, ამოვა ქუჩაში, შეურაცხყოფს გამვლელ-გამომვლელს და საკმარისია ვინმემ წესრიგისაკენ მოუწოდოს, ან ვისიმე ცხვირი არ მოეწონოს, მაშინვე დანას იღებს ჯიბიდან, მერე სად დაჰკრას, ისიც იცის — მუცლის არეში. ქირურგი კი არა, ღმერთიც რომ იყოს ქვეყანაზე, ვეღარაფერს უშველის — ჭრილობა სასიკვდილოა!

მერე შეგვეცოდება ეს პატარა, საცოდავი „ბიჭუნა", ვეღარ გაუძლებ დედამისის ცრემლებს, მამის მოთქმას, შეგვეცოდება, შეიწყალებ და ბიჭუნა კი თავს გადის — თურმე მას არც არაფერი უსწავლია და არც არაფერი დავიწყებია, არ დავიწყებია ის, თუ სად უნდა დაჰკრა, რომ ჭრილობა სასიკვდილო იყოს.

ჩვენ ჰუმანისტები ვართ და სწორედ ამიტომ უნდა გამოვგლიჯოთ დანა ხელიდან ამ „ბიჭუნას" და დავსაჯოთ ისე, როგორც ამას კანონი და ჰუმანიზმი მოითხოვს.

# ჭრელ-ჭრელი ამბები



## კიდევ ერთი ავტომატი

ინგლისელმა პროფესორმა უილიამს ტრინგმა შექმნა ავტომატი, რომელიც ცვლის შინამოსამსახურეს. ამ ავტომატს შეუძლია გაწმინდოს ტანსაცმელი და ფეხსაცმელები, დაგავოს იატაკი, დარეცხოს ჭურჭელი, მორწყას ყვავილები, მიართვას პატრონს ყავა ლოგინში. მაგრამ კერძების გაკეთება ჯერ არ იცის. კონსტრუქტორი ფიქრობს, რომ მისი გამოგონება განსაკუთრებულ სიხარულს მიანიჭებს უცოლო მამაკაცებს.



## პირველი ექიმი ქალი

ჯერ ისევ შორეულ წარსულში, ათეული წლების წინ ბევრ ქალს აინტერესებდა მედიცინა და ცდილობდა შეესწავლა იგი. მესამე საუკუნეში (ძვ. წ. აღ.) მედიცინის სფეროში დიდი პოპულარობა მოიხვეჭა ათენის მკვიდრმა, ბერძენმა ქალიშვილმა აგნოდიკამ. მაგრამ იმ დროის კანონი ქალებს მედიცინის შესწავლას უკრძალავდა. აგნოდიკამ ეშმაკურ ხერხს მიმართა, იგი ვაჟურად გამოეწყო და ასე დაიარებოდა სასწავლებელში, სადაც საექიმო ხელოვნებას ეუფლებოდნენ. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მან საუკეთესო მკურნალის სახელი მოიხვეჭა. აგნოდიკას განსაკუთრებით ბლომად აწყდებოდნენ ქალები. საქმე ის იყო, რომ მკურნალობის დაწყების წინ, ექიმი პაციენტებს გულახდილად გაუმხელდა ხოლმე თავის საიდუმლოებას — მეც ქალი ვარო. გასაგებია, რომ ქალები მას განსაკუთრებული ნდობით ეპყრობოდნენ და საჭიროების შემთხვევაში მუდამ მასთან მიდიოდნენ.

ათენელი ექიმები შურით იხრჩობოდნენ, ბოლოს მათ თავიანთ კოლეგას არეოპაგში უჩივლეს — უზნეო კაცია და მკურნალობის დროს ქალები შეაცდინაო.

მაშინ კი აგნოდიკა იძულებული გახდა თავისი საიდუმლო გაეხსნა. ეს ამბავი ფართოდ გახმაურდა. მაღალი წრის ქალებმა უმალ მხარი დაუჭირეს ექიმ ქალიშვილს და სასამართლომ იგი უდანაშაულოდ სცნო. მანამდე არსებული კანონი კი გააუქმეს.



## საფლავი მთვარეზე

დეტროიტელმა (აშშ) ანტიკვარმა ტედ უოლესმა თავისი ცხოვრების მანძილზე საკმაოდ დიდი თანხა დააგროვა — 25 მილიონი დოლარი. უოლესს მემკვიდრე არა ჰყავს, ამიტომ თავის ანდერძში მან ასეთი რამ ჩაწერა: ეს ფული დარჩეს მას, ვინც ჩემს გვამს მთვარეზე აიტანსო. მილიონერის ანდერძში ერთი მეტად მზაკვრული ფრაზაა: გვამი კოსმოსში ატანილი უნდა იქნას არა უეკიპაჟო რაკეტით, არამედ იგი პირადად მემკვიდრემ უნდა დამარხოს მთვარეზე.



## აბაზანა ქორწილის წინ

ფრანგმა საზღვაო ოფიცერმა პოლ რენემ გადაწყვიტა თავისი ქორწილის დღეს ორიგინალური რამ ჩაედინა. როცა მისი კოპწია საპატარძლო და ახლობლები ეკლესიაში წავიდნენ, ის აეროდრომზე გაეშურა, აფრინდა ჰაერში და პარაშუტით დაეშვა ეკლესიის ეზოში, სადაც მას უკვე მოუთმენლად ელოდნენ. მაგრამ „გულადმა“ ოფიცერმა, როგორც ეტყობა, ზუსტად ვერ გამოიანგარიშა ქარის სიძლიერე და პირდაპირ ჩაეშვა... იხვებით სავსე გუბეში. ასე გაწუწული წარსდგა იგი საკურთხევლის წინაშე.



## როცა წამალი საწამლავად იქცევა

ჩვენ უკვე ვწერდით თუ რა ავადმყოფობაა ალერგია (იხ. „დროშა“, № 11, 1963 წ.). ამის შემდეგ რედაქციამ მიიღო წერილი, რომელშიც მკითხველი იტყობინებოდა, რომ ალერგიის შეტევა მას განუახლდა მას შემდეგ, რაც თბილისიდან წყნეთში თავის აგარაკზე ავიდა დასასვენებლად. ჩვენ ცხადია, ვერაფერს გადაჭრით ვერ ვეტყვით მკითხველს ამ კონკრეტული შემთხვევის გამო, მაგრამ შეგვიძლია მოვიყვანოთ სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ალერგოლოგიური ლაბორატორიის ბოლოდროინდელი დაკვირვებანი. ამ მონაცემების მიხედვით, ალერგენების (ალერგიის გამომწვევი, აღმძვრელი ნივთიერებანი) რიცხვს განეკუთვნება, მაგალითად, ყვავილების მტვერი, რომელიც დაფრქვეულია ჰაერში თხმელას (მურყანი), თხილის, ალვისხის, ვარდის, ტულიპის, აგრეთვე ბალახების — ტიმოთელას, თივაქასრას და სხვათა ყვავილობის დროს. ჩვეულებრივ, ავადმყოფნი შეტევებს განიცდიან არა მუდამ, არამედ ზემოხსენებული მცენარეების ყვავილობის პერიოდში — გაზაფხულის ბოლოს და ზაფხულის დასაწყისში. ასეთ შემთხვევებში უბრალო გასეირნებამ მინდვრად შეიძლება გამოიწვიოს თვალების და სასუნთქი ორგანოების მწვავე გაღიზიანება, ასტმის მოვლენები და თვით ტემპერატურის აწევაც კი.

იმავე ლაბორატორიის დაკვირვებით, (საკვირველია, მაგრამ ფაქტია), ხშირად ალერგენად იქცევა ხოლმე წამალი, რომელიც საერთოდ ადამიანის ჯანმრთელობის მხსნელია. საქმე ის არის, რომ ხანდახან ჩვენ ვხმარობთ წამალს მაშინაც კი, როცა ეს საჭირო არ არის. ხშირად, კაცს უბრალოდ რომ წამოსტკივა თავი, მაშინვე პირამიდონს ყლაპავს. და ეს იმ დროს, როცა საკმარისია უბრალო გასეირნება სუფთა ჰაერზე და ყველაფერი გაივლის. ეს ეხება პენიცილინსაც. ამ ძლიერადმოქმედი და შესანიშნავი წამლის მეტად ხშირმა მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული გართულება — ერთ-ერთი უმძიმესი და საშიში გართულება, რომელიც კარგად აქვთ შესწავლილი ჩვენს ალერგოლოგებს.

## დამნაშავეა მოდაც

ზემოხსენებული ლაბორატორიის მონაცემებში ჩამოთვლილია ყველა ალერგენი, რომლებიც დღეისათვის მეცნიერებას უკვე შესწავლილი აქვს. ჩვენ აქ ყველას ვერ დავასახელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს. ჩვენი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ გარდა „ხელშესახები“ ნივთიერებებისა, ალერგიას იწვევს ქარიანი ამინდი, სიცხე და სიცივე; კერძოდ ცნობილია ე. წ. „სიცივისეული ალერგია“. ეს ავადმყოფობა უმთავრესად შეხვდებათ ხოლმე იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ზამთრობით უქუდოდ დადიან. მათ ემართებათ ხანმოკლე სურდო და სულისშეხუთვის შეტევები, რომლებიც ავადმყოფს ჩქარა გაუვლის ხოლმე სითბოში მოხვედრისას. მაგრამ ცნობილია ამავე მიზეზით გამოწვეული უფრო მძიმე მოვლენები.

## მგლის შიშით

მაგრამ ნათქვამია — მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო. ალერგიის გამომწვევნი, ალერგენები აურაცხელია ჩვენს ირგვლივ. მაგრამ ეს არ იძლევა საბაბს სასოწარკვეთილებას მივეცეთ. მრავალი მილიონი ადამიანი შეექცევა ფორთოხალს, სეირნობს ყვავილებით დამშვენებულ მდელოზე, ოთახის მტვრის შესუნთქვაც უხდება, დადის ქარშიც და სიცხეშიც, წარმატებით მკურნალობს პენიცილინით, მაგრამ მას წარმოდგენაც კი არა აქვს, რომ არსებობს ასეთი ავადმყოფობა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც ზემოთ ითქვა ალერგენებზე, ეხება მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთაც ამ ავადმყოფობისადმი მიდრეკილება აქვთ.





# ფეხბურთი და სათვალეები



ამ სურათზე თქვენს თვალწინ შეეციის ერთ-ერთი საფეხბურთო მოედანია. მსაჯმა უეცრად გააჩერა თამაში და მინდორზე რაღაცის ძებნა დაიწყო. მას ფეხბურთელები მიეხმარნენ. მაყურებლებს ეგონათ მსაჯს სასტვენი დაუვარდაო. მაგრამ, გამოირკვა, რომ თურმე ეძებდნენ მინას, რომელიც სათვალეების ნაცვლად, ქუთუთოების ქვეშ გაკეთებული ჰქონდა ერთ ბეც ფეხბურთელს. მან იგი დაკარგა გაცხარებული თამაშის დროს. მინა მალე იპოვნეს და თამაში განახლდა.

საკვირველია, მაგრამ ფეხბურთელთა შორის გვხვდებიან ისეთებიც, რომლებსაც ცუდი მხედველობა აქვთ. კიდევ უფრო საკვირველი ის არის, რომ მათ რიცხვს ეკუთვნის „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანი, სახელგანთქმული შოტლანდიელი ფორვარდი დენის ლოუ, რომელიც გასული წლის სეზონში აღიარებულ იქნა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად; იგი შედიოდა მსოფლიოსა და ევროპის ნაკრებ გუნდებში. მარტო გასულ წელს ლოუმ 60-ზე მეტი ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში.

თხუთმეტი წლის იყო ლოუ, როცა პირველად მივიდა საფეხბურთო კლუბში და თამაშის სურვილი განაცხადა. შეხედეს — ერთი გამხდარი, აწლუტული ბიჭი იდგა მათ წინ, წონით 48 კილო, ცხვირზე სათვალეებით, რომლებსაც უჩვეულოდ სქელი მინები ჰქონდა (ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან ჰკლებია თვალთ), ხელი ჩაიქნიეს — ამისაგან არაფერი არ გამოვაო.

მაგრამ სულ ორიოდე დღე დასჭირდა ლოუს, რათა დაემტკიცებინა, რომ ის ბრწყინვალე სპორტსმენი იყო.

ლოუს „თეთრთავიან ბომბს“ეძახიან ქერა ქოჩრის გამო.

ლოუ მოერიდა სიბეცესაც და უსათვალეებოდ თამაშობს, თუმცა ძლიერ კარგად მაინც ვერ ხედავს. ამან დაღი დააჩინა მისი თამაშის მანერასაც. მას მუდამ ურჩევნია ბურთი გადასცეს და ეთამაშოს გვერდით მყოფს, მაგრამ კარში ურტყამს ყოველგვარი პოზიციიდან.

სტადიონის გარეთ ლოუ თავმდაბალი და მორცხვია, და საკვირველია, რომ თამაშის დროს ხშირად უდისციპლინობას იჩენს. შარშან, მსაჯთან შეკამათების გამო, 28 დღით დისკვალიფიკაცია მისცეს და დააჯარიმეს. 1964 წლის მაისში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და შოტლანდიის ნაკრები გუნდების შეხვედრის დროს მოედნიდან გააძევეს იმის გამო, რომ მოწინააღმდეგეს ფეხი მოარტყა.

ლოუს გულშემატკივარნი ამას იმით ხსნიან, რომ მცველები თურმე არაფერს არ ერიდებიან, ოღონდ მათკენ წამოსული „თეთრთავიანი ბომბი“ როგორმე გააჩერონ, და ლოუც „ხურდას“ ამიტომ უბრუნებსო.

ლოუ ტემპერამენტიანი მოთამაშეა, მას დაულეველი ენერგია აქვს. მდიდარი ტექნიკური ხერხები და უმძლავრესი დარტყმა მარცხენა ფეხით — აი მისი იარაღი. მას აქვს უნარი გაარღვიოს დაცვა, როგორი გაუვალიც უნდა იყოს ის.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოველ მატჩს საშუალოდ 49.000 მაყურებელი ესწრება. მაგრამ ინგლისელი სტატისტიკოსები ამტკიცებენ, რომ როცა ლოუ თამაშობს, მატჩს დამატებით 5.000 მაყურებელი კიდევ ესწრება.

---

## ჯინ კერი

მეგობრებო, რასაკვირველია, აუცილებელი არ არის ამ წუთშივე ყველაფერი გაიზიაროთ და ზუსტად ისე მოიქცეთ, როგორც ინგლისელი მწერალი ქალი ჯინ კერი გვარიგებს თავის იუმორისტულ მოთხრობაში, მაგრამ... ზოგიერთი მისი რჩევა იქნებ მართლა გამოგადგეთ?

### როგორ უნდა მოიქცე, როცა ქმარი გაჩუმებულია

სტატისტიკური მონაცემები არა მაქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ცოლ-ქმრის გაყრის ერთ-ერთი მიზეზი ქმრის დუმილია.

ამ დუმილს სავსებით ბუნებრივი მიზეზი აქვს: ქალი ლაპარაკობს იმიტომ, რომ ამისი მოთხოვნილება აქვს, მამაკაცი კი მხოლოდ მაშინ ამოიღებს ხმას, როცა იძულებული ხდება, მაგალითად, როცა სუფთა წინდებს ვერ იპოვნის.

საინტერესო სანახაობაა, როცა ქმარი, რომელსაც ერთ კვირას ხმა არ ამოუღია, უცებ ქადაგად დაეცემა ხოლმე. იცით, ეს როდის ხდება — აბა სცადეთ და ახალი პალტო შეუკვეთეთ, მაშინ დაინახავთ რა ანკარა წყაროსავით დაიწყებს ჩქეფას სიტყვების შადრევანი.

— კი, მშვენივრად მესმის, რომ ეს ახალი მოდაა, მაგრამ კოსმოსური ხომალდი რომ არა გვაქვს? მთელი ქვეყანა იმაზე ლაპარაკობს, ძალიან აქებენ. ჩვენ არ შევიძინოთ? ჰო, მართლა, ეს გამობერილი ზურგი რისთვის გაიკეთე? ეტყობა იალქნიან ნავს უნდა დაემსგავსო. გულს ნუ გაიტეხ, ზაფხულში გამოგვადგება, პლაჟზე წავიღებთ და ტანსაცმლის გამოცვლის დროს კარავად ვიხმართ.

### როგორ უნდა მოიქცე, როცა ქმარი ხვრინავს.

როდესაც ვამბობ „ხვრინავს“, არ ვგულისხმობ იმ მშვიდ ფშვინვასა თუ წამოხვრინებას, რომელსაც ყოველი გონიერი და ერთგული ცოლი უნდა შეეგუოს. მე ვგულისხმობ ისეთ ხვრინვას, რომელიც თავისი სიძლიერითა და ჟღერადობის დიაპაზონით სიმფონიურ ნაწარმოებს ჰგავს. წინათ მე ხელს წავკრავდი ხოლმე ქმარს და ჩავუჩურჩულებდი:

— გადაბრუნდი, გენაცვალე!

ზოგჯერ მართლაც გადაბრუნდებოდა და ორი წუთის შემდეგ ისევ ამოუშვებდა საშინელ ხვრინვას.

მე კი ვერაფრით ვიძინებდი და მთელი ღამე ვაწყობდი გეგმებს, როგორ გავყროდი ქმარს, როგორ გაგვენაწილებინა შვილები, ავეჯი და საოჯახო თეთრეული. ბოლოს მოვისაზრე, რომ გაყრა კი არა, აი რა არის საჭირო: ასეთ დროს სეტყვასავით უნდა დააყარო შეკითხვები, უნდა გააღვიძო და ჰკითხო:

— რა იყო, გენაცვალე, რაო, რაო, რა მითხარი? ვერ გავიგე?

ის ნამძინარევი ჩაიბურტყუნებს: „ა?“, „სად“, „როდის?“ ბოლოს გამოფხიზლდება და გკითხავს:

— რას გადამეკიდე ქალო, რას მეკითხები, რა გითხარიო?

შენ კი აღარ უნდა მოეშვა, ათიოდე ასეთი სულელური კითხვა-პასუხის შემდეგ ქმარი ისე გაბრაზდება, რომ თხუთმეტ წუთს მაინც ველარ დაიძინებს. თქვენ კი საშუალება მოგეცემათ დაასწროთ და დაიძინოთ.



თარგმანი ელენე ჩხენკელისა

---

გარეკანის პირველ გვერდზე: ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ლია სოლომონაშვილი. ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა. მეოთხე გვერდზე: საქართველოს სამხედრო გზაზე. ფოტო თ. არჩვაძისა. ნომერი გააფორმა თ. გოგოლაძემ.


რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ/მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42 9-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/X-65 წ. გამომც. № 201, ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 24.000. შეკვ. № 3186, უე 03411

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მწველავი ქალები

გურამ თიკანაძე

ალპიურ მდელოზე



ИНДЕКС 76056



ეროვნული
ბიბლიოთეკა